1. Matrimonial real estate problem has both - theoretical and practical significance. The relevance of the question proceeds from the question of the clearance of the legal regime of property, accordingly to which should be defined on what factors depend the clarification of matrimonial co-owned real estate.

2. The question is becoming more topical if we consider that the co-ownership may not be registered, but may satisfy other necessary lawful bases of matrimonial mutual property consideration. The problem is more interesting when the issue concerns real estate, as unlike from immovable estate, the right of property purchasing is connected with the registration of the property in public register's office.

3. Purchasing the right for the real estate is complicated, but as if "harmless" procedure is becoming especially problematic question in practice in regard with matrimonial co-ownership when matrimonial co-ownership actually exists, but is registered on the name of only one conjugal.

4. The problem is complicated more by the fact that the regulation of civil standards allows different ways of interpretation of this issue, as the regulations of law family and property issues are in collision with each other.

5. To solve the question the following be should specified: will registration of the property in public register office give the right of property ownership or is it confirmation and public

statement of already registered property? It should be defined what is the role of purchaser's honesty in this process. One of the key questions is to find special regulation. It must be determined which regulation can be special for the specific relationship.

6. The research revealed that the selling of the property which is in shared ownership has high risks and there is no proper system nowadays. We can say that it cannot ensure the stabilization of interests of the parts thereby. It is worth to note the problem of the marriage contract the meaning of which is to define property issues by the consent of the couples and to address law isssues according to their viewpoint. In such cases interest of the couples will be considered better.

7. The issue of the risk is important as competent people are responsible for their actions of themselves. It is natural that they are risk careers themselves what is caused by not applying their rights. They need to register the property not because it is the obligation, but because it is the means for their protection.

8. Farther, the research showed that right of property ownership will not exist witout registration in public registeres office as the right of the property ownership has social character which, proceeding from the principle of public rotation stability, requires public confirmation.

9. The registration of the property in public registers office protects honest buyers and by protecting honest buyers, the whole public rotation becomes stable. In case of selling shared property of couple without consent of the second person, it is very important to evaluate the buyer's honesty.

**ნუცა ჯმუხაძე, მარიამ სვიმონიშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*სამართალი*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პრობლემატიკა ქართულ კანონმდებლობაში

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **სოფიო ჩაჩავა**

1. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებული და გარანტირებულია შრომის თავისუფლება. აღნიშნული არის ზოგადი დანაწესი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო იღებს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ვალდებულებას, ქვეყანაში უზრუნველყოს საყოველთაოდ აღიარებული შრომითი უფლებების დაცვა. თავის მხრივ, ზემოაღნიშნული ზოგადი უფლებები დაკონკრეტებულია საქართველოს შრომის კოდექსში, რომელშიც გათვალისწინებულია ერთ-ერთი უმთავრესი - ზეგანაკვეთური სამუშაოს სამართლიანი/ადეკვატური ანაზღაურების უფლება.

2. საქართველოს შრომის კოდექსის მე-17(4) მუხლის მიხედვით, „ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით.

ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.” ერთი შეხედვით, აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებულია დასაქმებულის ინტერესები, თუმცა ანაზღაურების მინიმალური ოდენობის განუსაზღვრელობამ შესაძლოა დამსაქმებლის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებას არაპირდაპირ შეუწყოს ხელი.

3. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობას ეხება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციები სამუშაო საათების შესახებ (Hours of Work (Industry) Convention, 1919; Hours of work (Commerce and Offices) Convention, 1930), რომელთა მიხედვითაც, ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ანაზღაურების ოდენობა უნდა იყოს ჩვეულებრივ ანაზღაურებაზე მინიმუმ 25%-ით მეტი. 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება, გაითვალისწინოს ILO-ს რეკომენდაციები, თუმცა, შრომის კოდექსის დღევანდელი რედაქციით თუ ვიმსჯელებთ, დღემდე არ გადადგმულა ნაბიჯი განსახილველი საკითხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

4. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მიდგომები არსებობს და საქართველოსგან განსხვავებით, სასამართლო პრაქტიკაც მრავალფეროვანია. აქედან გამომდინარე, ნაშრომში განხილული იქნება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზიც.

5. ნაშრომის ბოლო თავი დაეთმობა ზემოაღნიშნული პრობლემატიკის გადაჭრის ჩვენეული ოპტიმალური გზის შემოთავაზებას.

**Nutsa Jmukhadze, Mariam Svimonishvili**
*Georgia*
*Tbilisi State University*
*Law*
*Bachelor's programme, III level*

## Problem of Overtime Pay in Georgian Legislation

Scientific supervisor – Associate Professor **Sophio Chachava**

1. Freedom of labor is acknowledged and guaranteed in Georgia by the Article 30 of the Constitution. This is a general regulation which imposes the state with positive and negative obligations to ensure protecting of widely acknowledged labor rights in the country. These rights are specified in the Labor Act of Georgia, where one of the most important rights - the right to fair/adequate overtime pay is regulated.

2. According to the Article 17 (4) of the Labor Act of Georgia, “Overtime work is paid with increased wage rate an hour. These amount of payment is defined by the parties' agreement.” On the one hand, this regulation creates an impression that interests of employees is taken into account, but on the other hand, the fact that minimum amount of overtime payment is not regulated may contribute to abusing of rights by employers.

3. ILO conventions (Hours of Work (Industry) Convention, 1919; Hours of work (Commerce and Offices) Convention, 1930) regulate the amount of overtime work payment. According to the articles, the rate of pay for overtime shall not be less than one and one-quarter times the regular rate. In 2014, Georgia signed the Association Agreement and took the obligation to foresee ILO's recommendations, but according to present Labor Act of Georgia, no steps forward are taken to improve regulations about overtime payment.

4. Many European countries have different approaches and diverse practice towards overtime pay comparing to Georgia. Therefore, in our paper we l have comparative analysis of several countries' legislations towards overtime payment.

5. In the last chapter of the paper we offer the optimum (from our point of view) solutions of the overtime payment problem in Georgia.

**თეკლა ხუნდაძე, თამარ გაიპარაშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*სამართალი*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარვეზები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **სოფიო ჩაჩავა**

1. სსკ-ს 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ეს შემთხვევებია: პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა, სხეულის დაზიანება და ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენება. მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი - დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე - ზემოქმედება მოახდინოსზიანისმიმყენებელზე; მესამე- თავიდანაიცილოსპიროვნულიუფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ.

2. ნაშრომიორიენტიებულიადაზარალებულისთვისარაქონებრივიზიანისანაზღაურების საკითხზე მხოლოდ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანების შემთხვევებში, რომლებმაც გამოიწვია მძიმე სულიერი ტანჯვა და ფსიქოემოციური სტრესი. აღსანიშნავია, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარება არა ქონებრივი ზიანით გამოწვეული სულიერი ტანჯვის გამო ჯანმრთელობის მოშლა, არამედ ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული სულიერი ტანჯვის შემთხვევა.

3. მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის განვითარება უკავშირდება ინგლისს. კერძოდ, ინგლისელი კანონმდებლების მიერ განისაზღვრა კრიტერიუმები მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მათ ცხრილების შემოღებით შეძლეს განესაზღვრათ ანაზღაურების ოდენობა. აქ სხვადასხვა ტიპის სიმძიმის ზიანის

ანაზღაურება სხვადსხვანაირად ხორციელდება.

4. განსხვავებული პრინციპით განისაზღვრება საქართველოში კომპენსაციის ოდენობა. კერძოდ, მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი მთლიანად არის სასამართლოს გონივრული განსჯას მინდობილი. საერთო სასამართლოები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიანი ოდენობით განსაზღვრავენ არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას.

5. გერმანიის ფედერალურ სასამართლოს აქვს მიღებული განსაკუთრებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას. აღნიშნული გადაწყვეტილებებით მოხდა კლასიფიკაცია დაზიანების სახეობების, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირს აუნაზღაურდება მორალური ზიანი. ფედერალური სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, ფართოდ განისაზღვრა კომპენსაციის ოდენობაც.

**Tekla Khundadze, Tamar Gaiparashvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Law*
*Bachelor's programme, VI semester*

## Gaps Related to the Compensation of Moral Damage Caused Due to Mutilation or Other Health Injury in Georgian Judicial Practice

Scientific supervisor – Associate Professor **Sophio Chachava**

1. In accordance with the Section 1 of the Article 413 of the Civil Code, for non-material damage the cash remuneration may be requested only in the cases determined by the law in a reasonable and fair manner. These cases include: loss of honor and dignity, secrets of private life, loss of personal immunity and business reputation, body and health injury. There are three functions to compensate for moral damage: First - to satisfy the victim; Second - to influence the person causing damages; Third - to prevent personal rights from other persons.

2. The work is oriented on the issue of compensation of non-material damage to the victim only in cases of bodily injury or other health damage, which caused severe spiritual suffering and psycho-emotional stress. It is noteworthy that to the compensation for non-material damage subjects not the spiritual suffering caused due to the loss of property, but the spiritual suffering caused due to the health loss.

3. The development of the institution of moral damage is related to England. In particular, by the English lawmakers have been defined compensation criteria for moral damages. With the introduction of the spreadsheet they were able to determine the amount of compensation, where the compensation for various types and gravity of damage is performed differently.

4. The amount of the compensation is determined through the different principle in Georgia. Namely, the issue of moral compensation is fully entitled to reasonable judgment of the court. Generally courts in a particular case define a fair amount of intangible damage.

5. The German Federal Court has adopted special decisions concerning the compensation of moral damages. Through these decisions was performed classification of the damage types, in which cases the moral damage will be compensated to the person. Based on the practice established by the Federal Court, the amount of compensation was also widely defined.

**დავით ტოროშელიძე, მედეა რაზმაძე**
*საქართველო*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*
*სამართალი*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## ოჯახში ძალადობა
## (ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ასპექტები)

ხელმძღვანელი - მოწვეული სპეციალისტი **იოსებ გაბარაევი**

1. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია ძალადობის იურიდიული მხარე, როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო სამართლებრივ ჭრილში, რაც მოიცავს ძალადობის სახეებს, მის გამომწვევ მიზეზებსა და ძალადობის შედეგად გამოწვეული პრობლემების ანალიზს.

2. მოცემულია მსჯელობა, თუ რამდენად უწყობს ხელს ფემინიზმი, როგორც მსოფლმხედველობა ძალადობის რიცხობრიობის შემცირებას ქალთა უფლების დაცვის ლოზუნგით.

3. სტამბულისკონვენციაზედაყრდნობითგანხილულიიქნებაისეთითემები,როგორიცაა, ძალადობის ტიპები და სახეები, მესამე პირი როგორც ძალადობის მაპროვოცირებელი, სოციალური პრობლემები, როგორც ძალადობის მიზეზი და სხვა.

4. ოჯახში ძალადობის იურიდიული ასპექტები, როგორც შიდასახელმწიფოებრივი ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.

5. ნაშრომში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსასამართლოს პრაქტიკა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით.

6. ნაშრომიგანკუთვნილიაიურიდიულიფაკულტეტისსტუდენტებისადაგანსახილველი საკითხებით დაინტერესებული სხვა პირებისათვის.

**David Toroshelidze, Medea Razmadze**
*Georgia*
*Gori State Teaching Universit*
*Law*
*Bachelor's programme, VI semester*

## Domestic Violence
## (Psychological and Legal Aspects)

Scientific supervisor – Invited specialist **Ioseb Gabaraevi**

1. The research presents legal aspects of violence, international law point of view including types and reasons of violence, and the analysis of the causing reasons.

2. The study discusses how feminism supports a reduction in the amount of violence.

3. There are also be discussed topics based on Istanbul convention, like types of violence, the third person as a provocative side, social issues being a reason of violence, etc.

4. Legal aspects of domestic violence, intrastate and international legal norms.

5. The research discusses the practices of European court at justice connected to domestic violence.

6. The research is intended for the students of the Faculty of Law and for people who might be interested in this topic.

**აიდა ნასიბჯიზი**
*საქართველო*
*გურამ თავართქილძის სასწავლო უნივერსიტეტი*
*სამართალი*
*ბაკალავრიატი, VIII სემესტრი*

## ორგანიზებული დანაშაული

ხელმძღვანელი - პროფესორი **გივი ლობჟანიძე**

1. ცნება „ორგანიზებული დანაშაული" პირველად 1919 წელს აშშ-ის ქ. ჩიკაგოში გამოიყენეს. გერმანიის ბუნდესტაგის მიერ 1992 წელს შემუშავებულ იქნა განმარტება, რომლის მიხედვითაც, ორგანიზებული დანაშაული არის მოგების ან ძალაუფლების მიღების მიზნით ორზე მეტი პირის მიერ სისტემატიურად და ხანგრძლივი პერიოდით დანაშაულის ჩადენა.

2. 1991 წელს გაეროს საერთაშორისო კონფერენციაზე „ორგანიზებული დანაშაული" განიმარტა, როგორც დამნაშავეთა მართვადი, მყარი გაერთიანების საქმიანობა, რომლის წევრებისათვის დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს ბიზნესს და რომელიც კორუფციის დახმარებით ქმნის სოციალური კონტროლისაგან დაცულ სისტემას.

3. ორგანიზებული დანაშაული, იმდენად აქტუალურია რომ ის სცდება ქვეყნის

ფარგლებს გარეთ და ერთი ან რამოდენიმე ქვეყნის პრობლემა კი არაა, არამედ იგი ტრანსნაციონალური ხასიათის დანაშაულია.

4. ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა კიდევ უფორო გაღრმავდება მისი ცალკეული გამოვლინებების სპეციფიკის კვლევის მიხედვით, როგორიცაა: ნარკოტიკებით ვაჭრობა, ყალბი ფულის დამზადება, თაღლითობა, ადამიანებით ვაჭრობა/ტრეფიკინგი, იარაღის უკანონო გაყიდვა, ადამიანების ორგანოებით უკანონო ვაჭრობა და სხვა.

5. ნაშრომში განვიხილეთ საქართველოში არსებული ორგანიზებული დანაშაულის პრობლემები, მისი სახეები და ამ პრობლემის თავიდან აცილების მექანიზმები.

**Aida Nasibkizi**
*Georgia*
*Guram Tavartkiladze Teaching University*
*Law*
*Bachelor'programme, VIII semester*

## Organized Crime

Scientific supervisor - Professor **Givi Lobzhanidze**

1. The concept of "Organized Crime" first was used in Chicago, USA in 1919. German Bundestag developed the explanation according to which, organized crime is a crime for a systematic and prolonged period of time for more than two persons to gain profit or power.

2. In 1991, on the United Nations International Conference 'Organized Crime' was described as a guilty manipulated, solid association activity whose offence is the business, which creates a system of protection against social control.

3. Organized crime is so relevant that it goes beyond the country's borders. It is not a problem of one or more counties but it has a transnational character.

4. The problem of organized crime will further deepen according to its specific manifestations, such as drug trafficking, counterfeiting money, fraud, humans' trafficking, trafficking in arms, illicit trade by human bodies, etc.

5. In this research we discussed the peculiarities of organized crime in Georgia, its types and the mechanisms of its avoidance.

**ვალერი ხუციშვილი, თამარ მეგრელიშვილი**
*საქართველო*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*
*სამართალი*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

# არასრულწლოვანთა სასჯელის მიზანი და სახეები

ხელმძღვანელი - მოწვეული სპეციალისტი **იოსებ გაბარაევი**

1. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია არასრულწლოვანთა სასჯელის იურიდიული მხარე, შიდასახელმწიფოებრივ ჭრილში, რაც მოიცავს არასრულწლოვანის სასჯელის მიზანსაა და სახეების, სასჯელის შეფარდებისას წამოჭრილ პრობლემების ანალიზს.

2. განსახილველი საკითხი ეხება, როგორც არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნებისა და სახეების ზოგად ისტრორიულ, ასევე სტატიკურ ანალიზს საქართველოში.

3. შესწავლილი და გაანალიზებულია არასრულწლოვანთა საჯელის შეფარდების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთ შეხედულებები; შემოთავაზებულია შესაბამისი არგუმენტებით გამყარებული პოზიციები, როგორი უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკა არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით არასრულწლოვანთა უფლებების დაბალასების კუთხით.

4. თემაში განხილულია არასრულწლოვანთა სასჯელის შეფარდების სტატისტიკა მასთან დაკავშირებით საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გამოცდილება.

5. ნაშრომიგანკუთვნილიაიურიდიულიფაკულტეტისსტუდენტებისა დაგანსახილველი საკითხებით დაინტერესებული სხვა პირებისთვის.

**Valeri Khutsishvili, Tamar Megrelishvili**
*Georgia*
*Gori State Teaching University*
*Law*
*Bachelor's programme, IV semester*

## The Aims and Types of Juvenile Punishment

Scientific supervisor – invited specialist **Ioseb Gabaraevi**

1. The work deals with legal sides of juvenile punishment in intrastate section which includes the aims and types of juvenile punishment and the analysis of the problems raised while sentencing.

2. The discussed issue is related to the aims and types of juvenile punishment as well as to general historical, statistical and dynamic analysis in Georgia.

3. The positions of the supporters and opponents of juvenile punishment is studied and analyzed. The opinions about the state politics towards juvenile punishment with appropriate arguments are given.

4. The work deals with the statistics about juvenile sentencing and the international and intrastate experience about it.

5. The work is for law students and for others who are interested in the discussed issues.

**თათია ნაჭყებია**
*საქართველო*
*გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი*
*სამართალი*
*ბაკალავრიატი, VIII სემესტრი*

## არასრუწლოვანთა დანაშაული

ხელმძღვანელი - პროფესორი **ვენედი ზენიძე**

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მატარებელი არის.

2. უკანსასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში არაერთიწარმატებული ნაბიჯი იქნა გადადგმული არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით, თუმცა დღემდე არსებობს პრობლემები.

3. როდესაც საზოგადოებისთვის ცნობილი ხდება არასრუწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედება, ხშირ შემთხვევაში ხდება მისი დამნაშავედ აღქმა. ხშირად ზურგს აქცევს არასრწულოვანს, რადგან გგონიათ,რომ ისე ისევ ჩაიდენს დანაშაულს.

4. დამოკიდებულება არასრულწლოვან კანონდამრღვევებთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება ძალიან მნიშვნელოვანი არის, რადგან მთელ ამ პროცესის მიზანია უბიძგოს დამნაშავეს გააცნობიეროსსაკუთარიქმედებისშედეგები, გაუჩნდესთანაგრძნობადაზარებულის მიმართ.

5. მიუხედავად არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში გატარებული ძირეული რეფორმებისა დღემდე არსებობს მრავალი პრობლემა, რომელთა მოგვარებაც საერთშორისო სტანდარტების დონეზე ბავშვთა უფლებების დაცვის განსახორციელებლად აუცილებელი არის.

6. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ კანონმდებლობის ხარვეზებსა თუ პრაქტიკაში არსებულ პრობლემებზე, უმეტეს შემთხვევაში ძირითად პრობლემას მაინც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ საზოგადოების ზედმეტად მკაცრ დამოკიდებულებაში ვაწყდებით.

**Tatia Natchkebia**
*Georgia*
*Guram Tavartkiladze Teaching University*
*Law*
*Bachelor's programme, VIII semester*

## Juvenile Crime

Scientific supervisor - Professor **Venedi Benidze**

1. Juvenile justice in the sphere of protecting rights is very important.

2. During the last years many successful steps were made in juvenile justice according to international standards though, we still have some problems.

3. When the committed criminal act committed by a juvenile is known for society, it often happens that he/she becomes guilty. Society often turns away from a juvenile, because they think he/she will commit the same crime.

4. The attitude to the juvenile offender is especially important. The reparative justice arrangement is the most important, because the reason of this whole process is to push criminal to realize his/her act result and express sympathy to the sufferer.

5. In spite of making reforms in the sphere of juvenile justice, there are many problems and it is necessary to settle them on the international standards.

6. To my mind, we are able to speak much about legislation lacuna or about problems in our practice, but we have the common problem in strict attitude to juvenile who are in conflict with law.

**შოთა მახათაძე, ნინო თედეშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*სამართალი*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## ფულის გათეთრების პრობლემური საკითხები

ხელმძღვანელი - პროფესორი **ნონა თოდუა**

1. შესავალი და ცნება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა.

2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური შემადგენლობა და დაცვის ობიექტი. ქმედების ამ დელიქტით კვალიფიკაციისათვის აუცილებელი წინაპირობები. მათ შორის დანაშაულის საგანი, დანაშაულის ჩადენის ხერხი და სხვ.

3. ამსრულებლის მიზნის განსაზღვრა და ამ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის განხილვა არაპირდაპირი განზრახვით.

4. პრედიკატული დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს თუ არა ფულის გათეთრების ამსრულებელიც.

5. მსგავსება და განსხვავება ფულის გათეთრებასა და მითვისებას შორის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

6. დასკვნა.

**Shota Makhatadze, Nino Tedeshvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Law*
*Bachelor's programme, VI semester*

## Problematic Issues of Money Laundering

Scientific supervisor – Professor **Nona Todua**

1. Introduction and concept of crime of money laundering.

2. Objective composition and defense object of money laundering. Essential prerequisite for money laundering, for example, object of the crime, way of commit crime, etc.

3. Executor's purpose and possibility to commit money laundering for indirect intent.

4. Whether it is possible or not a person be blamed for money laundering when he/she commits a predicative crime.

5. Similarities and differences between money laundering and misappropriation committed by abusing the official position.

6. Conclusion.

**ლინდა ჩხიტუნიძე**
*საქართველო*
*გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი*
*სამართალი*
*ბაკალავრიატი, VIII სემესტრი*

# უკანასკნელ პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებით განხორციელებული ტერორისტული აქტების იურიდიული საფუძვლები

ხელმძღვანელი - პროფესორი **გივი ლობჟანიძე**

1. XXIსაუკუნისერთ-ერთი სერიოზულიპრობლემაა ტერორიზმი.იგიტრანსნაციონალურ დანამატთა რიცხვს მიეკუთვნება და გავრცელებულია არა მარტო მესამე სამყაროს სახელმწიფოებში, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც.

2. ტერორიზმია ძალადობის გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. შეიარაღებული თავდასხმა, რომლის მიზანია არა მოწინააღმდეგისადმი რაიმე სტრატეგიული ზიანის მიყენება, არამდე შიშის დანერგვა, შანტაჟი. მაგრამ ტერორისტულიაქტიშეიძლებამიმართულიიყოსადამინებისწინააღმდეგ, რომლებსაც ტერორისტების პოლიტიკურ პოზიასთან საერთო არაფერი აქვთ.

3. ტერორიზმი ეს არის სისხლს სამართლებრივი დანაშაული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323 მუხლიდან 331(2) ჩათვლით სწორედ ამ საკითხს ეხება.

4. თემაში მოცემულია ზოგადად ტერორიზმის ცნება და თანამედროვე ტენდეციები.

5. თემაში აქცენტი გაკეთდებულია უკანასკნელ პერიოდში მომხდარ ტერორისტულ აქტებზე, რომელიც განხორციელებულია სატრანსპორტო საშუალებების მეშვეობით. მსგავსი სახის ტერაქტი უკვე მასიურ სახეს იძენს. იგი არაერთ ქვეყანაში მოხდა, განსაკუთრებით ბოლო ხანებში. შესაძლებელია გაკეთდეს გარკვეული დასკვნები ამასთან დაკავშირებით. ითქვას ის, რომ ნელ-ნელა იცვლება ტერირისტული აქტების განხორციელების ტაქტიკა და საშუალებები.

6. ნაშრომი მოიცავს ისეთი ქვეყნების მაგალითებს როგორიცა, საფრანგეთში, გერმანიაში დასხვაქვეყნებშისატრანსპორტოსაშუალებებითგანხორციელებული ტერორისტული აქტები და მის შედეგები.

**Linda Chkhitunidze**
*Georgia*
*Guram Tavartkiladze Teaching University*
*Law*
*Bachelor'programme, VIII semester*

## Legal Basis for Terrorist Acts Recently Conducted by Means of Transport

Scientific supervisor - Professor **Givi Lobzhanidze**

1. Terrorism is one of the serious problems in XXI century. It is one of transnational supplements and is spread not only in the third countries, but also in developed countries.

2. Terrorism is an armed attack aimed at intimidating and blackmailing an enemy rather than inflicting strategic damage. But the terrorist act can be directed against people who have nothing to do with the political posture of terrorists.

3. Terrorism is a criminal offense. The Articles 323 - 331(2) of the Criminal code concerns this very issue.

4. The paper discusses the general concept of terrorism and current trends.

5. The paper focuses on terrorist acts recently conducted by means of transport. A lot of countries have faces similar terrorist recently. Certain conclusions can be made in this regard. It can be said that the tactics and means of implementing terrorist acts of terroristic are gradually being changed.

6. The paper discusses the examples of countries like France, Germany and others countries terrorist acts were committed by means of transport.

**მარიამ ჭამიაშვილი**
*საქართველო*
*გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი*
*სამართალი*
*ბაკალავრიატი, VIII სემესტრი*

## ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში

ხელმძღვანელი - პროფესორი **შენგელ ფიცხელაური**

1. 2010 წელს საქართველოში ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელშიც ინოვაციური იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ 7 წელი არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი დღემდე აქტუალობას არ კარგავს.

2. აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნანატრი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამერიკული მისწრაფება იყო მაქსიმალურად ყოფილიყვნენ დაცულნი სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად

გამოყენებისგან.

3. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობა პრობლემატურია, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არ სურს მონაწილეობა მიიღოს მართლმსაჯულების განხორციელებაში, მაშინ როცა აშშ-ში ნაფიც მსაჯულად წოდება დიდ პატივად ითვლება, სწორედ ამიტომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა შერჩევა დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს.

4. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი თვლიან რომ მისი არსებობა დემოკრატიული სახელმწიფოს გარანტს წარმოადგენს, ხოლო მეორენი მიიჩნევენ რომ სამართალ არ მცოდნე ადამიანი ვერ მიიღებს სწორ და სამართლიან გადაწყვეტილებას.

5. ბრალდებულის უფლებამოსილებაა პროცესში ნაფიც მსაჯულები მიიღებენ თუ არა მონაწილეობას, ყოველივე მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

6. ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**Mariam Chamiashvili**
*Georgia*
*Guram Tavartkiladze Teaching University*
*Law*
*Bachelor'programme, VIII semester*

## The Institute Jurymen in Georgia

Scientific supervisor - Professor **Shengel Pitskhelauri**

1. A new Criminal Procedure Code was enacted in Georgia in 2010, in which the establishment of jurymen court was innovation. Despite the fact that of existing the institute of jurymen was established 7 years ago, it is still rather topical.

2. Establishing the institute of jurymen in the USA played the main role gaining the coveted independence. American aspiration was to be protected from abusing power as much as possible.

3. In Georgia, the institute of jurymen is problematic, because the majority of population have no desire to take part in justice, though to be a jurymen is a big honor in the USA. That is why it needs much time and effort to select jurymen in Georgia.

4. There is a big disagreement about the institute of jurymen. One part of people think that it is a guarantee of democratic state, and others think that people without legal education cannot make right and fair decisions.

5. It is the accused's right to let jurymen to participate in the process. It depends on his/ her wish.

6. The jurymen's verdict is final and cannot be appealed.

# ეკონომიკისა და ბიზნესის სექცია
Section of Economics and Business

**ივდითი შვანგირაძე**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*ტურიზმი ბაკალავრიატი, VIII სემესტრი*

## სათავგადასავლო და ექსტრემალური მარშრუტების განვითარება საქართველოში

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **მაია მელაძე**

1. ტურიზმი ხალხთა შორის კავშირისა და ახალი ურთიერთობების დამყარების საშუალებაა. საქართველოს, როგორც ტურიზმისათვის საუკეთესო დანიშნულების ქვეყანას, ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია მნახველთათვის - უნიკალური ადგილობრივი კულტურა და ბუნებრივი სიმდიდრე; ტურიზმის განვითარებისათვის არაჩვეულებრივი ადგილმდებარეობა და კლიმატი. აქ შეგვიძლია, როგორც მთიანი რეგიონის, ასევე დაბლობის განვითარება.

2. ბოლო პერიოდში საქართველოში აქტუალური გახდა სათავგადასავლო და ექსტრემალური ტურიზმი, ისეთი სახეობები როგორიცაა: ალპინიზმი, ჯომარდობა, კაიაკინგი, კანიონინგი. საქართველოს შეუძლია სხვა მრავალი ექსტრემალური სახეების განვითარება თავისი ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარე. საქართველოს ყველა რეგიონისათვის განსაკუთრებით სპეციფიკური ნიშანი და ტრადიციაა დამახასიათებელი, თუმცა ერთი საერთო მახასიათებელი ეს არის ქართული განთქმული წეს-ჩვეულებები.

3. ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა კარგად შევისწავლოთ და შევქმნათ ახალი განსხვავებული და მრავლისმომცველი ტურისტული პროდუქტი, მაგ. შეგვიძლია მითების და ტრადიციების ერთმანეთში შერწყმა და მისი ტურებში ჩართვა, გზების მოწყობა მიუვალ ადგილებში, საბაგირო გზები, ხიდები მთებს შორის, მოყვარულთათვის თოკების გაბმა მთებს შორის და ჩანჩქერების თავზე, დაცულ ტერიტორიებზე კოტეჯების მოწყობა, როგორც ევროპის არაერთ მთიან ქალაქს აქვს. ასევე შესაძლებელია მსგავსი კოტეჯების მოწყობა, როგორც ეს ნორვეგიაშია იგლუს სასტუმრო. როგორც ზემოთ ვახსენეთ საქართველოს ყველა კუთხეს გააჩნია თავისი მითი, ლეგენდა რაც საშუალებას გვაძლევს ის გამოვიყენოდ, როგორც ტურის ელემენ-ტი, მაგ. როგორც ეს არის სათაფლიის ნაკრძალში და ეს მნახველების აღტაცებას იწვევს.

4. საქართულ ისტორიულ მითოლოგიიდან ბევრი ცნობილი გმირი გვყავს ესენია: იახსარი, კოპალა, პირქუში, ბერი ბაადური, თერგვაული, ლაშარის გიორგი, გიორგი ნაღვარმშვენიერი(ხახმატის ჯვარი), ფუძის ანგელოზი პირიმზე, ხმალა, გუდანის ჯვარი, წყაროსთაული, შუბნური და ა.შ ამ მითოლოგიური პერსონაჟების ტურში ჩართვა დააინტერესებს არამარტო უცხოელ, არამედ ქართველ მნახველსაც, რითაც ისინი გაეცნობიან კუთხის ბუნებას, ისტორიას, ლეგენდასა და რწმენა-წარმოდგენებს.

5. მითების შერწყმა ბუნებასთან კარგი ვარიანტია ტურისტების დასაინტერესებლად და მათ მოსაზიდად, მაგ. ხევსურეთის ტურზე, როდესაც გიდს აყავს ტურისტი და უყვება ლეგენდას დევის დამარცხებაზე და ამავე დროს მნახველს შეუძლია დაინახოს მოთოლიგიური გმირების ძეგლები, ამ სტრატეგიებს წარმატებით იყენებენ ჩინელები, იაპონელები და სხვა ეგზოტიკური ქვეყნები. საქართველოს მდიდარი ბუნებრივი და კულტურული რესურსების მაქსიმალური გამოყენებითა და ახალი ტურისტული პროდუქტის შეთავაზებით შევძლებთ სხვადასხვა ინტერესების მქონე მოგზაურების მოზიდვას.

**Ivditi Shvangiradze**
*Grigol Robakidze University*
*Tourism*
*Bachelor's programme, VIII semester*

## Adventure and Extreme Routes in Georgia

Scientific supervisor - Associate Professor **Maia Meladze**

1. Tourism is establishing new connections between people. Georgia, as the best destination for tourism, offers a lot to visitors - a unique local culture and natural wealth, unusual location and climate for tourism development. We can develop tourism in the the mountainous regions as well as the lowlands.

2. In recent times, adventure and extreme tourism has become urgent in Georgia, such as alpinism, rafting, kayaking, canyoning. Georgia can develop many other extreme tourism types based on its natural resources.

3. For tourism development we need to study and create a new, diverse and comprehensive tourism product. We can combine myths and traditions and engage in tours arranging roads, uninhabited roads, bridges between mountains, gutters for amateurs and cottages on the top of the waterfalls as well as many mountainous cities of Europe. It is also possible to arrange similar cottages as it is Iguazu hotel in Norway. As we have mentioned above, every region of Georgia has its myth, a legend that enables us to use it as a tour element as it is in Sataplia Nature Reserve and is a delight to visitors.

4. There are many well-known heroes in Georgia's historical mythology: Jakhsari, Kopala, Pirukushi, Beri Baaduri, Tergvuli, Lashari Giorgi, Giorgi Naghvmshvenieri (Khakhmat cross), Angel of the Base, Sword, Gudan's Cross, etc. Involvement of these mythological characters in the tour will be interested not only for foreigners but also for Georgian visitors; they will get acquainted with the nature, history, legend and beliefs.

5. Merging the myths is a good option to attract tourists. With the utmost utilization of Georgia's rich natural and cultural resources and offering new tourist products we will be able to attract travelers of different interests.

**ინეზა შარაშიძე, მარიტა ჭყონია**
*საქართველო*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ეკონომიკა*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## სტუდენტთა დასაქმების პრობლემები საქართველოში

ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ნატალია რობიტაშვილი

1. საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების ფონზე დასაქმება ყველაზეა ქტუალური თემაა, რომელიც იყო და რჩება მწვავე პრობლემად, რომლის პირველ დარტყმას სწორედ სამუშაოს მაძიებელი მოსახლეობა იღებს.

2. საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური შრომის ბაზარი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია და ამ სფეროში ბევრი პრობლემა და გამოწვევა არსებობს. ამ პრობლემებს შორის განსაკუთრებით აქტუალურია სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მკვეთრი დისბალანსი, უმუშევრობის მაღალი დონე და სამუშაო ძალის დაბალი ღირებულება.

3. უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ახალგაზრდებში დგას. ყველაზე მნიშვნელოვანია 18-24 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, რომლებიც პირველად გადიან შრომის ბაზარზე. როდესაც სტუდენტებმა ფიქრი საქმედ უნდა აქციონ და იბრძოლონ დასაქმებისთვის რამდენიმე პრობლემა იჩენს თავს, რომელთაგან აღსანიშნავია :სრულ დატვირთვა ელემენტარული ანაზღაურების ხარჯზე, სწავლასთან შეუთავსებელი გრაფიკი, სამუშაოს დეფიციტი და უმთავრესი სამუშაო, სადაც ახალგაზრდებს ორ ან მეტ წლიან გამოცდილებას თხოვენ. სიტუაციას ამძიმებს განათლების სისტემის პრობლემაც. ახალგაზრდები საკუთარი არაკვალიფიციურობის გამო კარგ სამსახურს ვერშოულობენ, რაც, თავისმხრივ, ხელსუწყობსახალგაზრდებშიპროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების დაქვეითებას.

4. უტყუარ და რეალურ სურათს მოვლენის განვითარების შესახებ სწორედ სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი ანალიზი იძლევა.

**Ineza Sharashidze, Marita Chkonia**
*Georgia*
*Batumi Shota Rustaveli State University*
*Economics*
*Bachelor's programme, VI semester*

## Student Employment Problems in Georgia

Scientific supervisor – Assistant Professor **Natalia Robitashvili**

1. Unemployment is a widely discussed topic in Georgia on the background of socioeconomic and political developments. Unfortunately, population faces the very problem every single day.

2. Labor and adequate economic markets are still in the phase of formation. There are still a lot of problems and challenges in this field. There is a vivid misbalance between workforce demand and support. Unfortunately, we have a high rate of unemployment and, on the other hand, low-cost labor force.

3. The unemployment problem is especially acute in younger generation. Most important are young people aged 18-24 who are trained for the first time in the labor market. When students start to think about the issue and work to fight the employment of a number of issues arise, such as: full load at elementary compensation expense, the studies are inconsistent with the schedule, the job shortage and the mainly the work where two or more years of experience is required. The problem of education system makes the situation more complicated. Young people do not get a good job because of the lack of qualification what, in its turn, decreases professionalism and conscientiousness in young people.

4. One can see the real picture of data development with the help of statistics based on their analysis.

**ნათია მაისურაძე**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბიზნესის ადმინისტრირება*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## ორგანიზაციის წარმატებაზე მოქმედი ფაქტორები

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **ნინო ფარესაშვილი**

1. დღესდღეობით გლობალიზაციის პირობებში თითოეული ორგანიზაცია საზღვრებს სცდება და ცდილობს მოიცვას მსოფლიო ბაზარი. ამ თანამედროვე კონკურენტულ გარემოში თითოეული მათგანი ცდილობს გადარჩეს და გააგრძელოს ფუნქციონირება გიგანტ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მოიპოვოს უპირატესობა და გახდეს წარმატებული.

2. ორგანიზაციის წარმატების ფაქტორები უამრავია, იქნება ეს შიგა თუ გარე ფაქტორები. ორგანიზაციამ უნდა იმუშაოს თითოეულ მათგანზე, თუმცა მათი განხილვა და კვლევა ერთდროულად ძალიან რთულია. თუმცაღა, ორგანიზაციის წარმატებისათვის

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ძირითად ფაქტორებს სწორი მართვა, წარმატებული და ორგანიზაციის მიზნების შესაფერისი კორპორაციული კულტურის დანერგვა და ინოვაცია წარმოადგენს. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს ორგანიზაციის წარმატებულ ფუნქციონირებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ეს ის ფაქტორებია, რომლებიც ყველაზე მეტ ყურადღებას და კვლევას საჭიროებს. ბუნებრივია მათ კვლევაზე უნდა იყოს მიმართული დრო, ენერგია და ფინანსური რესურსი. აუცილებელია გაანალიზებულ იქნას კვლევის შედეგები, ვინაიდან სწორედ ეს შედეგები იძლევა საწარმოს კონკურენტუნარიანობის შეფასების შესაძლებლობას, გვიჩვენებს გზებს თუ როგორ შეიძლება გავაუმჯობესოთ და გავაძლიეროთ ორგანიზაციის ძლიერი მხარეები, რა სუსტი მხარეები აქვს და როგორ აღმოვფხვრათ ისინი. ამ ყველაფერს ნათლად დავინახავთ ნაშრომში გაანალიზებული კვლევების შედეგების მიხედვით.

**Natia Maisuradze**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Business Administration*
*Bachelor's preogramme, VI semester*

## Factors Conditioning an Organization's Success

Scientific supervisor – Associate Professor **Nino Paresashvili**

1. Today, in the age of globalization, each organization goes beyond borders and tries to comprise the world market. In this modern competitive environment, each of them tries to survive and continue operating with giant international companies, get competitive advantages and be successful.

2. There are a lot of factors (internal and external) that condition success of an organization. Organization should work on each of these factors; however, it is very difficult to examine and research them at the same time. Though, there are some basic essential factors which ensure success of an organization - to manage properly, implement successful and appropriate corporate culture and innovation. Namely these factors condition successful functioning of an organization and increase competitiveness. These factors require special attention and research, time, energy and financial resources. The results of the research should necessarily be analyzed, as exactly these results give us possibility to evaluate the competitiveness of an organization; they show us the ways how to strengthen and improve strengths of an organization, how to find weaknesses and eradicate them. All of the above-mentioned will be discussed in the paper.

**ნიკა მარკოზაშვილი**
*საქართველო*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*
*სამართალმცოდნეობა*
*მაგისტრატურა, II სემესტრი*

## მცირე და საშუალო ბიზნესის როლი საქართველოს ეკონომიკაში და მისი განვითარების ტენდენციები

ხელმძღვანელი – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი **გიორგი ყაზიშვილი**

1. მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მას აქვს დიდი პოტენციალი განვითარდეს და შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები, გაზარდოს ქვეყნის ექსპორტის მაჩვენებელი, ხელი შეუწყოს ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებას და სხვ.

2. მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკაში საკმაოდ დიდი წილი მცირე და საშუალო საწარმოებსა და ბიზნესებს უკავიათ, ყოველი ორი დასაქმებული სამიდან აღნიშნულ სექტორშია დასაქმებული.

3. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში გატარდა არაერთი ეკონომიკური რეფორმა, რაც გამოიხატა ეკონომიკის ლიბერალიზაციაში, ადმინისტრაციული ბარიერების შემცირებაში, საგადასახადო სისტემის გამარტივებაში, კორუფციასთან ბრძოლაში და სხვ. 2015 წელს საქართველო აღიარებულ იქნა როგორც ტოპ რეფორმატორი ბიზნესის წამოწყებაში. 2014 წელს ევროკავშირთან ხელმოწერილი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სივრცის შესახებ შეთანხმებით საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესს კიდევ მეტი შესაძლებლობა მიეცა განვითარებისათვის.

4. მიუხედავად არაერთი დადებითი ტენდენციისა, არსებობს გარკვეული პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას საქართველოში.

5. ნაშრომში განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი და მნიშვნელობა, ყურადღება გამახვილებულია მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში არსებულ დადებით და უარყოფით ტენდენციებზე, მის განვითარებაზე მოქმედ ხელშემწყობ და ხელშემშლელ ფაქტორებზე, მოცემულია შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები. ავტორის მიერ ჩატარებული კვლევისა და მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია მოცემული საკითხისადმი მისი ხედვა და რეკომენდაციები.

**Nika Markozashvili**
*Georgia*
*Gori State Teaching University*
*Law*
*Master's programme, II semester*

## Small and Medium-sized Enterprises in Georgian Economics and Its Development Tendency

Scientific supervisor - Doctor of Business Administration **Giorgi Kazishvili**

1. Small and medium-sized enterprises play a significant role in the development of the state's economy. It has a great potential to develop and create additional workspaces, raise export indicator, support development of innovation technologies, etc.

2. Leading economics small and medium-sized enterprises and businesses play an important role; every 2 employed out of 3 is working in this sector.

3. Over the last year, Georgia ran a lot of reforms that were reflected in liberalization of economy, decreasing administrative barriers, taxation system simplification, fighting against corruption, etc. In 2015, Georgia was considered as top reformer country in starting a business. In 2014, Georgia signed DCFTA Agreement (Deep and Comprehensive Free Trade Areas) that gave additional field to Georgian small and medium sized enterprises.

4. Despite positive tendencies, there are still some problems that are hindering the development of SMEs in Georgia.

5. The paper discusses the role and importance of Small and Medium-sized businesses. It mostly focuses on SME's positive and negative tendencies, advantages and drawbacks of its development, and corresponding statistical data. The author, according to the surveys and statistical analysis, presented his views and recommendations.

**თამარ იალანაშვილი**
*საქართველო*
*კავკასიის უნივერსიტეტი*
*ეკონომიკა*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## საპენსიო რეფორმის თანამედროვე გამოწვევები საქართველოში

ხელმძღვანელი - **მედეა ზურაბიშვილი**

1. დღეისათვის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, პოლემიკას იწვევს სწორი საპენსიო პოლიტიკის შემუშავება. ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მატულობს ასაკით პენსიონერთა რიცხვი, ამავდროულად იკლებს შობადობა, რასაც მივყავართ შრომისუნარიან მოსახლეობის რაოდენოების შემცირებასთან. ეს ფაქტორი კი ზეწოლას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტზე. პენსიონერთა „შენახვა" თანდათან უფრო რთულდება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფო გეგმავს ახალი საპენსიო რეფორმის დანერგვას.

2. ახალი საპენსიო რეფორმა ითვალისწინებს 2 სახის სტრატეგიას: სოციალური პენსიის ზრდის მექანიზმის შემუშავებას (ინდექსაციას) და დამატებითი საპენსიო სისტემის კომპონენტის - კერძო დაგროვებითი საპენსიო მოდელის დანერგვას.

3. ამ საკითხმა ჩემი დაინტერესება გამოიწვია, ამიტომ ნაშრომში შევეცადე განმეხილა ახალი საპენსიო რეფორმის შემოთავაზებული მოდელი, ამავე დროს წარმომეჩინა რეფორმასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები და გამეანალიზებინა იქნება თუ არა ეფექტური ეს სისტემა საქართველოში.

4. დღეს საქართველოს საპენსიო სისტემა ორ ნაწილად იყოფა:
- სახელმწიფო საპენსიო სისტემა;
- არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა.

5. დღევანდელ პირობებში, სახელმწიფო პენსია ასრულებს სოციალური დახმარების ფუნქციას და არაფერი აქვს საერთო პენსიის შინაარსთან. კერძო საპენსიო დაზღვევის ბაზარი კი ხასიათდება დაბალი ზრდის ტემპით. სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი 14 სადაზღვევო კომპანიიდან მხოლოდ ორს გააჩნია კერძო საპენსიო დაზღვევა. ეს კომპანიები მომხმარებელს სთავაზობენ საპენსიო ასაკის მიღწევისას ორი სახის პენსიას: უვადო (მუდმივ) პენსიას და განსაზღვრული ვადით გასაცემ პენსიას.

**Tamar Iaganashvili**
*Georgia*
*Caucasus University*
*Economics*
*Bachelor's programme, IV semester*

## Modern Challenges of Pension Reform in Georgia

Scientific supervisor – **Medea Zurabishvili**

1. Nowadays, development of right pension policy leads to severe debates in many countries of the world, among them in Georgia. Every year, the number of pensioners rapidly increases; at the same time the birth rate decreases and migration also increases, which leads to a reduction of working population. This factor puts pressure on state budget. It is getting harder to "maintain" the pensioners. For solving this problem, the state has planned a new pension reform, but in spite of this, it is essential to increase the role of non-state pension system as the main thing for social security.

2. This new pension reform includes 2 strategies: to devise mechanism of social pension growth (indexation) and additional pension system's component - private accumulative pension model.

3. The pension model is meticulously analyzed in the paper and compared t with other models which existing in foreign countries. Perils connected to this system, its (system's) benefits or disadvantages are also discussed. The author tries to answer the question: How it will adjust to our country.

4. Today, Georgia's pension system has 2 parts:
   - State pension system;
   - Non-State pension system.

5. Nowadays, state pension system has a function of social help and nothing has common with the content of pension. Private pension insurance market is characterized by low rate of increase. There are 14 insurance companies in the insurance market and only 2 of them have private pension insurance. These companies offer consumers 2 kinds of pension, when they rich the age of pension: life-long (permanent) and terminable pension.

**მარია არქანია**
*საქართველო*
*შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი*
*ეკონომიკა და ბიზნესი*
*ბაკალავრიანი, VI*
*სემესტრი*

## „ვარდების რევოლუციის" ეკონომიკური ტრანსფორმაცია

ხელმძღვანელი - მოწვეული ლექტორი **მათე გარდავა**

1. ეკონომიკური ტრანსფორმაცია გულისხმობს საწყის ეტაპზე პოსტსოციალისტური ქვეყნების მოდერნიზაციას, ანუ ძველიდან ახალ სისტემაზე გადასვლას,თავის მხრივ, ეს, ძირითადად, დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას გულისხმობდა. ამ ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური კომპონენტების გარდა, ტრანზიციას სხვადასხვა, მათ შორის, სოციალური, კულტურული, მენტალური, ღირებულებითი და ა.შ. განზომილებებიც გააჩნდა, რომელთა ერთობლიობამ დროთა განმავლობაში იქონია ქვეყნის პოზიციაზე გავლენა საერთაშორისო ბაზარზე. აღნიშნული ტრანსფორმაციის პირობებში განხორციელდა უამრავირეფორმა,რომელსაცგააჩნდა,როგორცდადებითი,ასევეუარყოფითიმხარეები .რეფორმა ნამდვილად აუცილებელი ნაბიჯი იყო ქართული სახელმწიფოსათვის, ვინაიდან ის ასოცირებულია წინსვლასთან ,თუმცა მეორე საკითხია, თუ რამდენად სწორად გატარდა ესა თუ ის კონკრეტული რეფორმა პრაქტიკაში .

2. ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული რეფორმა გახლდათ პრივატიზაცია, რაც უდაოდ დადებითი მოვლენაა, თუმცა ჩვენს რეალობაში ყველაზე გამართლებულია არა ქონების გაყიდვა, არამედ მისი უფასო პრივატიზება. საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს კერძო საკუთრების დომინირებას. საქართველო, როგორც პოსტკომუნისტური სახელმწიფო, ჯერ კიდევ ვერ ახერებს მის ფორმირებას. დღეს სახელმწიფო საკუთრებაშია ქვეყნის ძირითადი აქტივების 60-70%, რომელთა უმეტესი ნაწილი უნდა იყოს კერძო მესაკუთრეების საკუთრებაში. ერთადერთი გზა, რათა მოხდეს ამ ქონების ტრანსფორმაცია კერძო საკუთრებად არის მისი უფასო პრივატიზაცია!

3. ტრანსფორმაციის პროცესში გამოყენებული ეკონომიკური პოლიტიკა არ იყო საკმაოდ თანმიმდევრული, რის შედეგადაც ვერ მოხდა ეკონომიკური განვიტარების თვალსაზრისით დიდი პროგრესი. მოხდა არა ეკონომიკის მამოძრავებელი ღრმა სტრუქტურული ტენდენციების (სექტორული, შრომის ბაზრის, ტექნოლოგიური, სავაჭრო) შეცვლა, არამედ ძირითადად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და აქცენტების გადათამაშება სექტორებს შორის .

**Maria Arkania**
*Georgia*
*International Black Sea University*
*Management*
*Bachelor's programme, VI semester*

## The Economic Transformation of the "Rose Revolution"

Scientific supervisor – Invited lecturer **Mate Gardava**

1. Economic transformation implies the modernization of post-socialist countries at the initial stage. It is the transition from old to new system, in turn, mainly on the establishment of a democratic system and market economy. In addition to these basic political and economic components, transition is different, including social, cultural, mental value, etc. There were also dimensions, which had over time influenced the country's position on the international market. There were a lot of reforms that had positive and negative sides in the conditions of the transformation. Reformation was definitely a necessary step for the Georgian state, as it is associated with progress, but the second issue is whether or not this particular reform has been implemented correctly.

2. One of the most widespread reforms was privatization, which is a positive phenomenon, but in our reality it is most justified not to sell property, but its free privatization. Market economy requires private ownership domination. Georgia, as a post -communist state, still cannot shape its formation. Today, state ownership is 60-70% of the country's assets, most of which should be in the ownership of private owners. The only way to make this property transition private property is its free privatization!

3. The economic policy used in the transformation process was not quite consistent, and as a result, there was not much progress in economic development. There was no change in the economy of the deep structural trends (sector, labor market, technological, trade), but mainly the improvement of infrastructure and the concentration of focus between the sectors.

**დავით ვაჩიბერაძე**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*მენეჯმენტი*
*ბაკალავრიატი, II სემესტრი*

## კონფლიქტების მართვის თავისებურებები ბიზნეს კომპანიებში

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **ვასილ კიკუტაძე**

1. სიტყვა კომფლიქტი ლათინური სიტყვა და „შეტაკებას“ ნიშნავს. კონფლიქტში მონაწილეობს ორი ან მეტი მხარის ინტერესების, მიზნების, შეხედულებების დაპირისპირება, რეალური ან წარმოსახული. სინამდვილეში კონფლიქტს გაჩნია ორი მხარე. უარყოფითი მხარე ის არის, რომ კონფლიქტი აფუჭებს ურთიერთობებს,

ვნებს საქმეს, იწვევს სტრეს და ნერვულ აშლილობას. მაგრამ პრაქტიკაში საქმე არც თუ ისე მარტივადაა. კონფლიქტის გარეშე პროგრესი შეუძლებელია. ნებისმიერი ახალი, იდია, გამოგონება, ინიციატივა, გარდაუვალ კონფლიქტში შედის ძველთან და მასთან ბრძოლაში მკვიდრდება. ასე რომ, კონფლიტქს შეიძლება მოჰყვეს როგორც უარყოფითი, ასევე, დადებითი შედეგები.

2. კონფლიქტი ხშირად თავს იჩენს კომპანიებში. კომფლიქტი მაშინ ხდება, როდესაც ხელმძღვანელები ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას; ისინი იკმაყოფილებენ თავიანთ პირად ინტერესებს და არ ითვალისწინებენ თანამშრომლების უფლებებს, ინტერესებს, რაც იწვევს მათ შორის დაპირისპირებას. კვლევებმა აჩვენა, რომ წინაკომფლიქტური სიტუაციის კონფლიქტურში ტრანსპირმაციის დროს პირადი ინტერესი რამდენადმე მცირდება, ძლიერდება დაცვითი ინსტიქტები, ხდება საკუთარი ავტორიტეტის განმტკიცება. აქედან გამომდინარე, ყველა წევრი ცდილობს პირადი სარგებლის ან უპირატესობის დამტკიცებას.

3. ნებისმიერი დაპირისპირება როდესმე მთავრდება. კონფლიქტის ამოწურვის მიზეზი ბევრნაირია. დაპირისირება შეიძლება მოაგვარონ თვითონ მასში ჩართულმა მხარეებმა ან „მესამე მხარემ“. ნაბიჯი მოლაპარაკებისკენ შეიძლება გადადგას ერთმა ან ორივე მხარემ. ეს ჯერ არ ნიშნავს, რომ მხარები ერთმანეთს მტრად არ განიხილავენ. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მხარეების ეფექტურობა ძალის გამოყენებაში ტოლია და ისინი მზად არიან მოლაპარაკებისთვის.


**Davit Vachiberadze**

*Georgia*

*Grigol Robakidze University*

*Management*

*Bachelor's programme, II semester*


## Peculiarities of Conflict Management in Business Companies

Scientific supervisor – Associate Professor Vasil Kikutadze

1. The word "Conflict" is a Latin word and means "Attack". Controversy of real and imagined interests, goals and ideas of two or more parties participates in conflict. In fact, the conflict has two sides. The negative side is that the conflict damages relations, does harm to business and causes stress and nervous disorder. But the matter is not so simple; the progress without conflict is impossible. Any new idea, invention, initiative enters to the old one in an inevitable conflict and inculcates with it in the fight. So that the conflict can lead to negative as well as positive results.

2. The conflict often appears in companies. The conflict occurs when leaders cannot fulfill their duties; they satisfy their personal interests and not consider the rights, interests of employees that cause controversy among them. The researchers showed that during transformation of pre-conflict situation into conflict the personal interest is reduced to some extent, the security instincts are strengthened, own authority is improved. Therefore, all members try to approve personal profit or advantage.

3. Any controversy ends someday. There could be many reasons for ending conflicts. The controversy may be settled by the parties engaged in it or by the "third person". The step for negotiation may be taken by one or both parties. It does not means that parties do not consider each

other as enemies. It only means that efficiency of the parties to use force is equal and they are ready to negotiate.

**დავით თოთაძე**
*საქართველო*
*კავკასიის უნივერსიტეტი*
*სოციოლოგია*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## საქართველო მინერალური წყლების ბაზარზე

ხელმძღვანელი - პროფესორი **მაია გონაშვილი**

1. მინერალურ წყლებზე მოთხოვნა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, სულ უფრო იზრდება. ჩვენი ქვეყანა მინერალური წყლების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ დროისათვის, დაახლოებით, 2 300 მინერალური წყაროა რეგისტრირებული, რომელთა ჯამური რეზერვი, ყოველწლიურად, 103 მილიონ ლიტრს შეადგენს. დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ წყაროთა რეალური რაოდენობა ბევრად მეტია და სახელმწიფოს მინერალური წყლების წარმოების პრიორიტეტულ მიმართულებად ქცევისკენ მოუწოდებენ.

2. ამჟამად, კომერციული წარმოება მხოლოდ რამდენიმე წყაროზე მიმდინარეობს. ამის მიზეზად კი მთელი რიგი ეკონომიკური თუ სოციალური ფაქტორები სახელდება. დღეის მდგომარეობით, მინერალური და ბუნებრივი სასმელი წყლების მწარმოებელი საწარმოების რიცხვი 23-ს შეადგენს, თუმცა მათგან საექსპორტო რაოდენობას ბაზრის, მხოლოდ, რამდენიმე მსხვილი მოთამაშე ქმნის. საერთო ჯამში, 2016 წლის მდგომარეობით, ექსპორტზე გასული მინერალური წყლების ღირებულებამ 79 434,3 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტირებულმა კი - 78,1 ათასი აშშ დოლარი. ექსპორტსა და იმპორტს შორის ასეთი მკვეთრი სხვაობა, თითქოს, დადებითი პროგნოზების გაკეთების საშუალებას უნდა გვაძლევდეს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ფაქტს, რომ ქვეყნის არსებული პოტენციალის, მხოლოდ, მინიმალური რაოდენობაა გამოყენებული, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თუ რამხელა მატერიალურ სიკეთეზე ვამბობთ უარს.

**Davit Totadze**
*Georgia*
*Caucasus University*
*Sociology*
*Bachelor's programme, IV semester*

## Georgia on Mineral Waters Market

Scientific supervisor - Professor Maia Gonashvili

1. Demand on mineral waters is increasing in the world. Georgia is not an exception. Our country is the country where there are many varieties of mineral waters. At this time, approximately 2 300 mineral water springs are registered and every year their reserve equals 103 million liters.

Experts in this field say that the real number of springs is much more and they advise the government to use this source in a different way.

2. Nowadays, there are several commercial productions caused by many economic and social factors. At this time, there are 23 mineral and natural water production companies, but only some of them produce appropriate number of mineral waters which are suitable for export. If we observe the data of 2016, we will see that the cost of exported mineral waters was 79 434,3 thousand US dollars. Imported - 78,1 thousand US dollars. This difference between export and import can show us the reasons to have good forecast but we should mention that our country uses only minimum number of potential; we can imagine how big material wealth we are declining.

**გიორგი აბრამიშვილი**
*საქართველო*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*
*ბიზნესის მართვა და ორგანიზაცია*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## ლიზინგი

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **ნათია ქოქუაშვილი**

1. მოცემულ ნაშრომში განხილულია ლიზინგის მნიშვნელობა, სალიზინგო პროდუქტები და სალიზინგო კომპანიები საქართველოში.

2. განსახილველი საკითხი ეხება თუ როგორ მუშაობს ლიზინგი საქართველოში და არსებობს თუ არა მისი განვითარების პერსპექტივები.

3. საქართველოს სალიზინგო ბაზრის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები.

4. ,ალიანს ჯგუფი ლიზინგი“.

5. იქნება აგრო - ლიზინგის მნიშვნელობა.

6. რატომ ლიზინგი და არა სესხი?

7. დასკვნები და პერსპექტივები.

**Giorgi Abramishvili**
*Georgia*
*Gori State Teaching University*
*Business Management and Organization*
*Bachelor's programme, VI semester*

## Leasing

Scientific supervisor - Associated Professor **Natia Zhozhuashvili**

1. The presented work discusses the leasing value, leasing products and leasing companies in Georgia.
2. The discussing issue refers to how leasing works in Georgia and whether its development perspective exists.
3. The factors preventing the development of the leasing market in Georgia.
4. "Alliance group leasing".
5. The value of agro-leasing.
6. Why leasing and not loan?
7. Conclusions and perspectives.

**ლალი თითილოკაშვილი, თამარი გელაშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*საერთაშორისო ურთიერთობები*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახებ და მისი როლი მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის

ხელმძღვანელი - მოწვეული ლექტორი **კონსტანტინე შუბითიძე**

1. პარიზის შეთანხმება 2016 წლის 4 ნოემბერს შევიდა ძალაში. ის მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების საფრთხეზე გლობალური რეაგირების გაძლიერებას. სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმრავლესობა არ წარმოადგენს განვითარებულ სახელმწიფოს. ასეთ ქვეყნებს პარიზის კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო-კონვენციის მეოთხე მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით ევალებათ ემისიის შემცირებისკენ მიმართული ძალისხმევის გაზრდა. მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოების პროცესს, სადაც მრეწველობას უმეტეს შემთხვევებში მშპ-ს მესამედი უკავია. აირების გამოყოფის შემცირება პირდაპირ ზღუდავს მრეწველობას, რაც ვნებს ეკონომიკას.

2. განვიხილავთ ერთ-ერთ მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყანას - ინდოეთს. ასეთი სახლმწიფოები მიიჩნევენ, რომ მაღალი გარემოსდაცვითი სტანდარტების დაწესება ხელს უშლის ეკონომიკის შენებას. რთულია პირველ ადგილას დააყენო ეკოლოგიური

საკითხი, როდესაც ქვეყანაში სიღარიბე ყველაზე დიდ პრობლემად სახელდება.

3. ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციიდან განახლებად ენერგიაზე გადასვლაა, თუმცა ეკონომიკის გადაყვანა ასეთ მოდელზე საკმაოდ ძვირი ჯდება, მაგრამ ეს იქნება ყველაზე რაციონალური ქმედება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს 2020 წლიდან „მწვანე ფონდის" მიერ თანხების გამოყოფის შემდეგ.

4. ქართულ ლიტერატურაში მწირადაა ნაშრომები, რომელიც ამ კუთხით განიხილავს საკითხს და სწორედ ესაა კვლევის პრობლემაც. საკვლევი კითხვაა: როგორ აისახება პარიზის შეთანხმებაში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე? კვლევის მიზანია დავადგინოთ, თუ რა შედეგების მომტანია მოცემულისახელმწიფოებისეკონომიკისთვისპარიზისშეთანხმებაშიჩართვა. ნაშრომი მნიშვნელოვანი იქნება კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებისთვის, ეკოლოგიური პრობლემებით დაინტერესებული ადამიანებისთვის, მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შემსწავლელთათვის.

**Lali Titilokashvili, Tamar Gelashvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*International Relations*
*Bachelor's preogramme, IV semester*

## Paris Agreement about Climate Change and Its Importance for Countries with Increasing Economics

Scientific supervisor – Invited lecturer **Konstantine Shubitidze**

1. The Paris Agreement entered into force on November 4, 2016. Its central aim is to strengthen the global response to the threat of climate change. The majority of countries with rapidly developing economies are not developed states. Such countries are required to increase the efforts to reduce the emission in accordance with Framework Convention on Climate Change in Paris. Industry is essential for developing countries. Reduction of gas emissions directly limits industry, what is harmful for economy.

2. The paper discusses India – one of the countries with growing economy. Such states believe that setting high environmental standards damage economic growth. It is difficult to put an ecological issue in the first place when poverty is the biggest problem for the country.

3. The only way out of this situation is to switch to renewable energy, but this economic model is quite expensive. However, it will be the most rational action that can be made after the Green Fund's financing since 2020.

4. In Georgian literature, works on this issue are scarce and this is the problem of the research. Research question is: How Paris Agreement's implementation will effect on the economics of the developing countries? The purpose of the research is to find out what the result of the involving in Paris Agreement for the growing economics countries will be. The work will be important for people attending the conference, for people interested in ecological problems, for people studying countries with growing economies.

**ანა ჩატინიანი**
*საქართველო*
*გურამთავართქილაძის სასწავლოუნივერსიტეტი*
*ბიზნესის ადმინისტრირება*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## თანამედროვე ინტეგრაციული ბლოკები და მათი ეფექტიანობა გლობალურ მსოფლიოში

ხელმძღვანელი - პროფესორი **ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე**

1. გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო აქტუალური გახდა ახალი ინტეგრაციული ბლოკების წარმოშობისა და არსებობის საკითხები. მათ შორის, პოსტაბჭოთა სივრცისათვის სულ უფრო ხშირი აქცენტები კეთდება არა მარტო ევროინტეგრაციაზე, არამედ ევრაზიული კავშირის აქტიურ მოქმედებაზე.

2. აღნიშნული კიდევ უფრო აქტუალური ხდება იმ ფონზე, რომ დღევანდელი ხელისუფლების მიზანდასახული მოქმედებების შედეგად, ქვეყანაში განუხრელად იზრდება ევრაზიული კავშირის მომხრეების რიცხვი.

3. არის თუ არა ასეთი მიდგომები რეალისტური? შეიცავენ თუ არა ისინი საფრთხეებს? და საერთოდ, შესძლებელია თუ არა ამ მიმართულებით საქართველოს განხილვა? ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხის გაცემის მცდელობაა მოცემული წარმოდგენილ ნაშრომში.

4. ამ მხრივ კვლევაში განხილულია რუსეთის ფენომენი. პოლიტიკურ-ეკონომიკური სინთეზის საფუძველზე მოცემულია საქართველოს რეალობისათვის ევრაზიიული კავშირის ფუნქციონირების შესაძლო გზები.

**Ana Chatiniani**
*Georgia*
*Guram Tavartkiladze Teaching University*
*Business Administration*
*Bachelor's programme, IV semester*

## Modern Integration Blocks and Their Effectiveness in the Global World

Scientific supervisor – Professor **Lali Chagelishvili-Agladze**

1. At the modern point of globalization, the issues of origin and existence of new integration blocks have become more urgent. Among them, the more frequent emphasis is placed on the post-Soviet space, not only on European integration, but also by the active influence of the Eurasian Union.

2. This item is becoming more topical with the background that the result of today's government determined action increases the number of Eurasian Union supporters.

3. Are these points of view realistic? Are they dangerous? And in general, is it possible to discuss Georgia with this direction? These are the questions that presented work tries to answer.

4. From this point of view, Russian phenomena is discussed in this research. On this basis of political economical synthesis, are given the ways for functioning Eurasian Union in Georgian reality.

**ანნა კვარაცხელია**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*ტურიზმი*
*ბაკალავრიატი, II სემესტრი*

## საქართველოში ტურისტული კლასტერების პოტენციალის კვლევა, როგორც ტურიზმის მდგრადი განვითარების შესაძლებლობა

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **მაკა ფირანაშვილი**

1. საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა, გვკარნახობს ვეძიოთ განვითარების ახალი სტრატეგია ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, ასევე ინოვაციური მიდგომები ძველ ტრადიციულ დარგებში, რათა ავამოქმედოთ ის აუთვისებელი რეზერვები, რომელთა ჩართულობაც ჯამში შეგვიქმნის იმ ფუნდამენტურ ეკონომიკურ ბაზას, რომელზე დაყრდნობითაც უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგია. სწორედ ასეთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს ეკონომიკის კლასტერული პრინციპი.

2. ტურიზმი, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე არის ეკონომიკის სწორედ ის დარგი, რომელშიც კლასტერული პრინციპის ჩამოყალიბება არის ერთ-ერთი სწორი ეკონომიკური სტრატეგია, ვინაიდან თვით კლასტერის ცნება გულისხმობს, ერთი შეხედვით თითქოს შეუთავსებელი დარგებისა და მიმართულებების ერთ ეკონომიკურ იდეად ჩამოყალიბებას.

3. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც დაგროვილია საკმაო გამოცდილება ღვინის ტურიზმის მიმართულებით, თუმცა ჩვენს ქვეყანაში, სრულფასოვან ტურისტულ კლასტერად ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ შორი გზაა გასავლელი. იტალიაშიგანვითარებულიაღვინისკლასტერი, რამაცქვეყნისეკონომიკის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. ამის ნათელი მაგალითია ტოსკანა.

4. საქართველოში არის წარმატებული ღვინის კომპანიები, მათ შორის აღსანიშნავია „შატო მუხრანი". იგი პირველი ქართული შატოა, ის ეფუძნება 4 ძირითად ფასეულობას: ვენახები, მარანი, სასახლე და ისტორია. „შატო მუხრანი", როგორც ბიზნეს პროექტი ჩაფიქრებული იყო მუხრანბატონის ყოფილი მამულებისათვის, ძველი ღირსების აღდგენის მიზნით და თანამედროვე პირობებში ამ იდეის ინტეგრირებით, რაც თავის მხრივ ბიზნესს აძლევს ქართულ იდენტურობას. სწორედ ასეთი მიდგომა ალბათ არის ის ოპტიმალური პირობა, რომელმაც უნდა შექმნას თანამედროვე ქართული ბიზნესის სახე მსოფლიოში მისი ცნობადობის კუთხით.

5. კითხვარის სახით ჩატარებული იქნა კვლევა „შატო მუხრანში", რომელმაც მოგვცა საშუალება ტურისტული პროდუქტის შესწავლის და მარკეტინგული სტრატეგიის

განსაზღვრის. კომპანია აქტიურად გეგმავს სამომავლოდ ახალი ბრენდების წარმოებას და პოდუქციის ხაზის განვითარებას, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ამ დარგის და ზოგადად, ღვინის ტურიზმის განვითარებას.

6. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ (WTO) 2017 წელი აღიარა ტურიზმის მდგრადი განვითარების წლად. მთავრობისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ დაანონსების პირობებში ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს საქართველოს ტურიზმის 2025 წლის სტრატეგიის გათვალისწინებით.

7. უმთავრესი საკითხი, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული ტურისტული ბიზნესის წარმატებულობა არის პოტენციური სტუმრის ინფორმირებულობა, ასევე შესაქმნელია ახალი მაღალხარისხოვანი კონტენტები ინტერნეტ სივრცეში. ამ მნიშვნელოვანი კომპონენტის სრულფასოვანი ამოქმედება არსებული ინფრასტრუქტურისა და არც თუ ისე სრულყოფილი მატერიალური ბაზის პირობებშიც კი ერთიორად გაზრდის ქვეყნის ტურისტულ მიმზიდველობას ბუნებრივი და გასტრონომიული თავისებურებების ხარჯზე.

**Anna Kvaratskhelia**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Tourism*
*Bachelor's programme, II semester*

## Investigation of Tourism Clusters in Georgia as an Opportunity for Sustainable Development of Tourism

Scientific supervisor – Associate Professor **Maka Piranashvili**

1. The economy's current situation tells us to look for a new development strategy for the development of different areas, as well as innovative approaches to old traditional classroom, in order to activate the untapped reserves, involvement of which will make the fundamental economic base on which should be build the new economic development strategy of Georgian. Such a strategic direction is the cluster principle of the economy.

2. According to Georgian reality, tourism, is the sector of economy where cluster principle is one of the right economic strategies, because the concept of clusters implies that, as a seemingly uncompromising segmentation and direction.

3. In many countries of the world, including Georgia, there is a lot of experience in wine tourism, but it is still a long way until out country becomes a full-fledged tourist cluster. In Italy, wine cluster is developed which contributed to the development of the country's economy. A clear example of this is Tuscana

4. There are successful wine companies in Georgia, including "Chateau Mukhrani".It is the first Georgian chateau, based on 4 main values: vineyards, cellar, palace and history. "Chateau Mukhrani" as the business project was conceived for the former Mukhranbatan estates with the purpose of restoring old dignity and integrating this idea into modern conditions, which in turn gives the business of Georgian identity. This approach is perhaps the optimal condition

that should create modern Georgian business in the world in terms of its awareness.

5. The questionnaire was conducted by “Chateau Mukhrani” which gave us the opportunity to study tourism product and marketing strategies. The company is actively introducing new brands in the future and developing the pipeline line, which will further promote the development of this sector and wine tourism in general.

6. The World Tourism Organization (WTO) has recognized the year 2017 as the year for sustainable development of tourism. Under the terms of the Government and the Georgian National Tourism Administration, this issue is of special importance to Georgia’s 2025 strategy of tourism.

7. The key issue which greatly depends on the success of the tourism business is the potential visitor’s awareness, creating new high-quality content in the Internet space. Complete implementation of this important component will also increase the tourist attraction of the country at the expense of natural and gastronomic peculiarities, even in the conditions of existing infrastructure and even the perfect material base.

**ანა სულამანიძე**
*საქართველო*
*კავკასიის უნივერსიტეტი*
*ეკონომიკა*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## ბანკების არაპროფილური საქმიანობა – ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი თუ ხელშემშლელი ფაქტორი?!

ხელმძღვანელი - **მედეა ზურაბიშვილი**

1. ფორმალურად, საქართველოში არსებული ბანკებისთვის არაპროფილური საქმიანობა დღეისათვის მაქსიმალურად შეზღუდულია, მაგრამ ბოლო დროს ძალიან ბევრს საუბრობენ ბანკების მნიშვნელოვან გააქტიურებასა და აგრესიულ ნაბიჯებზე ბიზნესის სხვადასხვა სფეროში შესვლასთან დაკავშირებით. მუსირებს აზრი, რომ ბანკთა არაპროფილური საქმიანობა მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარებისთვის. პირდაპირ თუ ირიბად ისინი ზღუდავენ სხვადასხვა სფეროში მომუშავე კომპანიების საქმიანობას, რამდენადაც ფლობენ უმნიშვნელოვანეს ფინანსურ თუ ინფორმაციულ უპირატესობას, აფერხებენ ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, ხედავენ კონკრეტულ სფეროებში მონოპოლისტურ ბიზნესსტრუქტურებად ჩამოყალიბების საფრთეს.

2. ჩემი კვლევის მიზანია, ვაჩვენო არსებული მწვავე პრობლემის ორივე მხარე, გავაანალიზო სამეცნიერო წრეებში მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები, სხვადასხვა ქვეყნის კომერციული ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობის საერთაშორისო მიმოხილვა,არასაბანკო საქმიანობის რეგულირების პრაქტიკა საქართველოში და ვუპასუხო კითხვას: წარმოადგენს კი ბანკების არაპროფილური საქმიანობა რეალურად დიდ საფრხეს? და თუ ეს ასეა, იმ ეფექტური მექანიზმის შემუშავება, რომელიც, ვფიქრობ,დაგვეხმარება ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. კვლევის პროცესში შევეცდები გამოვიყენო შედარებითი ანალიზის მეთოდი, სადაც ნაჩვენები იქნება იმ ქვეყნების მაგალითი, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას.

3. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ფინანსური სექტორი ზედმეტად ფოკუსირებულია ბანკებზე. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ბიზნესის ნებისმიერი სფერო დამოკიდებულია საბანკო კაპიტალზე. სახელმწიფოს მხრიდან არაპროფილური საქმიანობს აკრძალვა არაეფექტურია, ამასთან ჩნდება აქტივების ქვეყნიდან გადინების საფრთხე. საჭიროა, წილობრივი მონაწილეობის ლიმიტირება, ეფექტური კონტროლის მექანიზმი. ბანკები უნდა წახალისდნენ განათავსონ აქტივები ბიზნესის იმ დარგებში, რომლებიც განვითარერებას საჭიროებს და შეიზღუდოს იქ, სადაც ისინი კონკურენტული გარემოსთვის საფრთხეს წარმოადგენს.

**Ana Sulamanidze**
*Georgia*
*Caucasus University*
*Economics*
*Bachelor's programme, IV semester*

## Non-financial Activities of Commercial Banks – Impeding or Supporting Factor of the Country's Economic Development?!

Scientific supervisor – **Medea Zurabishvili**

1. Formally, non-professional activities for commercial banks in Georgia are limited, but recently many people talk about the aggressive steps of banks in different fields of business. They think that non-bank activities of banks are a serious threat to economic development. Banks are restricting competitive environment because they have serious information and financial advantages.

2. The main goal of the presented research is to demonstrate both sides of this serious problem, analyze the supporting and opposing viewpoints, share an international review of non-banking activities owned by commercial banks regulating the above mentioned procedures in Georgia and finally, answer the question: is nonfinancial business of banks really a great threat to economic development? And if it is so, then it is urgently important to develop an effective mechanism that will help us to solve the problem.

3. In fact, the financial sector of Georgia is not well-developed. Its largest share (95%) belongs to the banking sector. Thus, any kind of business depends on its huge capital. I suppose that prohibition is not an effective way to solve this problem. It is necessary to encourage commercial banks to invest money in the direction which is less developed in our country and limit them in order to prevent the threat of monopoly.

**ნოდარ ჯოგლიძე**
*საქართველო*
*გურამთავართქილაძის სასწავლოუნივერსიტეტი*
*ბიზნესის ადმინისტრირება*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

**იაპონიის კულტურული პოლიტიკა გლობალიზაციის პირობებში**

ხელმძღვანელი - პროფესორი **ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე**

1. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, რომელშიც იშლება საზღვრები კულტურათა და სახელმწოფოთა შორის, ქვეყნები იძულებულნი არიან კვლავ დაფიქრდნენ ერის იდენტიფიკაციაზე. გლობალიზაციის ზეგავლენის შედეგად საზოგადოებაში მზარდია პოლიტიკასა და კულტურას შორის ურთიერთდამოკიდებულება, რის შედეგადაც ხდება კულტურული პოლიტიკისა და საზოგადოების სოციალური იდენტურობის საკითხის აქტუალიზაცია ცვალებად სამყაროსთან მიმართებით.

2. კულტურული პოლიტიკა წარმოადგენს ქვეყნის განუყოფელ ნაწილს, როგორც საშინაო ისე საერთაშორისო ასპარეზზე. მას ფართო გაგებით განიხილავენ, როგორც პრინციპებისა და სტანდარტების ერთობლიობას, აგრეთვე სისტემურ მიდგომებსა და ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია კულტურის დაცვაზე, აღორძინებაზე, განვითარებასა და გავრცელებაზე სხვადასხვა სამთავრობო და საჯარო დაწესებულებების მეშვეობით. ვიწრო გაგებით კულტურული პოლიტიკა ეს არის სახელმწიფოს საქმიანობა კულტურის სფეროში.

3. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით განხილულია იაპონიის საქმიანობა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სფეროში, რაც წარმოადგენს ქვეყვის უმნიშვნელოვანეს კულტურულ პოლიტიკას. იაპონია კულტურულ პოლიტიკას სამი მიმართულებით ახორციელებს: კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ფარგლებში, რეგიონების კულტურული აღორძინება (კულტურული ინდუსტრიის განვითარებე რთულ რეგიონებში); საერთაშორისო კულტურული პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს იაპონიის დადებითი იმიჯის შექმნას საერთაშორისო ასპარეზზე; იაპონიის კორპორატიული კულტურის გავრცელება საზღვარგარეთ.

**Nodar Joglidze**
*Georgia*
*Guram Tavartkiladze Teaching University*
*Business Administration*
*Bachelor's programme, IV semester*

## Cultural Policy of Japan in the Age of Globalization

Scientific supervisor – Professor **Lali Chagelishvili-Agladze**

1. Under the conditions of world globalization, where the borders between cultures and states are broken up, countries are still forced to think about the nation's identification. As a result of globalization, the interdependence between politics and culture is increasing in the society, resulting in the realization of the cultural identity and social identification of society in the changing world.

2. Cultural policy is an integral part of the country both - at internal and international levels. It is widely viewed as a combination of principles and standards, as well as systematic approaches and measures aimed at protecting, redeveloping, developing and disseminating culture through various government and public institutions. In a narrow sense, cultural policy is the activity of the state in the field of culture.

3. The paper discusses Japan's activities in the area of preservation of cultural heritage that is the most important cultural policy of the country. Japan implements cultural policy in three directions: maintaining Cultural Heritage within UNESCO World Heritage, Cultural Revival of Regions (Developing Cultural Industry in Difficult Regions); International cultural policy, which implies the creation of a positive image of Japan in the international arena; Expanding Japanese corporate culture abroad.

**სალომე აფხაზავა**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*ბიზნესის ადმინისტრირება*
*ბაკალავრიატი, VIII სემესტრი*

## ფულადი ნაკადების მართვა

ხელმძღვანელი - პროფესორი **თამარ გამსახურდია**

1. „ფული მეფეა“ ამ სიტყვებმა დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა სულ ახლახანს მომხდარი ფინანსური კრიზისის პერიოდში, რასაც საფინანსო ბაზრის განვითარება მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ კონუქტურა კვლავ წინა პლანზეა წამოწეული გარე დაფინანსების შესაძლებლობები ისევ შეზღუდულია და ექვემდებარება დამფინანსებლების გაზრდილ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭა, როგორც კომპანიის ასევე ინვესტორების მხრიდან შიდა დაფინანსების ძალას და ფულადი ნაკადების მართვა ინტერესის ცენტში მოექცა. კომპანიის წარმატება უფრო მეტად დამოკიდებული გახდა იმ უნარზე, რომლითაც საკუთარი ძალებით ფინანსური სახსრების შექმნაა შესაძლებელი და მათი შემგომ ეფექტურად და ოპერატიულად მართვა.

2. ფულადი ნაკადების მნიშვნელობა ბიზნესპრაქტიკაში სხვადსხვა კვლევების საფუძველზეა განსაზღვრული. კერძოდ PWC (Pricewaterhouse Coopers)-ის მიერ ჩატარებული კვლევა თემაზე ფულადი ნაკადების დაგეგმვა, ანგარიშგება და მართვა ჩატარდა 2010 წელსგერმანულ, ასევეავტრიულდაშვეიცარულკომპანიებში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამოცდაათმა კომპანიამ. კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა შემდეგ კითხვებზე პასუხების გაცემა: რა მნიშვნელობა ენიჭება დღევანდელ ბიზნესპრაქტიკაში ფულადი ნაკადების ანგარიშგებას? რამდენად კმაყოფილები არიან კომპანიები მათ მიერ წარმოებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების ოპერატიულობით? როგორ და რა მოცულობით ხდება ფულადი ნაკადების დაგეგმვა და მართვა დღესდღეობით? რა გაუმჯობესების პოტენციალი არსებობს კომპანებში ამ თვალსაზრისით?

3. BDC-ის კვლევის მიხედვით, მეწარმეებმა ფულადი ნაკადების მართვა ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად დაასახელეს მარკეტინგისა და გაყიდვების შემდეგ (გამოკითხულთა რაოდენობამ 881 ბიზნეს ლიდერი მოიცვა). გასაკვირი არ არის ალბათ, რომ დიდი და მცირე ბიზნესის მიდგომა ფულადი ნაკადების მართაზე განსხვავებულია. მართლაც, ამ შედეგების მიხედვით მცირე ფირმების უმრავლესობა, რომლებიც კანადის ბიზნესის უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ, ფულადი სახსრების მართვას დიდ ზემოქმედების იარაღად აღიქვამენ. თუმცა ბევრი მათგანი არ აწარმოებს ეფექტურად ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებს, რაც მათ საკუთარ კომპანიაზე უფრო მეტი კონტროლის საშუალებას და მეტ გონებრივ სიმშვიდეს მისცემდა.

4. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ფულადი სახსრების მართვა წარმატებული ბიზნესის აუცილებელი პირობაა. არაკრიზისული მდგომარება კომპანიაში ფულადი ნაკადების ანგარიშგება-დაგეგმვა სისტემატიზირების შესაძლებლობას იძლევა, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ შიდა დაფინანსების ძალის ოპტიმალურად გამოყენებას, არამედ საეჭვო საკითხების დროული წამოწევას და მათზე რეაგირების მოხდენას. მას შეუძლია ფინანსური ზრდისა და ზარალის ჰარმონიზება, ასევე ფულადი ნაკადების შემცირების რისკის ელიმინირება. ამისათვის კი საჭიროა, როგორც უკვე ავღნიშნე, ეფექტურად და ოპერატიულად ფულადი სახსრების მართვა, რომელიც არაერთი გზით მიიღწევა, რაც დეტალურად ნაშრომშია განხილული.

**Salome Apkhazava**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Business Administration*
*Bachelor's programme, VIII semester*

## Cash Flow Management

Scientific supervisor – Professor **Tamar Gamsakhurdia**

1. "Cash is king" - these words have acquired additional significance during the recent financial crisis followed by the development of financial markets. Despite the fact that the conjuncture is still in the foreground, the possibilities of external financing are still limited and comply with the increased demands of the funder. Consequently, more importance was given as both to the company's and to investors' internal funding ability and the cash flows' management became the center of interest. The success of the company is more dependent on the ability to create financial resources on their own and to manage them effectively and efficiently.

2. Value of the cash flows is based on different studies in business practice. In particular, the research of PWC (PricewaterhouseCoopers) on the topics of planning, reporting and management of the cash flows was carried out in 2010 at German, as well as in Swedish and Swiss companies with 70 companies participating in it. As a result of the research, it was possible to answer the following questions: What is the value of a cash flow statement in today's business practice? How satisfied are the companies with their cash flows' reporting efficiency? How and in what volumes are the planning and management of cash flows conducted nowadays? What is the potential for improvement for companies in this direction?

3. According to the BDC survey, entrepreneurs named the management of cash flows as one of the biggest challenges after marketing and sales (the number of respondents covered 881 business leaders). It is not surprising that the big and small companies approach is different towards the cash flow management. Indeed, according to these results, the majority of small firms that represent a large part of Canadian businesses consider money management to be a great influential tool. However, many of them do not run effectively the major financial statements, which would allow more control over their companies and more mental calm for them.

4. It can be said certainly that cash management is a necessary condition for successful business. Non-crisis situation in the company allows the cash flows' statement-planning systematization and promotes not only the optimal utilization of internal financing power, but also the timely questioning and reacting to the suspicious issues. It can harmonize financial growth and loss, as well as to eliminate the risk of cash flows' reduction. And as I mentioned it already above, for this is required an effective and efficient financial management which is achieved in many ways, that are discussed in the paper in detail.

**თეონა ყუმბულაშვილი**
*საქართველო*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*
*ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## საგამომცემლო ბიზნესი და წიგნის ბაზარი საქართველოში

ხელმძღვანელი – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი **გიორგი ყაზიშვილი**

1. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იან წლების დასაწყისში, საქართველო მკვეთრი ეკონომიკური დაღმასვლის გზას დაადგა, რამაც უარყოფითი ასახვა ჰპოვა წიგნის ბიზნესზეც: მკვეთრად შემცირდა გამომცემლობებისა და გამოცემული წიგნების რაოდენობა. ვითარება შეიცვალა XXI საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც წიგნის ბაზარზე არაერთი გამომცემლობა გამოჩნდა („ბაკურ სულაკაური", „ქარჩხაძის გამომცემლობა", „პალიტრა L" და სხვ.), რომლებმაც დაიწყეს მრავალფეროვანი ჟანრის ლიტერატურის მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემა.

2. საქართველოს საგამომცემლო ბიზნესი ბოლო წლების განმავლობაში უწყვეტად ვითარდება. სტატისტიკური მონაცემებით, წიგნებისა და ბროშურების ტირაჟმა 2010 წელს 2,2 მლნ. ეგზემპლარი შეადგინა, ხოლო 2015 წელს მისი რაოდენობა 3,1 მლნ. ეგზემპლარამდე გაიზარდა.

3. საქართველოში 70 მოქმედი გამომცემლობაა. ქართულ ბაზარზე წიგნის რეალიზაცია ხორციელდება: წიგნის მაღაზიებში – 80%; სატელეფონო მარკეტინგით – 10%; სუპერმარკეტებში – 6%; ელექტრონულად, საცალო გაყიდვების სახით – 4%.

4. საქართველოში მოქმედი წიგნის მაღაზიებიდან აღსანიშნავია: „ბიბლუსი“, „პარნასი“, „ლიბრა“, „ლატერნა“, ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“ და სხვ.

5. ნაშრომში განხილულია საგამომცემლო ბიზნესისა და წიგნის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, წარმოდგენილია არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების როლსა და მნიშვნელობაზე წიგნის ბიზნესის განვითარებაში. SWOT ანალიზის საფუძველზე შესწავლილია ქ. გორში მოქმედი წიგნის მაღაზიების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და ნაკლოვანებები. ავტორის მიერ ქ. გორში ჩატარებული ანკეტური გამოკითხვისა და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ჩვენს ქვეყანას აქვს პოტენციალი ღირსეულად წარმოჩინდეს მსოფლიო წიგნის ბაზარზე.

**Teona Kumbulashvili**
*Georgia*
*Gori State Teaching University*
*Business Organization and Management*
*Bachelor's programme, IV semester*

## Publishing Business and a Book Market in Georgia

Scientific supervisor - Doctor of Business Administration **Giorgi Kazishvili**

1. After the fall of the Soviet Union, at the beginning of the 1990s, Georgia experienced evident economic decline that, of course, had also a negative influence on Publishing Business. The amount of published books fell down. The situation changed at the beginning of the 21st century when several publishing organizations appeared on the book market ("Bakur Sulakauri", "Karchkhadze Publishing", "Palitra L" etc.). These publishers started publishing literature of different genres on a highly polygraphic level.

2. Georgian publishing business has been continually increasing. According to the statistical data, circulation of books and booklets in 2010 estimated to be 2,2 millions of copies. Whereas, the amout of copies increased to 3,1 millions in 2015.

3. There are 70 active publishers in Georgia. The realisation of books on the Georgian market is in progress: book shops-80%; telephone marketing – 10%; Supermarkets – 6%; online, retail trade – 4%.

4. Among active publishers in Georgia the following ones should be mentioned: "Biblusi", "Parnasi", "Libra", "Laterna", an online bookshop "Saba" etc.

5. In this work the current situation of Publishing Business and a Book Market in Georgia is discussed, also the existing problems of publishing and their solution ways are presented. The main attention is paid to the role and importance of informational technologies in the de-

velopment of publishing business. Based on SWOT analysis, we have studied the strong and weak points of active book shops in Gori, their opportunities and downsides. According to the author's research done by the questionnaire, we can say that our country has a great potential to take a worthy place on the world book market.

**ლაშა ძაზახიძე**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*ფინანსები*
*ბაკალავრიატი, II სემესტრი*

## სოციალური მეწარმეობის არსი და მისი განვითარების თავისებურებები

ხელმძღვანელი – პროფესორი **თამარ გამსახურდია**

1. ტერმინი „სოციალური მეწარმეობა" ასოცირდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაწეულ სხვადასხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობასთან, რომელიც მიზნად ისახავს მოგების მიღებას. მიღებული მოგება კი მათ მისიასთან და მიზნებთან შესაბამისად, პოზიტიური სოციალური ცვლილებების განხორციელებას ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკისა და ევროპის არამომგებიანი ორგანიზაციები მსგავს საქმიანობას უკვე საკმაოდ დიდი ხანია ეწევიან, ტერმინი „სოციალური მეწარმეობა" სათავეებს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს, ხოლო მისი განსაკუთრებით დინამიური განვითარება 90-იანი წლებიდან დაიწყო.

2. სოციალური მეწარმეები არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავზე იღებენ სამეწარმეო საქმიანობის გარკვეულ რისკს მათი ორგანიზაციების ბენეფიციარების სასარგებლოდ. ტრადიციულად, ბიზნესში მეწარმეები რისკს იღებენ საკუთარი, ან ბიზნესის მფლობელების სასარგებლოდ. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა, და ეს განსხვავება უკავშირდება ორგანიზაციათა მისიას. საზოგადოებრივ (არამომგებიან) ორგანიზაციებში ლიდერები, თანამშრომლები, გამგეობა იღებენ გადაწყვეტილებას, გასწიონ სამეწარმეო საქმიანობა და შესაბამისად თავის თავზე აიღონ მეტი რისკი, იმ მიზნით, რომ უკეთ შეასრულონ ორგანიზაციის მისია.

3. საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს სოციალური მეწარმეობის ცნებას და, შესაბამისად, ქართული სოციალური საწარმოებისთვის არ არსებობს რაიმე სახის განსაკუთრებული ნორმები. თუმცა, სოციალურ მეწარმეებს აქვთ საშუალება არსებული კანონმდებლობის ფარგლებში განახორციელონ მსგავსი ინიციატივები. ბიზნესის წარმოების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი „ფირმის" რეგისტრაცია და შესაბამისი ნებართვების /ლიცენზიების მოპოვების პროცედურების სიმარტივეა.

**Lasha Dzabakhidze**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Finance*
*Bachelor's programme, II semster*

## The Essence of Social Entrepreneurship and the Peculiarities of Its Development

Scientific supervisor – Professor **Tamar Gamsakhurdia**

1. The term "social entrepreneurship" is associated with various economic activities of different organizations whose goal is to gain profit. The gained profit serves to carry out social changes according to their mission and goals. In spite of the fact that non-profit corporations of Europe and America have been doing this kind of activities for a long time, the term "social entrepreneurship" is originated in the 1970s, but it started dynamic development from the 90s.

2. Social entrepreneurs are people who take responsibility for the risks that are related to social entrepreneurship in favor of their organizations' beneficiaries. Traditionally, business entrepreneurs take risks in favor of corporation or its owners. This is an important difference and it is related to organizations' mission. In public (non-profit) organizations leaders, employees and a board make a decision to function and take more risks in order to fulfil organizations' mission better.

3. There is no such term "social entrepreneurship" in Georgian legislation, accordingly, there are no types of special norms for Georgian social entrepreneurs. But social entrepreneurs can implement similar initiatives within the existing legislation. The simplicity in registering a "firm" and obtaining the relevant permissions / licensing procedures is one of the most important factors in making a decision about starting a business.

**თამთა შვანგირაძე**
*საქართველო*
*კავკასიის უნივერსიტეტი*
*ეკონომიკა*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## ესტონური მოდელის ამოქმედება - რამდენად გამართლდა მოლოდინი ამ ეტაპზე?

ხელმძღვანელი - **მედეა ზურაბიშვილი**

1. მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დანერგვას საქართველოში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა, თუმცა ყველა თანხმდება იმაზე, რომ მოდელის ამოქმედებას მართლაც დადებითი გავლენა ექნება ბიზნესზე, და, განსაკუთრებით, ეს ეხება მცირე და საშუალო ბიზნესს. ამიტომ, ვფიქრობ, საინტერესოა გავაანალიზოთ ამ ეტაპზე, მოდელის ამოქმედებიდან ხუთი თვის შემდეგ, რამდენად გამართლდა საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენელთა მოლოდინები, რა დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული მისი ამუშავება, ასევე, რამდენად მომზადებული შეხვდნენ ამ ცვლილებას ბიზნესის წარმომადგენლები.

2. თემის აქტუალობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ დეტალურად განგვეხილა მოგების გადასახადის ძველი და ახალი მოდელი, რათა თვალსაჩინოდ წარმოგვედგინა მათ შორის არსობრივი განსხვავებები.

3. ნაშრომში გაანალიზებილია კვლევის შედეგები, რომლის დროსაც გამოკითხული იყო ბიზნესის წარმომადგენლები მოგების ესტონური მოდელის ამოქმედებიდან ოთხი თვის გასვლის შემდეგ.

4. საქართველოში მხოლოდ შემცირებული მოგების გადასახადი ვერ განაპირობებს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვნად წახალისებას. ამ საგადასახადო მოდელის წარმატება დამოკიდებულია იმ გარემო პირობების შექმნაზე, რომლებიც, თავისთავად აუცილებელია ეკონომიკური განვითარების მისაღწევად.

**Tamta Shvangiradze**
*Georgia*
*Caucasus University*
*Economics*
*Bachelor's programme, IV semester*

## Putting Estonian Model in Action – to What Extent Have the Expectations Been Met?

Scientific supervisor – **Medea Zurabishvili**

1. Implementation of the Estonian model of corporate income tax in Georgia resulted in mixed reviews. However, everybody agrees that setting the model into action will have positive impact on businesses, especially small and medium sized firms. Thus, I think at this stage, it is interesting to analyze to what extent the expectations of different circles' representatives were met five months after the model implementation, what obstacles the model is related to, and how prepared business representatives were for the changes.

2. Because of the subject popularity, we found it reasonable to discuss the old and new income taxation models in details in order to vividly present the essential differences between them.

3. This work analyzes the results of research, interviewees of which included businesspeople of the Estonian model implementation after five months.

4. In Georgia, reduced income tax solely will not provide vital incentive for economic growth. The success of the presented economic model depends on the creation of the environment, which, obviously, is necessary for the economic development.

**ნინო იორამაშვილი**
*საქართველო*
*გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი*
*ბიზნესის ადმინისტრირება*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## მსოფლიო ცივილიზაცია და კულტურული გლობალიზაცია

ხელმძღვანელი - პროფესორი **ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე**

1. კულტურა წარმოიშვა ჯერ კიდევ პირველყოფილ ეპოქებში, როცა ტექნიკური პროგრესი შრომის პრიმიტიული საშუალებებით იყო შემოფარგლული. მას თავისი განსაკუთრებული და უნიკალური დანიშნულება გააჩნია. ამრიგად, ადამიანის სულიერი ფასეულობებისთვის როგორც წარსულში, ისე დღეს სრულიად უნიკალური მნიშვნელობა აქვს. ხშირად ისმის კითხვა, გლობალიზაცია კულტურისათვის უბედურების მომტანია თუ სიკეთის? რა მომავალი აქვს კულტურას გლობალიზებულ საზოგადოებაში? ბუნებრივი გარემო დიდ გავლენას ახდენს საუკუნეთა განმავლობაში მცხოვრები ხალხის მენტალიტეტზე, კულტურის თავისებურებებზე, ტრადიციებზე, ფოლკლორზე.

2. დღესდღეობით ხშირად ვხვდებით ისეთ ქვეყნებს, რომელთა კულტურული ღირებულებები გლობალიზაციამ შთანთქა, ან კულტურული ევოლუციის შედეგად გაქრა. თუმცა ვხვდებით ისეთ ქვეყნებსაც, რომელთა კულტურული ფასეულობები და ღირებულებები გლობალიზაციის პერიოდში არ გამქრალა. ნაშრომში განხილულია ახალი ზელანდიის მაგალითი. ახალი ზელანდია არის სახელმწიფო, რომელიც 21-ე საუკუნის ფარგლებში, დღევანდელი ტექნოლოგიური პროგრესის ფარგლებში ინარჩუნებს თავის კულტურულ სიძლიერეს.

**Nino Ioramashvili**
*Georgia*
*Guram Tavartkiladze Teaching University*
*Business Administration*
*Bachelor's programme, IV semester*

## World Civilization and Cultural Globalization

Scientific supervisor – Professor **Lali Chagelishvili-Agladze**

1. Culture was developed already in very ancient ages, when technical progress only included primitive working tools. It has its unique and special purpose. Therefore, it has very important meaning for human spiritual values just as it had in the past. We often ask questions: Does globalization have positive or negative effect on culture? What kind of future does culture have in globalized society? The environment has a great influence on people's mentality, traditions, cultural features, folklore.

2. Nowadays, we often come across the countries whose cultural features are either consumed by globalization or lost during cultural evolution. But there are also countries, whose cultural characteristics have not disappeared during globalization. In this work, the example of New Zealand is discussed. New Zealand is a country that in the 21st century, in the era of technical progress, still manages to maintain its cultural strength.

**პაატა გვათუა, სალომე ზაზაძიძე**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*საჯარო მმართველობა და პოლიტკა*
*ბაკალავრიატი, II სემესტრი*

**ბლოქჩეინის ტექნოლოგია თანამედროვე ეკონომიკაში**

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **ანა ფირცხალაშვილი**

1. კვლევის საგანი არის ბლოქჩეინის სისტემა, ბევრი ადამიანი უკავშირებს ბლოქჩეინის ტექნოლოგიას ციფრულ ვალუტა – ბიტკოინს, თუმცა რეალურად ბლოქჩეინის პოტენციალი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე მხოლოდ ციფრული ვალუტის უკან მდგარი ტექნოლოგია.

2. ნაშრომის მიზანია, გაგვაცნოს „ტექნოლოგია ბლოქჩეინის" დანიშნულება და მისი როლი დღევანდელ ეკონომიკაში, ბლოქჩეინის ტექნოლოგიის გამოყენება შესაძლებელია თითქმის ყველა ტიპის ღირებული ტრანზაქციის მიმართ: ფული, ქონება, საქონელი და ა.შ.მისი გამოყენების არეალი უსასრულოა: გადასახადების გადახდის უზრუნველყოფა, ფულის გადარიცხვა ისეთ ქვეყნებში, სადაც საბანკო სისტემა მოშლილია ან ძალიან ძვირია, ცალკეული ინფორმაციის დაცულობა და ა.შ.ბლოქჩეინის მეშვეობით შესაძლებელია თაღლითობის შემთხვევების მნიშვნელოვნადშემცირება, რადგანყველატრანზაქციისშესახებჩანაწერიფიქსირდება შესაბამის ბლოკში, რომელიც საჯაროა და რომლის შეცვლა ან წაშლა შეუძლებელია.

3. როგორ შეიძლება ამ ტექნოლოგიის გამოყენება და რა განასხვავებს მას სხვა საფინანსო დაწესებულებებისგან?! ბლოქჩეინის ტექნოლოგია, გულისხმოს რომ ყველა ადამიანს ვისაც აქვს წვდომა ინტერნეტთან ,შეეძლება ტრანზაქციის განხორციელება,იქნება ეს ფულადი თუ სხვა ქონებრივი დოკუმენტაცია, ეს გულისხმობს რომ ადამიანებს აღარ დასჭირდებათ მესამე შუამავალი ანუ ბანკი, რათა განახორციელონ ფულადი გზავნილები.

4. მსოფლიოს მშპ-ს ძალიან ცოტა ნაწილი დაახლოებით 20 მილიარდი დოლარია (0.025%) მოცული ბლოქჩეინში, თუმცა ეს რიცხვი ახლო მომავალში გაცილებით გაიზრდება.ბლოქჩეინის ტექნოლოგიის ათვისებაში ჩართულნი არიან ისეთი გიგანტები, როგორებიცაა UBS, Microsoft, IBM, კანადის ბანკი და სხვა. ბლოქჩეინი ეს არის რევოლუციური ტექნოლოგია, რომელიც ბევრ რამეს შეცვლის მომავალში. ეს არის ტექნოლოგია, რომელიც ხასიათდება განსაკუთრებული ეფექტურობით, იგი აჩქარებს ტრანზაქციებსა და ამცირებს ხარჯებს.

**Paata Gvatua, Salome Zabakhidze**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Public Administration and Politics*
*Bachelor's programme, II semester*

## The Technology of Blockchain in Modern Economics

Scientific supervisor – Associate Professor **Ana Phirtskhalashvili**

1. The subject of research is blockchain. Blockchain is the world's leading software platform for digital assets. Offering the largest production block chain platform in the world, we are using new technology to build a radically better financial system.

2. Blockchain facilitates secure online transactions. A blockchain is a decentralized and distributed digital ledger that records transactions across many computers in such a way that the registered transactions cannot be altered retroactively. This allows the participants to verify and audit transactions in an inexpensive manner. They are authenticated by mass collaboration powered by collective self-interests. The result is a robust workflow where participants' uncertainty regarding data security is marginal.

3. How this technology can be used and what is the difference between blockchain and other financial systems?! This technology means that every person who has access to the Internet can make transaction, it means that people will no longer need a third intermediary or bank to make money transfers.

4. Approximately 20 billion dollars (0.025%) of the world's GDP is in the blockchain, but this number will be much higher in the near future. The giants such as UBS, Microsoft, IBM, Canadian bank, and others are involved in the use of blockchain technology. Blockchain is a revolutionary technology that will change many things in the future. This is the technology that is characterized by special efficiency; it accelerates transactions and reduces costs.

**ანი აფციაური**
*საქართველო*
*კავკასიის უნივერსიტეტი*
*ეკონომიკა*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## დეპოზიტების დაზღვევა - საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს რეალობა

ხელმძღვანელი - **მედეა ზურაბიშვილი**

1. დეპოზიტების დაზღვევა დეპოზიტორების დაცვის მსოფლიოში აპრობირებული სისტემაა და როგორც ფინანსური უსაფრთხოების კომპონენტი დანერგილია და მოქმედებს მსოფლიოს 113 ქვეყანაში. საქართველოშიც დაგეგმილია ამ სისტემის ამოქმედება 2018 წლიდან.

2. საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვის მიზანი არის დეპოზიტორთა ნდობის მოპოვება და ბანკების გაკოტრების თავიდან აცილება. გარდა ამისა, კანონმდებლებს იმედი აქვთ, რომ დაზღვევა გაზრდის ბანკებში დანაზოგების რაოდენობას, რაც, თავის მხრივ, მოაგვარებს ქვეყანაში არსებული კერძო დანაზოგების მრავალწლიან გადაუჭრელ პრობლემას. ყოველივე კი ხელს შეუწყობს საფინანსო სისტემის მდგრადობას, ეკონომიკურ ზრდას, აგრეთვე შიდა და გარე შოკების შემსუბუქებას.

3. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ნაშრომში განვიხილე დეპოზიტების დაზღვევასთან დაკავშირებული მსოფლიო გამოცდილება , გამოვყავი პრობლემური საკითხები და გავაანალიზე ამ სქემის მოსალოდნელი შედეგები საქართველოში.

4. ამთემაზემუშაობისას, დავინტერესდითურასიტუაციაასაქართველოშისადეპოზიტო დანაზოგების მხრივ. რამდენია იმ ადამიანების ხვედრითი წილი, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა გააკეთონ დანაზოგი. წარმოდგენილი თემის საბოლოო ანალიზისთვის განხილული მაქვს ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში სადეპოზიტო მომსახურების ბაზარზე არსებული პროდუქტების შედარებას.

5. დეპოზიტების დაზღვევის სქემის ამოქმედების დადებით ეფექტებთან ერთად, მხედველობის არედან არ უნდა გამოგვრჩეს პროცესის თანმდევი უარყოფითი ეფექტები. არსებობს გარკვეული ვარაუდები, რომ დეპოზიტების დაზღვევა შექმნის მორალურ საფრთხეებს ბანკების მხრიდან, რაც გაზრდის სასესხო საპროცენტო განაკვეთს და შეამცირებს სადეპოზიტო განაკვეთს. თუმცა, როგორც კვლევებით დასტურდება აღნიშნული საფრთხეების განეიტრალება შესაძლებელია ძლიერი და სტაბილური ინსტიტუციებითა და სწორი საზედამხედველო პოლიტიკით.

**Ani Aptsiauri**
*Georgia*
*Caucasus University*
*Economics*
*Bachelor's programme, IV semester*

## Deposit Insurance - International Experience and Georgian Reality

Scientific supervisor – **Medea Zurabishvili**

1. The presented paper discusses deposit insurance and failed bank resolution systems: the role they play in a nation's financial safety net; the advantages and disadvantages such systems provide; the establishment, coverage and funding of such systems; the linkage with supervision and licensing; and failed bank receivership and resolution processes and considerations. Deposit insurance systems are function in many countries throughout the world.

2. It is planned to establish this system in Georgia from 2018. The aim of innovate deposit insurance system in Georgia is to gain depositors' confidence and avoid banks bankruptcy. In addition, legislators hope that insurance increases the number of savings in banks. Realistically, this will solve a long-term unresolved problem of private savings in the country. Everything this will contribute to financial stability, economic growth, as well as internal and external shocks ease.

3. Exactly according to this issue, I have try to discuss the deposit insurance-related experience in the world, highlighted the problematic issues and I have realized expecting results of this scheme in Georgia.

4. Working on this issue, I have made some inquiries about the situation in Georgia's deposit savings, the share of men who have the opportunity to make savings. For the final analysis of the topic, I have discussed my research which aims at comparing the products existing on the depository service market in Georgia.

5. But we should not reject the negative effects of the process. There are some assumptions that deposit insurance will create moral hazards from banks which will increase the loan interest rate and decrease the deposit rate. However, as studies show, these threats can be neutralized with strong and stable institutions and correct supervisory policies.

**ნინო ზაუტაშვილი**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*ტურიზმი*
*ბაკალავრიატი, VIII სემესტრი*

## სამედიცინო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები BIOLI ველნეს კურორტის მაგალითზე

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **მაკა ფირანაშვილი**

1. მსოფლიოში მოგზაურობის ერთ-ერთი მიზანია ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება, პოზიტიური განწყობა და ახალგაზრდობის გახანგრძლივება. ყოველივე ეს განაპირობებს მომსახურების ორი დიდი სისტემის - ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმის შერწყმას, რასაც ეწოდება გამაჯანსაღებელი, სამედიცინო ტურიზმი. სამედიცინო ტურიზმზე მოთხოვნის გაზრდა, პროპორციულად ზრდის ქვეყნის ეკონომიკურ მახასიათებლებს: ინვესტიციების მოზიდვის ინტენსივობას, შემოსავლებს, დასაქმებას და ექსპორტს.

2. მსოფლიოში სამედიცინო ტურიზმის ბაზარი მკვეთრი ზრდის ტემპით ხასიათდება. ბოლო მონაცემებით 2004–2012 წლებში სამედიცინო ტურიზმიდან შემოსავლები 40 მილიარდიდან 0,5 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა და ტურიზმის მთლიანმა შემოსავალმა ($3,2 ტრილიონი) 14% შეადგინა. 2012 წელს სამედიცინო ტურიზმა გლობალურ მშპ–ში 1,8% შეადგინა. 2017 წლისათვის სამედიცინო ტურიზმის ბაზრის 50%–ზე მეტი აზიის, ლათინური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე არის გადანაწილებული. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით 2016 წელს ტურისტების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა. საქართველოს კურორტებზე მკურნალობისა და გაჯანსაღების მიზნით ტურისტების მხოლოდ 2% იყო ჩამოსული. 2016 წელს საქართველო 6,350,825 მლნ ტურისტმა მოინახულა, ხოლო ქვეყანაში მაცხოვრებელთა 11.1%–მა მკურნალობისა და გაჯანსაღების მიზნით იმოგზაურა.

3. ველნეს ინდუსტრია მომავლის საქმეა, რადგან თავისი არსით ის ახალგაზრდობასთან, ჯანმრთელობასა და ბედნიერებასთან ასოცირდება. BIOLI - ახალი სიტყვაა დასვენებისა და გაჯანსაღების მსოფლიო ინდუსტრიაში. ის თანამედროვე მედიცინის უახლეს მიღწევებზეა დაფუძნებული და მდებარეობს თბილისში, კოჯორთან. კურორტი ხასიათდება ლამაზი ლანდშაფტით, ორიგინალური არქიტექტორული გადაწყვეტით და გამორჩეული ბუნებრივი მდგომარეობით. დამსვენებლისთვის აქ ტარდება კომპლექსური გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, უჯრედის დონეზე ხდება დეტალური დიაგნოსტიკა, რაც ხელს უწყობს დაავადებების ადრეულ პრევენციას. ყველა პროგრამაში გამოყენებულია საქართველოს ენდემური ფიტორესურსებისა და ბუნებრივი შესაძლებლობების მრავალფეროვნება. BIOLI-ს სამედიცინო ველნეს კურორტზე ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა ამ ახალი ტურისტული პროდუქტის შესწავლას და მარკეტინგული სტრატეგიის განსაზღვრას.

4. რაც შეეხება სამედიცინო ტურიზმის შემაფერხებელ პრობლემას, რომელიც უშლის ამ სფეროს განვითარებას ხელს შეიძლება დასახელდეს არასრულყოფილი ინფრასტრუქტურა, რეკლამის ნაკლებობა, ფაქტობრივად არ არსებობს სრულყოფილი საინფორმაციო ბაზა, ასევე არც თუ ისე ბევრია ტურისტული სააგენტოები, რომელსაც გააჩნია სამკურნალო–გამაჯანსაღებელი ტურები. სამედიცინო ტურიზმის

განვითარებას განაპირობებს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სამკურნალო მომსახურების ხარისხი, ხელმისაწვდომობა და ფასი. სამედიცინო კურორტების განვითარებას და მათი კონკურენტუნარიანობის შექმნას სჭირდება საკმაოდ დიდი სახსრები, რომლის მოძიებაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზით. უცხოელ ინვესტორებს შეუძლიათ დანერგონ ქართულ კურორტებზე თანამედროვე ტექნოლოგიები და მკურნალობის მოწინავე მეთოდები.

**Nino Zautashvili**
*Georgia*
*Grigol Robakidze Universty*
*Tourism*
*Bachelor's programme, VIII semester*

## Medical Tourism – Priority and Opportunities on the Example of BIOLI Wellness Health Resort

Scientific supervisor - Associate Professor **Maka Piranashvili**

1. One of the reasons for traveling in the world are health preservation, positive mood and prolongation of youth. For this purpose, some are looking for a relaxing adjacent spa resort for health prevention, for conducting the course of treatment or to fight the process of involution. Others appeal to hospitals of distant big cities or to specialized clinics of aesthetic plastic surgery abroad. In both cases, the two largest systems of service - health care and tourism are merged what is called recreational, medical tourism. The increase of demand for medical tourism proportionally enhances the economic characteristics of the country: the intensity of investments attraction, revenues, employment and export.

2. The world market of medical tourism is characterized by a sharp increase. According to the recent data, in 2004-2012 the revenues from medical tourism increased from 40 Billion to 0.5 trillion dollars and the total revenue of tourism made up 14% ($3.2 trillion). In 2012 medical tourism in global gross domestic product (GDP) made up 1.8%. By 2017 more than 50% of medical tourism market has been distributed to the countries of Asia, Latin America and the Near East. According to the data of Georgian National Tourism Administration, in 2016 the largest number of tourists was recorded. Only 1% of the tourists visiting the resorts of Georgia for treatment and recovery were recorded. In 2016 Georgia visited 6.350.825 million tourists, and 11.1% of the population traveled for treatment and recovery.

3. Wellness industry is a future business, because in essence it is associated with youth, health and happiness. In every corner of the world, rich people allow themselves to rest on wellness resorts and thus improve their positive mood and workability. BIOLI is a new word in the world industry for relaxation and recovery. It is based on the latest achievements of modern medicine and is located in Kojori, near Tbilisi. The resort is characterized by a beautiful landscape, an original architectural solution and a distinctive natural state. The complex recreational measures are conducted there for the tourists what promotes early prevention of diseases. The diversity of endemic phyto resources and natural opportunities of Georgia is used in every program. The research carried out on BIOLI's medical wellness resort was aimed at studying this new tourism product and determining the marketing strategy.

4. As for the hindering problem for medical tourism that can prevent the development of this

sphere, it is possible to name incomplete infrastructure, lack of advertising, in fact there is no comprehensive information base, as well as not many tourist agencies having the medicinal and recreational tours. The development of medical tourism is due to the quality, availability and prices of different medicinal services in different countries. The development of medical resorts and the creation of their competitiveness need a large amount of funds that the state should provide for attracting foreign investments. Foreign investors can introduce modern technologies on Georgian resorts, the advanced methods of treatment and proceeding from their experience use maximally efficiently the existing resources as well as arrange the infrastructure. Another problem we encounter is the existence of insufficient information bases. The tour operators should perform an active role for the development of medical tourism. They should use their connections and actively advertise for Georgian resorts.

**მარიამ რაზმაძე**
*საქართველო*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*
*ტურიზმი*
*ბაკალავრიატი, VIII სემესტრი*

## მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის პრობლემები საქართველოს ტურისტულ ინდუსტრიაში

ხელმძღვანელი – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი **გიორგი ყაზიშვილი**

1. თანამედროვე ეტაპზე მომსახურების ხარისხი გვევლინება ტურისტული ფირმების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. მომსახურების ხარისხის დონეზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული ფირმის მომავალი ფუნქციონირება.

2. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, ტურიზმის სფერო სწრაფი ტემპით ვითარდება. ტურიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ჩვენი ქვეყნისთვის, ვინაიდან საქართველო გამოირჩევა ლამაზი ბუნებით, ისტორიული ნაგებობებით, მრავალმხრივი ლანდშაფტითა, მდიდარი კულტურით, ტრადიციებით, სტუმართმოყვარე ხალხით. 2016 წელს საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა, 2015 წელთან შედარებით, 7.6 %-ით გაიზარდა. 2016 წელს საქართველოს 6 მილიონ 350 ათას 825 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც, 2015 წელთან შედარებით, 449 ათას 731-ით მეტია.

3. საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის განვითარების პარალელურად ყურადღების ცენტრში ექცევა მომსახურების ხარისხის დონე. მიუხედავად ტურიზმის სფეროში არსებული დადებითი ტენდენციებისა, არსებობს რიგი პრობლემები, რომლებიც მის განვითარებას აფერხებს.

4. საქართველო ტურისტების მომსახურების ხარისხითა და კულტურით განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბებულ მომსახურების კულტურას ჩამორჩება. საქართველოში ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემებს შორის მომსახურების ხარისხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

5. ნაშრომში განხილულია მომსახურების ხარისხის მნიშვნელობა და როლი ტურიზმის

ინდუსტრიაში, ყურადღება გამახვილებულია მომსახურების ხარისხის სფეროში არსებულ დადებით და უარყოფით მხარეებზე, მოცემულია შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები და აღნიშნულ სფეროში საქართველოში შექმნილი მდგომარეობა. ავტორის მიერ ქ. გორში ჩატარებული ანკეტური გამოკითხვისა და მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია მოცემული საკითხისადმი მისი ხედვა და რეკომენდაციები.

**Mariam Razmadze**
*Georgia*
*Gori State Teaching University*
*Tourism*
*Bachelor's programme, VIII semester*

## Customer Service Quality Problems in Georgian Tourism Industry

Scientific supervisor - Doctor of Business Administration **Giorgi Kazishvili**

1. The quality of service at the modern stage is one of the most important factors in determining the competitiveness of tourist firms. The company`s future functioning largely depends on the level of the service quality.

2. In Georgia, as well as in the whole world, tourism sector is developing at a rapid pace. Tourism has a special importance for our country, because Georgia is distinguished for its beautiful nature, historical buildings, multicolored landscapes, rich culture, traditions and hospitable people. In 2016, the number of international travelers in Georgia increased by 7.6% compared to 2015. In 2016, 6 million 350 thousand 825 international travelers visited Georgia, which is 449 thousand 731 more than in 2015.

3. In Georgia together with the development of tourism industry, much attention is paid to the quality of service levels. Despite the positive trends in the field of tourism, there are problems which prevent its development.

4. The quality and culture of tourist services in Georgia are relatively low compared to other developed countries. The quality of tourism sector in Georgia remains one of the most important problems.

5. The work deals with the importance of service quality and its role in the tourism industry, the focus is on the positive and negative sides of service quality, the appropriate statistical data and the current situation of the mentioned sphere in Georgia is presented. Based on the analysis of the survey performed in Gori by the author, and the obtained data, her opinion and recommendations about the current question are given.

**სოფიკო ჩიტიშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*საერთაშორისო*
*ურთიერთობები*
*ბაკალავრიატი, VI*
*სემესტრი*

## კასპიის რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი, შესაძლებლობები და გამოწვევები

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **თორნიკე თურმანიძე**

1. კასპიის რეგიონი მრავალი საუკუნის განმავლობაში აკავშირებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციებს, მაგრამ აბრეშუმის გზის დაკარგვასთან ერთად, მისი ეს ფუნქციაც დაიკარგა. დიდი ხნის შემდეგ კი, როდესაც ნავთობპროდუქტებმა ეკონომიკის მამოძრავებელი ძალის მნიშვნელობა შეიძინა, რეგიონმაც დაიბრუნა სტრატეგიული მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ კასპიის რეგიონს უამრავი რესუსრსი აქვს, ის შესაძლებლობები, რასაც ეს რეგიონი სთავაზობს ევროპას, არასაკმარისად არის გამოყენებული.

2. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს კასპიის რეგიონის ეკონომიკური შესაძლებლობების ჩვენება და ამ შესაძლებლობების გამოყენების გზაზე არსებული პრობლემების წარმოჩენა. ისფაქტი,რომცენტრალურიაზიისგაზისექსპორტირებამხოლოდრუსეთის ტერიტორიის გავლითაა შესაძლებელი, ასევე ყაზახური ნავთობის უდიდესი ნაწილიც რუსული ნავთობტერმინალებიდან გადის საერთაშორისო ასპარეზზე, ამცირებს ამ ქვეყნების ეკონომიკური წინსვლისა და დამოუკიდებლობის შესაძლებლობებს.

3. საკითხის აქტუალურობას სწორედ კასპიის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრობლობის პრობლემური ხასიათი წარმოადგენს. ეკონომიკური ურთიერთობების გარდა, მათ რუსეთის დამოკიდებულებისგან თავის დაღწევის საერთო ინტერესიც აქვთ. აქ იგულისხმება შემდეგი, რომ რეგიონის ქვეყნები უშუალო თანამშრომლობაში უნდა ჩაერთონერთმანეთთან.აღნიშნულისაკითხიაქტუალურიაასევესაქართველოსთვისაც, რადგან აზერბაიჯანისა და საქართველოს თანამშრომლობა ევროპასთან გზას გაუხსნის კასპიის რეგიონიდან ნავთობპროდუქტების უმოკლეს ვადებში გასვლას დასავლეთის მიმართულებით.

4. კასპიის რეგიონის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მის წინაშე არსებული გამოწვევების შესწავლისას გამოყენებული იქნება კვლევის თვისებრივი მეთოდი. ასევე რეგიონული თანამშრომლობის ფაქტებისა და ისტორიული ფონის მიმოხილვისას გამოვიყენებ დოკუმენტების ტრადიციულ ანალიზს. ამას გარდა, ყურადღება გამახვილებული იქნება საკითხის გარშემო არსებული პრობლემების ანალიტიკურ მხარეზე, რისთვისაც ექსპერტთა აზრის კვლევა დამეხმარება.

**Sopiko Chitishvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*International Relations*
*Bachelor's preogramme, VI semester*

## Economic Potential, Possibilities and Challenges of the Caspian Region

Scientific supervisor – Associate Professor **Tornike Turmanidze**

1. The Caspian region linked western and eastern civilizations during several centuries, but this function was lost with the loss of Silk Road. After a long time, when oil products became the motive power of economy, the region has also returned its strategic function. Despite the fact that Caspian region has many resources, the possibilities which are offered to Europe by this region are used insufficiently.

2. The main purpose of this work is to present economic possibilities of this region and the obstacles of taking advantages from these possibilities. The fact that central Asian gas is exported only passing through the Russian territory, furthermore the biggest part of Kazakh petroleum is exported to international arena by the Russian terminals, reduces the economic progress and possible independence of these countries.

3. The urgency of this issue is exactly the problematic character of cooperation between the above mentioned countries. Besides the economic relationship, they also have one common interest - to become free from Russian dependence. This means that regional countries should take part in direct cooperation with each other. This is also important for Georgia, because Georgia-Azerbaijan collaboration with Europe opens the fastest possibility for Caspian oil-products to appear in west.

4. While discussing the economic possibilities of the Caspian region and its challenges, will be used qualitative method of research. To review the regional collaboration's facts and its historical background, traditional documental analysis will be applied. Furthermore, expert's opinions will be used to direct the attention to the analytic part of these issues.

**მარიამ გოგოლაძე**

*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის*
*უნივერსიტეტი*
*მენეჯმენტი*
*ბაკალავრიატი, II*
*სემესტრი*

# მცირე ბიზნესის განვითარების მდგომარეობა საქართველოში

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **ვასილ კიკუტაძე**

1. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ხშირად „ფარულ ჩემპიონებსაც“ უწოდებენ, რადგან მათი წილი მსოფლიო ბაზარზე 50 პროცენტზე მეტს შეადგენს. მათი საქონელი და მომსახურება „უხილავი“ ან ნაკლებად შესამჩნევია, ახასიათებთ გამძლეობისა და სიცოცხლიუნარიანობის მაღალი დონე, გააჩნიათ მნიშვნელოვანი საექსპორტო წილი, არიან გლობალური კონკურენტები და დიდი წვლილი შეაქვთ ქვეყნის წარმატების ბალანსში.

2. მსოფლიო ბანკის 2013 წლის კვლევის-“მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში” მიხედვით, ქართული ინოვაციური საწარმოები 30%-ით მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან და ისინი როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ბაზრებზე არაინოვაციურ საწარმოებთან შედარებით გაცილებით უფრო კონკურენტუნარიანები არიან. აქედან გამომდინარე მეწარმეობის ზრდის ხელშეწყობა,ინოვაციური და უფრო პროდუქტიული ფირმების განვითარებისა და სწრაფად ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ქვეყნის წინსვლასთან დაკავშირებული მიზნების ერთ- ერთ მთავარ პრიორიტეტად უნდა იქცეს.

3. ანვითარების შეფასების მიხედვით,საქართველოს კვლავ ეფექტიანობით მამოძრავებელი ქვეყნის სტატუსი აქვს, რომლის წარმატებაც დაკავშირებულია სახელმწიფო რეგულაციების ტვირთის შემცირებაზე, პოლიტიკური კურსის გამჭირვალეობის გაუმჯობესებაზე, სამართალდარღვევებზე, ბიზნესის დანახარჯების შემცირებაზე, პოლიციის ეფექტიანობის გაზრდაზე, ინვესტორების მხარდაჭერის გაძლიერებაზე, სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრაზე, გადასახადების ეფექტის გაზრდაზე, ინცესტიციებზე, საბაჟო პროცედურების სიმძიმის შემცირებაზე და სხვა კომპონენტებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეკონომიკის ეფექტიანობის გაზრდას.

**Mariam Gogoladze**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Management*
*Bachelor's programme, II semester*

## Development of Small Business in Georgia

Scientific supervisor - Associate Professor **Vasil Kikutadze**

1. Little and medium enterprises are often called "secret champions" as their share to the world market is more than 50%. Their goods and services are "nonvisible" or difficult to be noticed. They maintain high level of viability and durability. They own significant export share, are global competitors and have a great contribution in the success of a state.
2. According to the research of the World Bank made in 2013, "Assistance of entrepreneurship in Georgia", Georgian innovative enterprises create more working places and are more competitive comparing with the non-innovative enterprises. Accordingly, assistance to the increase of entrepreneurship and development of productive companies should become one of the main priorities of the state development.

3. According to the development assessment, Georgia still has a status of an efficient state the success of which depends on the reduction of state restrictions, political course, more transparency, violation, reduction of business expanses, more efficiency of police, reinforcement of supporting investors, eradication of trading barriers, increase of tax efficiency, investments, eradication of the problems that exist at custom offices and on other components, which play a significant role for the development of economic efficiency.

**მიხეილ ბუტიკაშვილი**
*საქართველო*
*კავკასიის უნივერსიტეტი*
*ეკონომიკა*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## რეფინანსირების სესხები, როგორც მონეტარული პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი

ხელმძღვანელი - **მედეა ზურაბიშვილი**

1. როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარ მიზანს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. მონეტარული პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს კი მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს ფასების დინამიკაზე.

2. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (რეფინანსირების განაკვეთი) ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია და ის ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენსსაბაზროგანაკვეთებისათვის. გადაწყვეტილებაპოლიტიკისსაპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე მიიღება მიმდინარე და მოსალოდნელ ეკონომიკურ პროცესებსა და ფინანსურ ბაზრებზე დაკვირვების შედეგად საქართველოს ეროვნული

ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ.

3. 2014 წლის ბოლოდან რეფინანსირების სესხებზე გაზრდილი მოთხოვნა ფიქსირდება. არსებული თემა საკმაოდ პრობლემატურია და მისი აქტუალურობა დღითიდღე იზრდება, ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკის ქმედება საკმაოდ ხისტია რაც გარკვეულ არასასურველ ცვლილებებს გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკაში.

4. ამასთან დაკავშირებით დავინტერესდი, რამდენად თანმიმდევრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მონეტარული პოლიტიკა, შესაბამისად, გავეცანი რეფინანსირების სესხების გაცემის მექანიზმს, განვიხილე რეფინანსირების სესხის ცვლილებებზე მოქმედი ფაქტორები და შევეცადე გამეანალიზებინა რა გავლენას ახდენს რეფინანსირების სესხების საპროცენტო განაკვეთის თუ მოცულობის ზრდა ფასების სტაბილურობაზე და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

**Mikheil Butikashvili**
*Georgia*
*Caucasus University*
*Economics*
*Bachelor's programme, IV semester*

## Monetary Policy (Refinancing) Rate

Scientific supervisor – **Medea Zurabishvili**

1. It is a known fact that the main objective of the National Bank of Georgia is to maintain price stability. Furthermore, the NBG supports financial system stability and transparency, and promotes country's economic growth without prejudice to its main objective. Price stability implies the maintenance of low and stable inflation for a prolonged period.

2. The main monetary policy instrument of the National Bank of Georgia is the monetary policy (refinancing) rate – the interest rate applied to its refinancing loans. This is considered as a reference point for market rates.

3. Nowadays, monetary policy of NBG is very problematic and popular, and interest in this field is rapidly increasing. Some experts and economists believe that NBG moves in financial market is not rational and it may cause many problems for our country's economy.

4. Because of these differences of opinions I'm interested in which case NBG is wrong or right and I tried to analyze what benefits or disadvantages can the moves made by NBG cause.

**ქეთევან ილურიძე, მარიამ ჩარკვიანი**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძისსახელობის უნივერსიტეტი*
*ფინანსები*
*ბაკალავრიატი, II სემესტრი*

**მოსახლეობის სიღარიბის პრობლემა საქართველოში**

ხელმძღვანელი - პროფესორი **მურთაზ კვირკვაია**

1. საკონფერენციო თემა შეეხება ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალურ ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს როგორიცაა მოსახლეობის უმუშევრობა და სიღარიბე. ნაშრომის ფარგლებში განხილულია შემდეგი საკითხები: რა არის სიღარიბე; სიღარიბის სახეები; სიღარიბის გამომწვევი მიზეზები; სიღარიბის დონე საქართველოში; სიღარიბის დაძლევის გზები; საქართველოს სოციალურ ეკონომიკური სტრატეგია.

2. სიღარიბე არის მდგომარეობა რომელიც ხასიათდება რესურსების, შესაძლებლობების, არჩევანის უსაფრთხოებისა და უფლების დაკარგვით, რაც აუცილებელია ცხოვრების ადექვატური პირობებისა და სხვა სამოქალაქო კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური უფლებების დასაკმაყოფილებლად.

3. სიღარიბის სახეებია: აბსოლუტური და შედარებითი. აბსოლუტური - ეს არის ბაზისური ადამიანური მოთხოვნილების ნაკლებობა, როგორიცაა: სუფთა წყალი, საკვები, თავშესაფარი, განათლება, ჯანმრთელობა და ტანსაცმელი. აბსოლუტური სიღარიბის განმარტება ეყრდნობა მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობას ქვეყანაში კანონმდებლობით დადგენილ საარსებო მინიმუმთან. შედარებითი სიღარიბე - ეს არის, როდესაც ადამიანს ნაკლები ფული და ქონება აქვს, ან ნაკლები შესაძლებლობა სრულფასოვან საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისთვის, იმ საზოგადოებასთან შედარებით სადაც ის ცხოვრობს.

4. საქართველო სიღარიბის დონის მიხედვით 114 ადგილს იკავებს მსოფლიოს ქვეყნებს შორის. ჩატარებული კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ მოსახლეობის 60%-ი სიღარიბეში ცხოვრობს.

5. სიღარიბის დასაძლევად უპირველეს ყოვლისა უნდა მოგვარდეს უმუშევრობის პრობლემა და შეიქმნას სამუშაო ადილები. სახელმწიფომ მეტი ინვესტიციები უნდა ჩადოს ჯანდაცვაში. ჯანდაცვის დაფინანსების ეფექტური სისტემა და უმუშევრობის პრობლემების აღმოფხვრა სიღარიბის დონის შემცირებას გამოიწვევს.

6. აღნიშნული მიმართულებით საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია რომლის განხორციელებაც ნავარაუდევია 2020 წლისთვის. ეს პროექტი მიზნად ისახავს ეკონომიკურ ზრდას, ინვესტიციების მოზიდვას უცხოეთიდან, ასევე მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებაზე.

**Ketevan Iluridze, Mariam Charkviani**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Finance*
*Bachelor's programme, II level*

## Poverty Problem of Population in Georgia

Scientific supervisor – Professor **Murtaz Kvirkvaia**

1. The topic concerns very problematic socioeconomic issues of our society such as unemployment and poverty of the population. The following issues are discussed in the work: what is poverty; types of poverty; causes of poverty; level of poverty in Georgia; ways to overcome poverty; Georgia's social-economic strategy.

2. Poverty is a condition that is characterized by loss of resources, capabilities, security and the right of choice what is essential for adequate living conditions and other civil cultural, economic, political and social rights.

3. Types of poverty are: absolute and comparative. Absolute poverty - this is a lack of basic human requirements, such as: clean water, food, shelter, education, health and clothing. The definition of absolute poverty is based on compliance of the income and expenditure of the population with the minimum wage determined by the legislation in the country. Comparative poverty - this is the situation when people have less money and property, or less opportunity to get involved in a full-scale community life, compared with the community where he/she lives.

4. Georgia is ranked on 114 place among world countries in terms of poverty level. According to the surveys, 60% of the population of Georgia lives in poverty.

5. In order to overcome poverty, first of all we need to solve unemployment problem and create jobs. The State should invest more investments in healthcare. An effective system of healthcare financing and elimination of unemployment problems will reduce poverty levels.

6. In this direction, the Government of Georgia has developed a strategy for socioeconomic development which is expected to be implemented by 2020. This strategy aims to increase economic growth in the country, attracting investments from abroad, and also focuses on the development of infrastructure projects.

**სანდრო გიგაური, მარიამ დარჩია**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*საერთაშორისო ურთიერთობები*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

# ლიტვის ევროზონასთან შეერთება - გეოპოლიტიკური სვლა ეკონომიკური შედეგებით

ხელმძღვანელი - მოწვეული ლექტორი **კონსტანტინე შუბითიძე**

1. საკითხის აქტუალობა
   - თანამედროვე რეალობაში ევროზონა საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება, იგი განიცდის დეფლაციას, სადაც ფასები ნელ-ნელა ვარდება, ხოლო უმუშევართა რიცხვი კი მწვავე პრობლემადაა გადაქცეული.
   - 2015 წელს ლიტვის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი უარს აცხადებდა ევროზონაში შესვლაზე. მიუხედავად ამისა, ლიტვის მთავრობამ რეფერენდუმის გარეშე გადაწყვიტა, გამხდარიყო ევროზონის წევრი, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. მათმა ნაწილმა ევროზონის დატოვებაც კი მოითხოვა.

2. კვლევის მიზანი
   - ჩვენს მიზანს წარმოადგენს მოცემული სიტუაციის გაანალიზება, იმ ღია თუ ფარული მიზეზების დადგენა, რის გამოც ლიტვამ მიიღო ეს გადაწყვეტილება და ასეთ არასტაბილურ ვითარებაში გახდა ევროზონის წევრი.
   - განხილვა იმ შედეგებისა, რომლებიც ლიტვას ევროზონაში გაწევრიანებამ მოუტანა და, შესაბამისად, იმის დადგენა თანამედროვე სიტუაციაში რამდენად მყარი სტრუქტურაა ევროზონა და ლიტვის მაგალითზე იმის განსაზღვრა, რამდენად მომგებიანია მისი წევრობა წევრი სახელმწიფოებისათვის და უნდა იყის თუარა მასში გაწევრიანება პრიორიტეტი.

3. მეთოდოლოგია
   - საკვლევი კითხვაა: რა ცვლილებები განიცადა ლიტვის ეკონომიკამ ევროზონაში გაწევრიანების შემდგომ? უზრუნველყოფს.
   - დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს ლიტვის ევროზონაში გაწევრიანება, ხოლო დამოკიდებულ ცვლადს ევროზონაში გაწევრიანების შედეგები.
   - ჩვენ დავაკვირდებით ლიტვაში მომხდარ ეკონომიკურ ცვლილებებს, კერძოდ, მთლიან შიდა პროდუქტს, სავაჭრო სალდოს, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (FDI) და საგარეო ვაჭრობის მიმართულებას გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ და გავაკეთებთ შესაბამის დასკვნებს.

**Sandro Gigauri, Mariam Darchia**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*International Relations*
*Bachelor's programme, IV semester*

## Lithuania Joining the Eurozone – a Geopolitical Ploy with Economic Results

Scientific supervisor - Invited lecturer **Konstantine Shubitidze**

1. Topicality of the issue

- In the modern reality, the Eurozone is in a very unhealthy state; it experiences deflation where prices are slowly falling and the number of unemployed people is turning into a serious problem.
- In 2015, a large portion of Lithuanian population refused to join the Eurozone. Nevertheless, the Lithuanian government decided without a referendum to become a member of the Eurozone, what caused dissatisfaction of the population. Some of them even demanded to leave the Eurozone.

2. Purpose of the research

- Our purpose is to analyze the situation, to determine the open and hidden reasons which led to Lithuania's decision to become a member of the Eurozone in such a volatile situation.
- Considering the consequences of Lithuania's entry into the Eurozone and, therefore, to determine how sustainable the Eurozone in the modern situation is, and according to the example of Lithuania, indicate how effective its membership is for the Member States and determine should joining the Eurozone be a priority for other countries.

3. Methodology

- The research question is: What changes have been made to Lithuania's economy after joining the Eurozone?
- Independent variable is the integration of Lithuania in the Eurozone, and the dependent variable is the results of joining the Eurozone.
- We will look at the economic changes in Lithuania, namely, the GDP, the trade balance, the FDI and the Foreign Trade before and after joining and we will make relevant conclusions.

**ნიკა გრიგოლია**
*საქართველო*
*გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი*
*ბიზნესის ადმინისტრირება*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

**ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება და ინტეგრაციული პროცესები საქართველოში**

ხელმძღვანელი - პროფესორი **ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე**

1. საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის ორმხრივი ურთიერთობები დინამიურად ვითარდება, როგორც ორმხრივ ფორმატში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. ორ ქვეყანას შორის არსებული სამართლებრივი ბაზა მოიცავს ათამდე საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელთა მეშვეობით რეგულირდება ეკონომიკის, ფინანსების, თავდაცვისა და უსაფრთხოების, კულტურის, განათლების, მეცნიერების, სპორტის და სხვა სფეროებში არსებული ურთიერთობები.

2. ნაშრომში ინტეგრაციული პროცესები განხილულია რამოდენიმე მიმართულებით:
   - ვიშეგრადის ქვეყნების ინტეგრაციული ჯგუფის ევოლუცია და ინტეგრაციის შემდეგ ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონმიკური შედეგები;
   - ემპირიული კვლევის საფუძველზე შესწავლილია საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი;
   - ჩეხეთის გამოცდილების საფუძველზე მოცემულია ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს განვითარების პრობლემები და შესაძლებლობები.

**Nika Grigolia**
*Georgia*
*Guram Tavartkiladze Teaching University*
*Business Administration*
*Bachelor's programme, IV semester*

**Experiences and Integration Processes of Visegrad Countries in Georgia**

Scientific supervisor – Professor **Lali Chagelishvili-Agladze**

1. Bilateral relations between Georgia and the Czech Republic are dynamically developed in both - bilateral format as well as within the international organizations. The legal base between the two countries comprises up to ten international treaties which are regulated by the relations existing in economics, finances, defense, culture, education, science, sports and other fields.

2. Integration processes are discussed in the paper in several areas:
   - Evolution of Integration Group of Visegrad Countries and Social-Economic Results of these Countries after integration;
   - Economic potential of Georgia is studied on the basis of empirical research;
   - Problems and opportunities of the development of Georgia on the basis of Czech experience are given on the path of European integration.

# მედიცინის სექცია
# Section of Medicine

**თამარ გველესიანი**
*საქართველო*
*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*
*საექიმო საქმე*
*ბაკალავრიატი, XII სემესტრი*

# ბარიატრიული ქირურგიის შემდგომი ვიტამინდეფიციტური ნევროლოგიური გართულებები

ხელმძღვანელი - პროფესორი **ნანა რატიანი**

1. XXI საუკუნეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სიმსუქნე დაახასიათა როგორც არაინფექციური ,,ეპიდემია." ჯანმ ო-ის მონაცემებით, მსოფლიოში ორ მილიარდამდე ადამიანს ჭარბი წონა აქვს, მათგან 600 მილიონზე მეტს აწუხებს ე.წ. ,,მორბიდული სიმსუქნე." დღეს საქართველოში ჭარბი წონის მქონე 100 000-მდე ადამიანი ცხოვრობს, რომელთაც წონის დასაკლებად ქირურგიული ჩარევა ესაჭიროებათ.

2. ბარიატრიული ქირურგია სიმსუქნის მულტიდისციპლინარული მკურნალობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომლის საშუალებითაც ხდება წონის დაკლება და მეტაბოლური წონასწორობის დარეგულირება. ბარიატრიული ოპერაცია ნაჩვენებია იმ შემთხვევაში, როდესაც სხეულის მასის ინდექსი (BMI) აღემატება 40-ს და აღინიშნება ჭარბწონიანობით გამოწვეული რომელიმე სომატური დაავადება. ოპერაციის მიზანია პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და მისი სრული სოციალური და ესთეტიკური რეაბილიტაციის მიღწევა.

3. ზემოაღნიშნული უპირატესობების მიუხედავად, არსებობს მთელი რიგი გართულებები, რაც თან ახლავს აღნიშნული მეთოდის გამოყენებას. მათგან უპირველესად აღსანიშნავია ბარიატრიული ოპერაციების შემდგომი ჰიპოვიტამინოზები და მათთან ასოცირებული ნევროლოგიური გართულებები. პაციენტთა უმრავლესობას განსაკუთრებით ხშირად აღენიშნება B1, B9, B12, D და E ვიტამინების დეფიციტი, რაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ისეთი ნევროლოგიური გართულებების განვითარებას, როგორიცაა, ქრონიკული და ქვემწვავე პერიფერიული ნეიროპათია (52%), მწვავე პერიფერიული ნეიროპათია (4%), მიელოპათია (9%), პოლირადიკულონეიროპათია (5%), ვერნიკეს ენცეფალოპათია (9%), მიოტონური სინდრომი (4%) და სხვ. ამასთან, მსოფლიოს მასშტაბით ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები ცხადჰყოფს, რომ პოსტოპერაციული გართულებების განვითარებისრისკიმნიშვნელოვნადარისდამოკიდებულიიმაზე, თუბარიატრიული ქირურგიის კონკრეტულად რომელ მეთოდს ვიყენებთ. ნაშრომში განხილულია ბარიატრიული ოპერაციის პრაქტიკაში დანერგილი ძირითადი მეთოდები, კერძოდ, რესტრიქციული, მალაბსორბციული და კომბინირებული ოპერაციები. გაანალიზებულია მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები, მოსალოდნელი პოსტოპერაციული გართულებები, შემუშავებული მკურნალობის მეთოდები და პრევენციული ღონისძიებები.

**Tamar Gvelesiani**
*Georgia*
*Tbilisi State Medical University*
*Medical Practice*
*Bachelor's programme, XII semester*

## The Neurological Complications of Vitamin Deficiency following Bariatric Surgery

Scientific supervisor – Professor **Nana Ratiani**

1. The World Health Organization (WHO) describes obesity as a new noninfectious "epidemic" of XXI century. According to WHO, the number of people with obesity has increased to 2 billion. Among them about 600 million people have the so called "morbid obesity". The rate of obesity continues to rise and affects over 100 000 adults in Georgia as well. They usually need a surgical treatment.

2. One of the most effective fields in multidisciplinary treatments for obesity is bariatric surgery, which helps to reduce weight and, therefore, regulate metabolic balance. Bariatric surgery is usually used when BMI exceeds 40 and if there is any other current overweight induced bodily disease. The main goal of bariatric surgery is to improve the life quality of patient and achieve his/her social and aesthetic rehabilitation.

3. In spite of the above mentioned advantages of bariatric surgery, there are lots of postoperative complications, among which neurological complications of nutritional deficiency following bariatric surgery play an important role. Most of patients have B1, B9, B12, D and E vitamin deficiency which, for its part, is precondition for developing neurological complications including chronic and subacute peripheral neuropathy (52%), acute peripheral neuropathy (4%), myelopathy (9%), polyradiculoneuropathy (5%), Wernicke encephalopathy (9%), myotonic syndrome (4%), etc. Therefore, worldwide researches in this field show that the risk of postoperative complications is highly due to the method of bariatric surgery we use. In the article are discussed the three main methods of bariatric surgery: restrictive, malabsorptive and combined procedures, are analyzed their pros and cons, expected postoperative complications as well as methods of treatment and prevention.

**ირაკლი ფეიქრიშვილი**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*სტომატოლოგიის პროგრამა, VI სემესტრი*

# დენტალური იმპლანტის უარყოფის იმუნური ასპექტები

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **თამარ გიორგაძე**

1. დენტალური ინპლანტაციის ისტორია ასწლეულებს ითვლის, თუმცა ხანრგძლივი დროის განმავლობაში კბილთა პროტეზირებისა და იმპლანტაციის ყველა მცდელობა წარუმატებლად სრულდებოდა. მდგომარეობა პერ ინგვარ ბრანემარკის მიერ დენტალური იმპლანტაციის საფუძვლის - ოსტეოინტეგრაციის პროცესის აღმოჩენის შემდეგ შეიცვალა.

2. მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, მკურნალობის აღნიშნულ მეთოდს თან ახლავს გართულებები, რომელთაგან ერთ-ერთი იმპლანტის უარყოფაა.

3. აღნიშნული თემის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვამ იმპლანტაციის პროცესზე პაციენტის იმუნური სტატუსის ზოგადი მდგომარეობის გავლენა აჩვენა, რაც ადგილობრივად ანთების მიმდინარეობის თავისებურებაში აისახება.

4. სახიფათო ხდება პროცესი, რომელიც ყველა შემთხვევაში თანმდევია ოპერაციული ჩარევის. ვინაიდან, დაზიანების ან ინფექციის საპასუხოდ ქსოვილში განვითარებული იმუნური პასუხის მნიშვნლოვანი ნაწილია. მისი არსი სწორედ დაზიანებული ქსოვილს მთლიანობის აღდგენაში მდგომარეობს.

5. ანთების დამაზიანებელი მოქმედების ჩამრთველად სხვადასხვა მიზეზით პაციენტის იმუნურ სტატუსში განვითარებული ცვლილებები მოიაზრება.

6. ხშირ შემთხვევაში სწორედ პაციენტის იმუნური სტატუსის მგომარეობა განსაზღვრავს დენტალური იმპლანტაციის წარმატებას.

**Irakli Peikrishvili**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Dentistry programme, VI semester*

## The Immunologic Aspects of dental Implants Failure

Scientific supervisor - Associate Professor **Tamar Giorgadze**

1. Dental implants history goes back to centuries ago and people have attempted to replace the missing teeth with different ways to regain full, comfortable masticatory function and facial esthetics. In the 1900s, a revolution was seen in dental implant. Professor Branemark in the 1960s with the discovery of his concept of osseointegration brought the defining moment in the history of dental implants.

2. Although the high predictability and long-term success rate of dental implants is well documented in the literature, complications and failures do occur. Some complications may be relatively minor and easy to correct, while others will be major and result in the loss of the implant or prosthesis. Rejection of a dental implant is a pathological inflammatory-destructive process leading to a loss of osseointegration of the intraosseous part of the implant with surrounding tissues.

3. The most common cause of dental implant rejection is the development of inflammation. Inflammation is a part of the body's immune response. The function of inflammation is to defend the body against microbial infection, and to repair injured tissues. Nonetheless, inflammation does have the potential to cause harm. It is increasingly evident that changes in the course of the inflammatory condition in one organ or tissue of the body may produce systemic effects with deleterious consequences.

4. Review of recent literature has shown the influence of immune activation on the inflammatory response. Problems with the immune system increase the risk of dental implant rejection. The success or failure of implants depends on the functional state of immune system.

**დავით გრიგალაშვილი, ლევან ჯაჯვანი**
*საქართველო*
*საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი*
*სტომატოლოგიის პროგრამა, II სემესტრი*

## თანამედროვე მაღალტექნოლოგიების დანერგვა მედიცინაში

ხელმძღვანელი - ასოცოცირებული პროფესორი **მანია არაბული**

1. მედიცინა მუდმივ განახლებას განიცდის, დღეს მრავალი მოწყობილობაა ისეთი, რომელიც თანამედროვე მედიცინას უფრო ეფექტურს ხდის. ამიტომ ამ სფეროში რობოტების გამოყენება ძალზედ პერსპექტიულია.

2. მაღალტექნოლოგიების გამოყენებამ დადებითი როლი და გავლენა მოახდინა სამედიცინო პრობლემებზეც. მათი წყალობით უფრო ადვილი და ეფექტური გზები იქნა გამოვლენილი, რომლებიც დადებითად აისახება პაციენტის მდგომარეობაზე.

შემცირდა სიკვდილიანობა და უზუსტობა მედიცინაში. რობოტი-ქირურგების პირველმა თაობებმა წარმატებით დაიპყრეს მსოფლიოს უამრავი საოპერაციო.

3. სამედიცინო ტექნოლოგიების წყალობით ექიმები ახდენენ უფრო ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. რობოტულ ტექნოლოგიებს იყენებენ მედიცინის სხვადასხვა სფეროში.

4. ადამიანის ორგანიზმში ტექნოლოგიური ქირურგიული სისტემების შეყვანა უზრუნველყოფს უკეთეს მიდგომასა და ვიზუალიზაციას ისეთ ადგილებში, სადაცეს ძალიან რთულია. ასეთი სისტემები აღჭურვილია სკანერებით, ელექტრომაგნიტური მოწყობილობებით, ინფრაწითელი და ულტრაიისფერი სინათლის წყაროებით. მათი დახმარებით ქირურგებს საშუალება აქვთ ქსოვილებთან იურთიერთქმედებონ ისე, რომ ისინი არ დააზიანონ.

5. რობოტული სისტემების უპირატესობებია: ოპერაციის ინვაზიურობის მინიმუმამდე დაყვანა და ასეთ პირობებში ქირურგიული მანიპულაციების მეტი სიზუსტე, ავადმყოფის თვითშეგრძნების გაუმჯობესება და სწრაფი განკურნება.

6. თანამედროვე სამედიცინო მიდგომის მკაცრი მოთხოვნაა ქირურგიული ინსტრუმენტების ზუსტი და შედარებით უშეცდომო მართვის სისტემა, ნაკლები გართულებები და დანახარჯები, რისკისა და ინვაზიურობის ხარისხის შემცირება. მაღალტექნოლოგიები მედიცინაში ეს უკვე რეალობაა. მეტი სიცოცხლე, მეტი სიზუსტე, ნაკლები დანახარჯები, ძლიერ დაავადებებთან შერკინება და დამარცხება. ეს რობოტული სისტემებია მედიცინაში.

**Davit Grigalashvili, Levan Jajvani**
*Georgia*
*Georgian International Teaching University*
*Dentistry programme, II semester*

## Implantation of Modern High Technologies in Medicine

Scientific supervisor – Associate Professor **Mania Arabli**

1. Medicine consecutively experiences renovation. Today there are many instruments which make modern medicine more effective. That is why using of robots in this field is very perspective.

2. Use of high technologies had positive influence also on medicine problems. With their help easier and more effective ways were revealed which had positive impact on patients' condition. Death rate and inaccuracies in medicine were reduced. The first generations of robot-surgeons successfully conquered many surgeries throughout the world.

3. Owing to medical technologies, doctors' make exact diagnosis and provide appropriate treatment. Robot technologies are used in different fields of medicine.

4. Inserting technological surgical systems in human bodies makes it possible to better see and examine those places in the body which earlier were not visible. Such systems are equipped

with scanners, electro magnet equipment, infrared and ultra violet light sources. With their help surgeons have ability to “contact” with tissues without damaging them.

5. The advantages of robot systems are: minimization of operation invasiveness, to more accuracy of surgery manipulations in these conditions, improving of a patient’s condition and fast medical treatment.

6. Modern medicine strictly requires accurate and comparably unmistakable management system of surgical instruments, less complications and outgoings, reducing of risks and degree of invasiveness. High technologies in medicine are reality now. More lives, more accuracy, less outgoings, fighting with complicated diseases and defeat. These are robot systems in medicine.

**ანა ვახანია**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*სტომატოლოგის პროგრამა, II სემესტრი*

## მელატონინის როლი ორგანიზმის ბიოლოგიური რიტმების რეგულაციაში

ხელმძღვანელი - **ანა თეგეთაშვილი**

1. ცოცხალ ორგანიზმთა ნორმალური ფუნქციონირების უნიკალურობა მათ რიტმულობაში გამოიხატება. ადამიანის ცხოველქმედების ინტენსივობის მთელი რიგი თავისებურებანი და პათოლოგიებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული წელიწადის დროსა და დღე-ღამური რიტმის მონაცვლეობასთან. დღეისათვის ადამიანის ორგანოზმში მიმდინარე 100-ზე მეტი ცირკადული რიტმია ცნობილი.

2. ეპიფიზი ერთადერთი ჯირკვალია, რომელსაც შეუძლია თვალის ბადურიდან მიღებული ნერვული იმპულსის ტრანსფორმაცია, გარემოს სინათლის შესახებ ინფორმაციის ორგანიზმის შიდა გარემოს გადაეცემა და ფიზიოლოგიური რიტმულობის ფორმირება და რეგულაცია. მას ,,ბიოსაათსაც“ უწოდებენ.

3. ეპიფიზში ამინომჟავა ტრიფტოფანისგან ხდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების - მელატონინის სინთეზი. მისი სეკრეცია მკვეთრად ცირკადულია და სეზონური რიტმითაც ხასიათდება (მატულობს ღამით და შემოდგომა-ზამთარში).

4. მელატონინს აქვს ბევრი სასარგებლო თვისება: საგრძნობლად ამცირებს ონკოლოგიური დაავადებების რისკს; მოქმედებს იმუნურ სისტემაზე: ააქტიურებს იმუნოკომპეტენტურ უჯრედებს და ზრდის მათ რაოდენობას; ხელს უწყობს ორგანიზმის ადაპტაციას; აუმჯობესებს ტვინის მუშაობას და შემეცნების უნარს; ამცირებს ინფარქტის რისკს და და, რაც მთავრია, ანელებს დაბერების პროცესს.

5. მელატონინის სინთეზისა და სეკრეციის მოშლა მრავალ პათოლოგიას უდევს საფუძვლად. მისი ნაკლებობის პირველი ნიშანია უძილობა, მოუსვენრობა, შიშის შეგრძნება და მაღალი არტერიული წნევა.

6. ეპიფიზი განიცდის ასაკობრივ ინვოლუციას, შესაბამისად მელატონინის ბიოსინთეზიც პროგრესულად ქვეითდება. ამიტომ, 40 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის პრეპარატი - მელატონინის დოზირებული მიღება ასტიმულირებს და აღადგენს ორგანიზმის მრავალ ფუნქციას.


**Ana Vakhania**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Dentistry programme, II semester*


## Role of Melatonin in the Regulation of the Biological Rhythms of an Organism

**Scientific supervisor - Ana Tegetashvili**

1. The uniqueness of normal functioning of live organisms are expressed in their rhythm. A number of peculiarities of the intensity of human beings and pathologies are closely linked to the change of seasons and daily rhythm. Today, there are more than 100 circadian rhythms known in a human body.

2. Epiphysis is the only gland that can transform the nerve impulse of the retina, transmit information about the internal environment light of the organism and form and regulate physiological rhythm. It is also called “Bio clock”.

3. In Epiphysis the synthesis of biologically active substances – melatonin is implemented by amino acid tryptophan. Its secretion is sharply circadian and characterized by a seasonal rhythm (rises overnight and in autumn-winter).

4. Melatonin has many useful features: it significantly reduces the risk of oncological diseases; affects the immune system: activates immune competent cells and increases the number; promotes the adaptation of the organism; improves brain function and cognitive ability; reduces the risk of infarction and the main thing is that it slows down the aging process.

5. Melatonin synthesis and secretion disorders are based on many pathologies. The first sign of its lack is insomnia, restlessness, feeling of fear and high blood pressure.

6. Epiphysis experiences age involution, accordingly, Melatonin biosynthesis is progressively degraded. Therefore, taking the dosage of the drug – Melatonin for people over 40 stimulates and restores many functions of the organism.

**გვანცა დარჩიაშვილი, ნინო დვალიშვილი**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*სტომატოლოგიის პროგრამა, II სემესტრი*

## სამედიცინო ბიოლოგიური აქტუალური პრობლემა: კვებითი პრობლემები

**ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი მანია არაბული**

1. ტექნიკურმა პროგრესმა, ახალი ჯიშების გამოყვანამ, ახალი ნივთიერებების მიღებამ, რომლებიც ასტიმულირებს ბოსტნეულსა თუ ხილს ზრდას, ახალი საფიქრალი შეუქმნა კაცობრიობას: რამდენად ჯანსაღია ის პროდუქტები, რომლითაც ყოველდღიურად ვიკვებებით?

2. ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ იკვებება ადამიანი. კვებაა ის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც ანადგურებს, ან პირიქით, აჯანსაღებს ორგანიზმს.

3. არაჯანსაღი საკვების, ე.წ. სწრაფი კვების, ან, გენმოდიფიცირებული პროდუქციის მიღება იწვევს ორგანიზმში სერიოზულ და ქრონიკულ დაავადებებს: შაქრიანი დიაბეტი, ჭარბი წონა, კარიესი, ღვიძლის და გულ–სისხლძარღვთა დაავადებები, სხვადასხვა ანომალიები, კიბო და სხვა. ეს დაავადებები ერთმანეთზე ჯაჭვური ქსელითაა გადაბმული. ერთი მათგანის განვითარება ორგანიზმში იწვევს მეორეს .

4. ყველამ იცის სწრაფი კვების მიერ მოტანილი ფატალური შედეგების შესახებ, მაგრამ ქორნიკული დროის უქონლობის გამო მაინც მისი მომხმარებელია. კვლევების თანახმად, ფასთ-ფუდი განსაკუთრებით მაღალკალორიულია, იწვევს გაცხიმოვნებას და მასთან დაკავშირებულ დაავადებებს. ასევე, შეიცავს კიბოს მაპროვაცირებელ ნაერთებს. სწრაფი კვების ერთადერთი პლუსი მხოლოდ დროის ეკონომია.

5. მსოფლიო ბაზარზე ყოველწლიურად იზრდება გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქციის წილი, რომელიც არანაკლებ ზიანს აყენებს ადამიანის ორგანიზმს. ასევე, კოკა–კოლა და სხვა გაზიანი სასმელები.

6. არაჯანსაღი პროდუქტის მიღება ეტაპობრივი და ნელი გზაა, რომელსაც ფატალურ შედეგებამდე მივყავართ. თუ ადამიანი დაკავდება აქტიური სპორტით და იკვებება ჯანსაღი პროდუქტით, ბუნება მას სიცოცხლის უფლებითა და ახალგაზრდობის შენარჩუნებით დაასაჩუქრებს.

**Gvanta Darchiashvili, Nino Dvalishvili**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Dentistry programme, II semester*

## Medical-Biological Relevant Problem: Nutrition Problems

Scientific supervisor – Associate Professor **Mania Arabli**

1. The technological progress, breeding of new species, the introduction of new substances that stimulate the growth of vegetables or fruit, has given humanity new food for thought: how healthy are the products we consume on a daily basis?

2. It is very important to know what kind of food people eat. Nutrition - one of the most important factors that destroys, or vice versa, makes our body healthy.

3. Consuming unhealthy, so called fast food, or genetically modified products, causes serious and chronic diseases in the body: diabetes mellitus, excess weight, caries, liver and cardiovascular diseases, various anomalies, cancer and etc. These diseases are twined together like chain net. The development of one of these diseases leads to another.

4. Everyone knows about the fatal effects of fast food, but because of the permanent absence of time they still consume it. According to studies, fast food is particularly high-caloric, causing lumber and related diseases. It also contains compounds that provoke cancer. The only benefit of fast food is timesaving.

5. The share of genetically modified products increases annually across the global market, which no less harms the human body as well as, Coca-Cola and other carbonated drinks.

6. An unhealthy product is a gradual and slow path that leads to fatal outcomes. If a person is engaged in active sports and feeds on healthy products, the nature would grant him/her the right to life and keep youth.

**ია შანიძე, ანა მელიქიძე**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*სტომატოლოგიის პროგრამა, II სემესტრი*

## ღეროვანი უჯრედები - ახალი ერა მედიცინაში

**ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი მანია არაბული**

1. ღეროვანი უჯრედების აღმოჩენამ რევოლუცია მოახდინა არა მხოლოდ მედიცინაში, არამედ კაცობრიობის ისტორიაშიც. მან რადიკალურად შეცვალა ტრადიციული მიდგომა პაციენტთა მკურნალობის საქმეში და ხელი შეუწყო თვისობრივად ახალი მიმართულების, რეგენერაციული მედიცინის, განვითარებას.

2. რეგენერაციული მედიცინის მიზანი არის დაზიანებული ქსოვილებისა და ორგანოების, სტრუქტურისა და ფუნქციის აღდგენა.

3. რეგენერაციულმა მედიცინამ უკვე წარმატებით გაზარდა გულის სარქველები ადამიანის ღეროვანი უჯრედებიდან. მეცნიერები ქმნიან არა მხოლოდ გულის სარქველის ფორმას, არამედ ნებისმიერ სხვა ორგანოსაც.

4. ღეროვანი უჯრედები, არადიფერენცირებული, არასპეციალიზირებული უჯრედებია, რომელთაც გააჩნიათ გაყოფის, რეგენერაციის, სპეციალიზაციის, სხვადასხვა ტიპის ქსოვილებში ჩართვის, დაზიანებული ქსოვილებისა და ორგანოების რეპარაციის უნარი.

5. უნდა აღინიშნოს, რომ, გამოყოფენ რამდენიმე ტიპის ღეროვან უჯრედებს წარმოშობისა და პოტენციის მიხედვით. მათ შორის განსხვავებულია ღეროვანი უჯრედების გამოყოფისა და შენახვის ტექნოლოგიებიც.

6. დონორი ღეროვანი უჯრედები წარმატებით გამოიყენეს ძმების, დების და ახლო ნათესავების სამკურნალოდ ,, იმუნური კონფლიქტის'' გარეშე.

7. საკუთარი ღეროვანი უჯრედების შენახვას დიდი მნიშვნელობა გაჩნია.დღეს მსოფლიოში ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციისთვის 25 მილიონი პოტენციური დონორი არსებობს, მაგრამ პაციენტთა 30%-სთვის, შესაძლოა, არცერთი მათგანი არ გამოდგეს დონორად.

8. დღეს მსოფლიოში არსებობს 100-მდე ჰემბანკი, სადაც უმეტესად ინახება ჭიპლარის სისხლი. ჩვილის ღეროვანი უჯრედები უნიკალურია, რადგან მათზე გარემოს მავნე ზეგავლენას, დაავადებებს, გამოსხივებას, რადიაცას, ვირუსებსა თუ ბაქტერიებს, ტოქსინებსა თუ სხვა ქიმიურ ნივთიერებებს არ უმოქმედია. ჩვილის ღეროვანი უჯრედები 20–ჯერ უფრო მაღალი აღდგენის უნარით გამოირჩევა, ვიდრე მოზრდილის ღეროვანი უჯრედები.

**Ia Shanidze, Ana Melikidze**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Dentistry programme, II semester*

## New Stem cells - a New Era in Medicine

Scientific supervisor – Associate Professor **Mania Arabli**

1. Discovery of stem cells made revolution not only in medicine but also in human history. It radically changed the traditional approach to patients' treatment and contributed a great deal to the development of a new direction - regenerative medicine.

2. The goal of regenerative medicine is to recover the damaged structure and function of the tissues and organs.

3. Regenerative medicine has already successfully grown heart valves from human cells. Scientists create not only the shape of the heart valve, but also any other organ. These cells, which are used to create a new organ are called stem cells.

4. Stem cells are undifferentiated, not specialized cells which have the ability of division, regeneration, specialization, involving different types of tissues and also the ability of reparation of damaged tissues and organs.

5. There are several types of stem cells according to origin and potential. Techniques of separation and storage of stem cells are also different.

6. Donor stem cells have been successfully used for the treatment of brothers, sisters and close relatives without “immune conflict”.

7. Storing one’s own stem cells is of great importance. For example, nowadays in the world there are 25 million potential donors for transplant bone marrow stem cells. But 30% of patients may not have any donor.

8. There are around 100 blood banks in the world today, where the blood of the umbilical cord is predominantly stored. Infant stem cells are unique because nothing has affected on them yet - diseases, radiation, viruses, bacteria, toxins and other chemical substances. Infant stem cells are distinguished for a 20-fold higher recovery ability, than adults’ stem cells.

**თამარ ჟუჟუნაძე**
*საქართველო*
*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*
*მედიცინა*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## გვერდითი ამიოტროფული სკლეროზი - პათოგენეზისა და მკურნალობის პრინციპების თანამედროვე ანალიზი

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **მანანა არაბული**

1. გვერდითი ამიოტროფული სკლეროზი წარმოადგენს თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ მთავარ და ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემას. დაავადება ხასიათდება მაღალი ავადობით.

2. გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის განკურნება დღემდე არ ხდება, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი წინსვლაა დაავადების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში. მოწოდებულია გას-ის მართვის გაიდლაინები. დანერგილია მკურნალობის სხვადასხვა მეთოდის კომბინირებული გამოყენება.

3. დაავადების გამომწვევი მიზეზის დადგენა კვლევის პროცესშია. კლასიფიცირებულია გას-ის სავარაუდო ეტიოლოგიური ფაქტორები, რომელთა მიხედვით გამოყოფილია დაავადების ორი ტიპი: გენეტიკური და სპორადული. აქტუალურია კვების რეჟიმის თავისებურება, რომელიც პროტეინებით მდიდარ დიეტას გულისხმობს.

4. დანერგილია გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის დიაგნოსტირების უახლესი მეთოდები, როგორიცაა: ელექტრომიოგრაფია, ნერვული გამტარობის გამოკვლევა, მრტ.

5. სიმპტომურიმკურნალობისგარდა, რაცსპინალურიდაბულბარულიგამოვლინებების შემცირებისა და აღმოფხვრისკენაა მიმართული, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ნეირონის დაზიანების ხარისხის დაქვეითებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდისათვის დანერგილია პრეპარატი - რილუზოლი.

6. ჩვენს შრომაში დეტალურად არის აღწერილი გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის პათოგენეზის ძირითადი რგოლები, მისი განვითარების ეტიოლოგიური ფაქტორები,

დეტალიზებულია გენეტიკური და ბიოქიმიური დისბალანსის წამყვანი როლი დაავადების ჩამოყალიბებაში.

7. განხილულია გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის მკურნალობის უახლესი მეთოდების ძირითადი პრინციპები და შეჯამებულია პროტეინტებით მდიდარი დიეტის გამოყენების უარყოფითი შედეგები.

**Tamar Urushadze**
*Georgia*
*Tbilisi State Medical University*
*Medicine*
*Bachelor's programme, VI semester*

## Amyotrophic Lateral Sclerosis – Analysis of Pathogenesis and Modern Principles of Treatment

Scientific supervisor – Associate Professor **Mania Arabli**

1. Amyotrophic lateral sclerosis (ALS) is one the main and yet unsolved problems of modern medicine. Disease is characterized by high risk of development.

2. ALS cannot be cured today, but considerable progress has been made during past few years in its diagnosing and treatment. Guidelines have been created for ALS supportive management, as well as the use of combinations of multiple treatment methods.

3. Causative agents for the disease are under research. Etiologic factors of amyotrophic lateral sclerosis has been classified and divided into two parts: genetic and sporadic. Another key fact for research is protein-rich diet.

4. The newest ALS diagnostic methods are: electron tomography, nerve conduction study and MRI.

5. Apart from symptomatic treatment which is used for spinal and bulbar activity preservation, Riluzole was implemented during the last decade. It is used against neuron degradation and for prolongation of life expectancy.

6. The presented work covers vital details of amyotrophic lateral sclerosis pathogenesis, etiologic factors of its progression and the role of genetic and biochemical disbalance in its development.

7. This research discusses the strategies and principles of the newest methods of amyotrophic lateral sclerosis treatment and sums up protein-rich diet's negative effects on progression of the disease.

**ნიკა ბერიძე, ბექა გურგენაძე**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*სტომატოლოგიის პროგრამა, VI სემესტრი*

## მელკერსონ-როზენტალის სინდრომი

ხელმძღვანელი – მოწვეული მასწავლებელი **გაგა ყულიაშვილი**

1. ელკერსონ-როზენტალის სინდრომი იშვიათი დაავადებაა, რომელიც ხასიათდება: ხანგრძლივად მიმდინარე სახის სხვადასხვა მიდამოს, ძირითადად კი ზედა ტუჩის მორეციდივე შესიებით, სახის ნერვის პერიფერიული პარეზით და დაღარული ენით.

2. პირველად აღწერილ იქნა 1928 წელს შვედი ექიმი ერნსტ მელკერსონის მიერ. სხვადასხვა ავტორების მონაცემებზე დაყრდნობით ეს პათოლოგია გვხვდება მოსახლეობის 0,05-0,08%-ში. ამასთან ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომების კლასიკური ტრიადა გვხვდება შემთხვევათა მხოლოდ 8-25%-ში, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში წარმოდგენილია მონოსიმპტომური ან ოლიგოსიმპტომური ფორმებით.

3. მელკერსონ-როზენტალის სინდრომის ეტიოლოგია ჯერ კიდევ უცნობია. შესიების უბანში ჰისტოლოგიურად ნახულობენ გრანულომატოზური ანთების სურათს.

4. ვინაიდან ეტიოლოგია ბოლომდე არ არის გარკვეული, შესაბამისად მკურნალობაც სიმპტომური რჩება. კონსერვატიული მკურნალობის არაეფექტურობის შემთხვევაში მიმართავენ ქირურგიულ მკურნალობას - ხეილოპლასტიკას შესიებული ტუჩის/ ტუჩების ზომაში შესამცირებლად.

5. მელკერსონ-როზენტალის სინდრომის დიაგნოსტიკის და მკურნალობის პროცესში, მულტიდისციპლინური მიდგომა ოტორინოლარინგოლოგების, დერმატოლოგების, ნევროლოგების და სხვა სპეციალობის ექიმების მონაწილეობით, მეტად სასარგებლო იქნება.

**Nika Beridze, Beka Gurgenadze**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Dentistry programme, VI semester*

## Melkersson-Rosenthal Syndrome (MRS)

Scientific supervisor – Invited Teacher **Gaga Kuliashvili**

1. Melkersson-Rosenthal syndrome (MRS) is a rare disease characterized by recurrent, long lasting swelling of a face, particularly an upper lip (granulomatous cheilitis), facial muscle weakness (palsy) and a fissured tongue.

2. It was first described in 1928 by the Swedish physician Ernst Melkersson. Hornstein estimated the incidence to be 0.08%. Others have reported the incidence to be less than 0.05%. An accurate incidence of MRS is very difficult to determine because full triad of symptoms is presented only in 8 – 25%, the rest of the cases are monosymptomatic or oligosymptomatic.

3. The etiology of MRS remains today unknown. Many theories, such as chronic infection, genetic predisposition (dominant autosomal transmission), allergic reaction to cobalt or to some food additives such as monosodium glutamate, paradental infections, tonsillitis, and adenoid hypertrophy have all been suggested.

4. Pathogenesis of MRS is also unknown. MRS is marked by its characteristic histopathological changes. Typically, small non-necrotic granulomas can be observed in the tissue occluding blood vessels, in the vessel wall, within the vessel lumen, and sometimes also within the cervical lymph nodes. The granulomatous lymphangitis explains the lymphedema and lymphangiectasia.

5. As long as the etiology of MRS is unknown, treatment remains symptomatic. Mainly is used intralessional corticosteroid associated with tetracycline and antileprous medicines. Surgery (cheiloplasty) is reserved for patients whose cheilitis does not respond to steroid therapy or who present a reasonable face deformation. Multidisciplinary approach involving the otolaryngologists, dermatologists, neurologists and others in diagnostic and treatment of MRS may also prove to be useful.


**ნინო მაჭუტაძე**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*სტომატოლოგიის პროგრამა, II სემესტრი*


## დედის მიერ თამბაქოს მოხმარების მავნე ჩვევის გავლენა ჩანასახზე


**ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი მანია არაბული**


1. თამბაქოს მოხმარება ყოველთვის ითვლებოდა მავნე ჩვევად. აღსანიშნავი, და ამავდროულად საგანგაშოა, მწეველ ქალთა რიცხობრივი მატებაც. საგრძნობლად გაიზარდა ორსულ ქალთა მიერ თამბაქოს მოხმარება. თამბაქოს ზემოქმედებამ ემბრიონზე შესაძლებელია იქონიოს გამოუსწორებელი შედეგი.

2. თამბაქო რისკის ქვეშ აყენებს ნაყოფის სიცოცხლეს. მისი ტოქსიკური კომპონენტების გამო ფერხდება ემბრიონის ზრდა და განვითარება. თამბაქო ასევე იწვევს ტოქსიკოზის განვითარებას. აშკარაა ორსულობის და მშობიარობის გართულებები. ხშირია მწეველ ქალებში საშვილოსნოს გარე ორსულობა. აქედან გამომდინარე, თამბაქოს კვამლი გავლენას ახდენს ქალის რეპროდუქციულ სისტემაზე. იგი ზიანს აყენებს არა მარტო ემბრიონს, არამედ, დედის ჯანმრთელობას, რაც ხშირად იწვევს ახალშობილის სიკვდილს.

3. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პატარა ვიზუალურად ჯანმრთელი დაიბადა, შეიძლება აღმოაჩნდეს შეუქცევადი დაავადებები ან დარღვევები. ასევე ხშირია თანდაყოლილი დაავადებებიც, როგორიცაა გულის მანკი, ასთმა, აზროვნების დაქვეითება და სხვ.

4. თამბაქოს მოხმარება ნელი თვითმკვლელობაა და მასზე თავის დანებება მეტად რთულ პროცესს წარმოადგენს, რადგან მას დიდი ძალისხმევა სჭირდება.

**Nino Matchutadze**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Dentistry programme, II semester*

## The Impact of Mother's Harmful Habit, Smoking Tobacco, on the Embryo

Scientific supervisor – Associate Professor **Mania Arabli**

1. Smoking tobacco was always considered as a bad habit. We should admit the unfortunate fact that the number of smoker females increases as well as the number of smoker pregnant women. Tobacco can cause irreparable results.

2. Tobacco puts embryo under the risk. Because of its toxic elements, the growth and development of embryo is decreased. Tobacco also causes toxicosis. Complications developing during pregnancy and baby birth are obvious. The case of extrauterine pregnancy are frequent enough. Smoke effects the reproductive system. It damages not only an embryo, but also mother what causes the death of a new-born infant.

3. Even in the case when an embryo is born healthy visually, we can discover some Irreversible diseases or disorders. We also often face congenital diseases such as heart disease, asthma, worsening of thinking and so on.

4. The usage of tobacco is slow suicide. It is rather difficult to give it up as it needs a lot of effort.

**ნინო გვარიშვილი, ნანა ბერიძე**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*სტომატოლოგიის პროგრამა, VI სემესტრი*

## კბილი VS იმპლანტი

ხელმძღვანელი - მედიცინის აკადემიური დოქტორი **გალაქტიონ მახვილაძე**

1. კბილები საჭმლის მომნელებელი სისტემის შემადგენელი ორგანოა - საღეჭი აპარატის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომლის გარეშე ღეჭვითი ფუნქციის განხორციელება წარმოუდგენელია.

2. გარდა იმისა, რომ კბილები ასრულებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაში, ჯანსაღი და ლამაზი კბილები ასევე უზრუნველყოფს კარგ ვიზუალურ ეფექტს.

3. დენტალური იმპლანტაცია ორთოპედიული სტომატოლოგიის განშტოებაა, რომელიც ედენტულიზმის მკურნალობას ემსახურება.

4. დენტალური იმპლანტაცია საშუალებას აძლევს პაციენტს თავიდან აიცილოს დისკომფორტი,რომელიც გამოწვეულია მოსახსნელი პროთეზის ტარებით.

5. იმპლანტის მთავარ უპირატესობად ითვლება გვერდზე მდგომი კბილების ხელშეუხებლობა.

6. თანამედროვე დენტალური იმპლანტაცია ყბა-კბილთა სისტემის პრობლემების არა მარტო ფუნქციური, არამედ სრულყოფილი ესთეტიკური რეაბილიტაციის საშუალებას იძლევა.

**Nino Gvarishvili, Nana Beridze**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Dentistry programme, VI semester*

## Tooth VS Implant

Scientific supervisor - MD **Galaktion Makhviladze**

1. Teeth are the part of the digestive system - the most important part of the chewing apparatus, without which it is impossible to carry out the chewing function.

2. In addition that teeth perform one of the most important roles in human's health, healthy and beautiful teeth also provide a good visual effect of a person.

3. Dental implantation is a branch of orthopedic dentistry that serves the treatment of edentulism.

4. Dental implantation allows a patient to avoid discomfort caused by removable prosthesis.

5. The main advantage of implant is the inviolability of the next teeth.

6. Modern dental implantation allows not only functional rehabilitation, but all full aesthetic rehabilitation of the problems of the dentofacial system.

**ნინო იაკობიშვილი, მირანდა მინაძე, ბექა გურგენაძე**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*სტომატოლოგიის პროგრამა, VI სემესტრი*

## იმუნური სისტემის როლი პაროდონტიტის განვითარებაში

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **თამარ გიორგაძე**

1. პაროდონტიტი კბილის ირგვლივი ქსოვილის - პაროდონტის ქრონიკული ანთებითი დაავადებაა.

2. აღნიშნული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემას ქმნის. ვინაიდან, დაავადების პროგრესირებისას შესაძლებელია სავსებით ჯანსაღი კბილების დაკარგვა, რაც ცხოვრების ხარისხზე აისახება.

3. გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებულმა კვლევებმა პირის ღრუს ჰიგიენასა და პაროდონტის ანთებით დაავადებებს შორის პირდაპირი კავშირი აჩვენა. თუმცა, საკითხის შემდგომმა შესწავლამ დაავადების განვითარებაში მიკროორგანიზმების ინვაზიაზე მაკროორგანიზმის იმუნური პასუხის მიმდინარეობის სპეციფიკის მნიშვნელობა დაადგინა.

4. ქსოვილის პაროდონტოპათოგენით ინვაზია მაკროორგანიზმის იმუნური პასუხის გააქტიურებასა და ანთების განვითარებას იწვევს. შედეგად პაროდონტში უჯრედულ დონეზე - ნეიტროფილების, T და B ლიმფოციტების, ოსტეოკლასტების, ხოლო მოლეკულურ დონეზე - კომპლემენტის ცილების, LTB, IL-1, IL-6, მატრიქსული მეტალოპროტეინაზების, პროსტოგლანდინების, TNF და იმუნოგლობულინების რაოდენობა მატულობს.

5. აღნიშნული ე.წ. „ანთებითი“ მედიატორები პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით პაროდონტის დაზიანების ინიცირებას, ოსტეოკლასტოგენეზის გააქტივებას და ალვეოლური ძვლის რეზობციას იწვევს.

**Nino Iakobishvili, Miranda Minadze, Beka Gurgenadze**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Dentistry programme, VI semester*

## The Role of Immune System in the Development of Periodontal Disease

Scientific supervisor - Associate Professor **Tamar Giorgadze**

1. Periodontitis is the most common chronic inflammatory disease seen in humans. It is a major public health problem, causing tooth loss, disability, masticatory dysfunction, and poor nutritional status, also compromises speech, reduces quality of life, and is an escalating burden to the healthcare economy.

2. Historically, it was assumed that plaque-induced periodontal disease was a single disease caused by a non-specific accumulation of plaque whose destructive effects over time resulted in the progressive loss of periodontal attachment at a relatively constant rate. Thus, emphasis was placed on maintaining high standards of oral hygiene in all patients and the presence of disease was generally attributed to poor oral hygiene measures.

3. The available data suggests that periodontal diseases are multifactorial diseases. Periodontitis is the result of a complex inflammatory and immunological response to bacteria of dental plaque in a susceptible host. Within the periodontal tissue, at the cellular level, are neutrophils, T-Cells, B-cells, and osteoclasts. Also present, at the molecular level, are complement, LTB, IL-1 and IL-6, matrix metalloproteinases, prostaglandins, TNF-α, and immunoglobulins.

4. These cells and molecules are found in greater numbers in disease than in health, and can

generally be regarded as inflammatory molecules. Directly and indirectly they initiate and mediate destruction of both the periodontal ligament and surrounding alveolar bone. Knowledge of how immune mechanisms and inflammatory responses are regulated is critical for understanding the pathogenesis of complex diseases, such as periodontitis.

**ლიკა ხარაზაძე, ანი ზალავაძე**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*სტომატოლოგიის პროგრამა, IV სემესტრი*

## Helicobacter pylori და პაროდონტის ანთებითი დაავადებები

**ხელმძღვანელი - ასოცოცირებული პროფესორი მარინა შაქარაშვილი**

1. თანამედროვე გასტროენტეროლოგიის პრობლემა უკავშირდება დაავადებათა აგრესიულ, ხანგრძლივ მიმდინარეობას, ხშირ რეციდივებს და გართულებების მატების ტენდენციას, რაც ხშირად განპირობებულია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ბაქტერია Helicobacter pylori (HP)-ით ინფიცირებით. HP-ით ინფიცირება იწვევს ლორწოვანი გარსის ტროფიკის მოშლას, ატროფიას, ეროზიების და წყლულების განვითარებას, რეგენერაციული პროცესის დარღვევას, მეტაპლაზიას, ალერგიულ და აუტოალერგიულ რეაქციებს - ვითარდება გასტრიტი, დუოდენიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, კუჭის კარდიალური ნაწილის კიბო.

2. მრავალრიცხოვანი კვლევებით დადგენილია, რომ კუჭ-ნაწლავის პათოლოგიის დროს პაროდონტალურ კომპლექსში შემთხვევათა 92%-ში აღინიშნება მნიშვნელოვანი ფუნქციური და მორფოლოგიური ცვლილებები. პაროდონტალური ჯიბეები კარგი ბუნებრივი მიკროაერობული რეზერვუარია ბაქტერია HP-ისთვის. გინგივიტის, პაროდონტიტის, ქრონიკული გასტრიტის და გასტროდუოდენალური წყლულის დროს ვითარდება ანთებით-დისტროფიული ცვლილებები, რაც მიუთითებს აღნიშნული დაავადებების განვითარების ერთიან მექანიზმზე.

3. HP-ს არსებობა პირის ღრუში შეიძლება გახდეს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანი გარსის რეინფექციის წყარო. ამიტომ HP-ს ერადიკაცია პაროდონტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს წარმოადგენს პროფილაქტიკის მნიშვნელოვან რგოლს. მიზანშეწონილია HP-ს გამოვლენა, არა მარტო გასტროენტეროლოგიურ, არამედ სტომატოლოგიურ განყოფილებებშიც, რაც ადრეულ დიაგნოსტიკას და მკურნალობის ოპტიმიზაციას შეუწყობს ხელს.

**Lika Kharabadze, Ani Balavadze**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Dentistry programme, IV semester*

## Helicobacter Pylori (HP)

Scientific supervisor – Associate Professor **Marina Shakarashvili**

1. The problem of modern gastroenterology is associated with aggressive, durable processes, frequent recurrences of the disease caused by bacteria with helicobacteria infection. HP infection leads to the disruption of the mucous membrane tract, atrophy, erosion and ulcers. Studies have shown that functional and morphological changes are observed in parodontal complex during gastrointestinal pathology. Parodontal pockets are good reservoirs for helikobacteria.

2. The existence of helikobacteria in the oral cavity may be the source of the gastrointestinal tract infection. Hence the prevention of helicobacteria during periodontal and gastrointestinal diseases is crucial. It is desirable to reveal helikobacteria not only in gastroenterologic, but also in dentist departments, which will facilitate early diagnosis and optimization of treatment.

**სოფიო აბაიშვილი, თეა იმერლიშვილი**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*სტომატოლოგიის პროგრამა, VI სემესტრი*

## ორალური სიმსივნეების იმუნოლოგიური საფუძვლები

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **თამარ გიორგაძე**

1. ავთვისებიანი სიმსივნეების ერთ-ერთი გავრცელებულ სახეობას - პირის ღრუს სიმსივნეები წარმოადგენენ. აღნიშნული დაავადება მამაკაცებში უფრო ხშირია ვიდრე ქალებში. მათი განვითარება უმეტესად 40 წლის შემდეგ ხდება.

2. პირის ღრუში სიმსივნე ყალიბდება: ენაზე, ლოყების ლორწოვან გარსში, პირის ღრუს სახურავსა და ფსკერზე, ზედა და ქვედა ყბების ალვეოლურ კიდეებზე, მაგარ და რბილ სასაზე, სასის წინა რკალებზე, ნუშურებსა და სანერწყვე ჯირკვლებში.

3. სიმსივნის პირველად მიზეზად უჯრედის გენეტიკური აპარატის დაზიანება მოიაზრება. დასაბამი უჯრედის სიმსივნურ უჯრედად ტრანსფორმაციისა და არაკორდინირებული პროლიფერაციის შედეგად არანორმალური ქსოვილოვანი მასა - სიმსივნე ყალიბდება.

4. მრავალრიცხოვანმა კვლევებმა მასპინძლისა და სიმსივნის ურთიერთობის თავისებურება აჩვენა. კერძოდ, მასპინძლის იმუნურ სისტემას, ჰუმორული და უჯრედული ეფექტორული მექანიზმებით, სიმსივნური უჯრედის აღმოჩენისა და

განადგურები უნარი აქვს. ამავდროულად, სიმსივნეს სხვადასხვა გზით შეუძლია არა თუ იმუნური სისტემის ზედმხედველობიდან თავის დაღწევა, არამედ პროგრესირება და მეტასტაზირება.

5. აღნიშნულის მიზეზად მასპინძლისა და სიმსივნის ურთიერთობის შედეგად შექმნილი მიკროგარემო სახელდება. რომელიც, სიმსივნის საწინააღმდეგო ეფექტორული უჯრედების დისფუნქციის გამომწვევი მოლეკულური მექანიზმების განვითარების ხელსაყრელი გარემოს წარმოადგენს.

**Sopio Abaishvili, Thea Imerlishvili**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Dentistry programme, VI semester*

## Immunology of Oral Cancer

Scientific supervisor - Associate Professor Tamar Giorgadze

1. Oral cancer is one of the most common cancers and it constitutes a major health problem particularly in developing countries. It is one of the leading causes of death.

2. Mouth cancer, or oral cancer, can occur anywhere in the mouth, on the surface of the tongue, the lips, inside the cheek, in the gums, in the roof and floor of the mouth, in the tonsils, and in the salivary glands. Mouth cancer mostly occurs after the age of 40, and the risk is more than twice as high in men as it is in women.

3. At present, in the modern oncology the damage of the genetic apparatus of the cell is considered to be the primary cause of cancer, and the pathogenesis of cancer is seen as a process of transformation of a normal cell into a tumor cell, as evidenced by deep fundamental research of the pathogenesis of cancer, which is held exclusively at the cellular, molecular and genetic levels of the organism. Transformation of a normal cell into a malignant one may be the result of a wide range of stimuli. Cancer cells lose the functional and phenotypic characteristics of the tissue from which they are derived and are said to have undergone malignant transformation and to be de-differentiated.

4. The immune system plays a crucial role in host protection against carcinogenesis by eliminating tumor cells. However, some of the tumor cells are not detected by the immune system and a variety of immunologic mechanisms contribute to tumor escape and subsequent tumor growth. Unfortunately, tumor develops multiple mechanisms of evading immune responses, by forming a compromised microenvironment that allows the dissemination of malignant cells in a foreign microenvironment through molecular mechanisms still poorly characterized.

# ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სექცია
# Section of Humanities and Social Sciences

**ნაზი ირიცპუხოვა**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ანგლისტიკა*
*მაგისტრატურა, II სემესტრი*

## პოლისემანტიკური სიტყვის GREEN მოდელი

ხელმძღვანელი – პროფესორი **თინათინ მარგალიტაძე**

1. პოლისემია ანუ მრავალმნიშვნელობიანობა საკმაოდ რთული ფენომენია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მიერ სამყაროს აღქმასა და შემეცნებასთან. პოლისემია რეალურად არსებობს ყოველი კონკრეტული ენის სემანტიკურ სისტემაში. აღსანიშნავია ისიც, რომ პოლისემია ვრცელდება არა მხოლოდ სრულმნიშვნელობიან, არამედ არასრულმნიშვნელობიან სიტყვებზეც, მაგ. ინგლ. yet, but და ა.შ.

2. პოლისემანტური სიტყვის ცალკეულ მნიშნელობებს შორის არსებული აზრობრივი კავშირები წარმოშობენ სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების სხვადასხვა სტრუქტურას, რის შედეგად წარმოიქმნება პოლისემანტური სიტყვის სხვადასხვა მოდელი. თინათინ მარგალიტაძეს აღწერილი აქვს პოლისემიის რამდენიმე უნივერსალური მოდელი, ესენია მზისებრი, ერთგანზომილებიანი, მრავალგანზომილებიანი, რომელიც თავის მხრივ იყოფება ეკვუიპოლენტურ,კიბისებურ და შერეულ მოდელებად.

3. თ. მარგალიტაძის თეორიისა და მეთოდებზე დაყრდნობით, მე შევისწავლე ზედსართავი სახელის GREEN პოლისემანტური მოდელი თანამედროვე ინგლისურ ენაში:

   ა) სიტყვის GREEN მნიშვნელობების სემანტიკური კომპონენტები დავუკავშირე პოლისემიურ მნიშვნელობებს.

   ბ) აღნიშნული სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის ანალიზისთვის, სემანტიკური კომპონენტების გამოვლინებისთვის გამოვიყენეთ კომპონენტური ანალიზის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული ვარიანტი - დეფინიციათა ანალიზის მეთოდი.

4. ვინაიდან მწვანე დაკავშირებულია ბუნებასთან, სიმწვანესთან და ა.შ. იგი არ აღმოჩნდა ტიპური ზედსართავი სახელი და გამოავლინა არსებითი სახელის დამახასიათებელი თვისებები. ეს აისახა კიდეც მოდელში, მზისებრ მოდელში, რომელიც ასებითი სახელის უნივერსალური მოდელია.

**Nazi Iritspukhova**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*English Studies*
*Master's programme, II semester*

## The Model of Polysemous Word GREEN

Scientific supervisor – Professor **Tinatin Margalitadze**

1. Polysemy is quite a complex phenomenon which is closely connected to the person's perception and cognition of the world. In fact, polysemy exists in the semantic system of every single language. Worth mentioning that polysemy is not restricted to the designative type of lexical meaning, cf. English but, yet, etc.

2. According to Margalitadze, there are several universal models of polysemous words, such as one-dimensional, multi-dimensional, sun-like, etc. These models are the result of the different arrangements of lexico-semantic variants which are generated by the semantic relations between the lexical units within a particular word.

3. On the basis of the methods and theory of Tinatin Margalitadze, I researched the polysemantic model of the adjective GREEN in the Modern English language.

   a) I linked the semantic components of the meaning of the word GREEN to the polysemous senses.

   b) In order to analyze semantic structure of the senses and single out semantic components of the word, I employed one of the commonest variants of the component analysis - the method of the analysis of definitions which is based on the postulate that the meaning of a word, its distinctive semantic characteristics are reflected in the dictionary definitions

4. Since GREEN is connected to nature, "greenness", etc. it transpired that GREEN is not a typical adjective and that it has the characteristics of a noun. This is reflected in the model, viz. sunlike model, which represents a universal model of nouns.

**ანა ჰაჰიაშვილი, მარიამ ჯიბუტი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*სოციოლოგია*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## სოციალური რეკლამის როლი ქართული საზოგადოების ცნობიერების ფორმირებაში

**ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია**

1. სოციალური რეკლამა დადებითი ცვლილებებისა და საქველმოქმედო მიზნების მიღწევას ემსახურება, რისთვისაც კომერციული რეკლამისთვის დამახასიათებელ ყოველ ხერხსა და, რაც მთავარია, ადამიანის ემოციურობას იყენებს. 21-ე საუკუნეში უდიდესი ყურადღება ექცევა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების შექმნას. თუმცა, საკითხავია, რამდენად სწორად რეალიზდება არსებული შესაძლებლობები ქვეყნებში, კონკრეტულად საქართველოში.

2. ჩვენს ქვეყანაში სოციალური რეკლამა ნაკლებად გავრცელებულია, თუმცა, სახელმწიფოს გარდა, მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციის, კერძო კომპანიისა და ინდივიდის ინტერესსაც წარმოადგენს. საქართველოშიც ვხვდებით სხვადასხვა სოციალურ კამპანიას, საიმიჯო სოციალურ რეკლამას. თითოეული მათგანი ქართულ რეალობასაა მორგებული და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

3. ქვეყანაში სოციალური რეკლამის შედეგებისა და გავრცელების საკვლევად გამოვიყენეთ როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდი. საკითხის შინაარსისა და მიზნის გასარკვევად მივმართეთ დოკუმენტების ტრადიციულ ანალიზს, რომელიც ტერმინების ზუსტად გააზრებაშიც დაგვეხმარა. აღნიშნული მეთოდით დავადგინეთ, თუ როგორ მიიღო სოციალური რეკლამა ქართულმა საზოგადოებამ. საქართველოში გავრცელების ტენდენციების საკვლევად, ხალხის აზრისა და დამოკიდებულების შესასწავლად გამოვიყენეთ ონლაინ-გამოკითხვის მეთოდი, რომლითაც მივიღეთ, როგორც ვერბალური, ასევე სტატისტიკური მონაცემები.

4. აღსანიშნავია, რომ სოციალური რეკლამის არსებობა საქართველოში მრავალმა ფაქტორმა განაპირობა და თავადაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოებაზე. საინტერესოა მოხალისეობრივი ორგანიზაციების გააქტიურების პერიოდთან დამთხვევაც. საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ რეალობაში სოციალური რეკლამა ცდილობს შეასრულოს საკუთარი დანიშნულება -პოზიტიური გავლენა მოახდინის საზოგადოების აზრისა და შეხედულებების ფორმირებაზე. მოტივირებული ადამიანები ქმნიან სოციალურ რეკლამას, სოციალური რეკლამა კი მეტ მოტივირებულ ადამიანს აყალიბებს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონკრეტული შემთხვევა სპირალური ხასიათისაა და დადებით უკუკავშირს გვაძლევს.

**Ana Papiashvili, Mariam Jibuti**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Sociology*
*Bachelor's programme, VI semester*

## The Role of Social Advertising in the Awareness Formation of Georgian Society

Scientific supervisor – Associate Professor Kakha Ketsbaia

1. The goals of social advertising are positive changes and charity activities. In order to achieve these goals that social advertising uses conventional commercial advertising methods as well as human emotions. Mass communications are hugely important in the 21st century. But we have to find out how effectively the possibilities are being realized in Georgia.

2. Social advertising is not very frequent in our country, but several NGOs, companies, persons and even the government are using it. Thus, there are some social advertisements in Georgia that are adapted to local reality. They serve the purpose of developing social awareness. To study the results and achievements of some social advertisements, we used qualitative and quantitative research methods. We also analyzed documents in order to figure out the contents and the goals of the case. This also helped us understand terminology even better. With these methodologies, we found out how social advertising was accepted by the Georgian society. We conducted online-questionnaires in order to study trends about attitudes of Georgian people. Thus, we obtained some verbal and statistical data.

3. It is also notable that the existence of social advertising in Georgia depends on various factors. It has been a significant influence on society as well. Finally, we can say that the social advertising in Georgia really tries its best to have positive influence on social awareness. Motivated people create social advertisements and the advertisements form even more motivated people in the end. We can conclude that the situation is interconnected and provides us some positive feedbacks in general.

**როენა ბახია, სალომე ბერუაშვილი, მაგდა ლომაია**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*ფსიქოლოგია*
*ბაკალავრიატი, II სემესტრი*

## ტოლერანტული დამოკიდებულება სხვადასხვა რასობრივ/ეთნიკური ჯგუფებისადმი18-23 წლის ახალგაზრდებში

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **თამარ კერძაია**

1. კვლევის მიზანია განსხვავებული რასის, რელიგიის და ეროვნების მქონე პირებთან დაკავშირებით სტუდენტთა დამოკიდებულების შესწავლა. ამასთანავე კვლევის საგანს წარმოადგენს იმის დადგენა თუ რამდენად ტოლერანტულია პიროვნება

კომუნიკაციის პროცესში. ტოლერანტობა - ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში. ეს არის არამარტო მორალური ვალი, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნილებაც. ტოლერანტობა - სათნოებაა, რომელიც შესაძლებელს ხდის მშვიდობას და ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას ეხმარება.”

2. კვლევისმეთოდადგამოვიყენეთბოიკოსკომუნიკაციაშიტოლერანტობისგამოვლენის 9 სკალიანი კითხვარი, რომელიც მოიცავს 45 დებულებას (თითოეული სკალა მოიცავს 5 დებულებას). მეორე მეთოდი იყო ბოგარდუსის სოციალური დისტანციის საზომი სკალის მოდიფიცირებული ვარიანტი. ცდისპირებს ეძლეოდათ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა ფოტოები და უნდა გაეცათ პასუხი რამდენიმე კითხვაზე „ამ ადამიანებიდან: ვისთან იმეგობრებდენ? ვისთან ითანამშრომლებდენ? ვისთან დანათესავდებოდენ? ვისთან იქორწინებდენ?“.

3. საკითხზე თუ რამდენად ტოლერანტულები არიან 18-23 წლის ახალგაზრდები, ჩვენ უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის ჩავატარეთ კვლევა. ამისთვის გამოვკითხეთ 18-დან 23 წლამდე ასაკის 50 სტუდენტი (25 გოგო, 25 ბიჭი).

4. კომუნიკაციისპროცესშიინტოლერანტულობაყველაზემეტადგამოვლინდა7სკალაზე (სხვებისთვის შეცდომების, უხერხულობის, უნებლიეთ მიყენებული უსიამოვნებების მიტევების უუნარობა), 8 სკალაზე (შეუწყნარებლობა სხვა ადამიანების მიერ შექმნილი ფიზიკური და ფსიქიკური დისკომფორტის მიმართ) და 3 სკალაზე (კატეგორიულობა ან კონსერვატიზმი სხვა ადამიანების შეფასებაში). ჩვენი ცდისპირები ყველაზე ტოლერანტულები არიან 1 ( სხვა ადამიანის ინდივიდუალობის მიუღებლობა) სკალის მონაცემებით.

**Roena Bakhia, Salome Beruashvili, Magda Lomaia**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Psychology*
*Bachelor's programme, II semester*

## Tolerant Attitude to Different Racial and Ethnic Groups in 18-23 Old Students

Scientific supervisor – Associate Professor **Tamar Kerdzaia**

1. The study focuses on students' attitudes to people of different race, religion and ethnic origin. It aims to find out how tolerant a person is in the communication process. Tolerance is freedom in diversity. It is not only an ethical duty, but also political and legal requirement.

2. The Boiko 9 scale questionnaire was used to measure the manifestation of tolerance in communication. It is composed of 45 statements (5 statements for each scale). The other method used in the study was the modified version of Bogardus social distance scale. Research participants were given photographs of different ethnic group representatives and were asked to answer several questions, like: “Who would you make friends with out of these people? Who would you cooperate with out of these people? Who would you like to become your relative? Who would you like to marry?”

3. To find out how tolerant 18-23 year old people are, we conducted a survey among the students of our university. For this purpose we interviewed 50 students aged 18-23 (25 females, 25 males).

4. The highest showings for intolerance during communication were received for the scale 7 (inability to forgive mistakes), the scale 8 (inability to forgive for physical and psychological discomfort caused by other people) and the scale 3 (too strict and conservative evolution of other people). The research participants demonstrated the highest tolerance showing on the scale 1 (unacceptance of other people's uniqueness).

**თინა ლუხუტაშვილი, ელისო ფურელიანი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## გენდერული საკითხების გაშუქება ქართულ მედიასივრცეში

ხელმძღვანელი - პროფესორი **დალი ოსეფაშვილი**

1. თანამედროვე მსოფლიოში და მათ შორის კავკასიაში საზოგადოების ცვლის პარალელურად ქალთა როლიც იცვლება, ამ ყველაფერში ძალიან დიდი როლი აქვს მედიას. მასმედიაში ქალი ძირითადად წარმოდგენილია, როგორც დიასახლისი, მოდის პროფესიონალი კრიტიკოსი/ მიმდევარი ან ძალადობის მსხვერპლი. ნაკლებად შუქდება ისეთი საკითხები, მაგალითად, როგორიცაა, საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალთა აქტიურობა, ქალი- როგორც ძლიერი პოლიტიკოსი, სოციალურ პრობლემებთან მებრძოლი და ა.შ.

2. ბოლო სამი-ოთხი წელია გენდერული უთანასწორობა საზოგადოებისა და, შესაბამისად, მედიის ყურადღების ქვეშ მოექცა. ხშირია დებატები ქალთა უფლებების დე ფაქტო და დე იურე მდგომარებაზე საქართველოში: ერთია რა წერია კანონში და მეორე - როგორ აღესრულება ეს კანონი.

3. მედიის ყურადღება გენდერულ პრობლემებს განსაკუთრებიით მიეპყრო მას შემდეგ, რაც გახშირდა ფემიციდების შემთხვევები. მედიაში თანდათან გააქტიურდა ფემიციდის შემთხვევების გაშუქება, რაც ჩვენმა კვლევამ დაადასტურა, მაგრამ რეალურად პრობლემა არ არის მხოლოდ ქალთა მიმართ ძალადობა, პრობლემატურია ასევე დასაქმება და ოჯახში ქალების მიმართ დამოკიდებულება. კვლევის შედეგების მიხედვით, იშვიათია მედიაპროოდუქტი ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა, მაგალითად რეგიონებში ქალთა დასაქმება, მათ მიმართ ძალადობა(ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, ფიზიკური), თვითრეალიზების არარელევანტური პირობები.

4. ჩვენი ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს ქართულ მედიაში არსებული პრობლემები:

- დაცულია თუ არა ჟურნალისტურ პროდუქტში ბალანსი, ანუ რამდენად მიმართავენ ჟურნალიტები კომენტარისთვის თანაბრად ქალებსა და კაცებს სხვადასხვა საკითხებზე; გაშუქების სიხშირე ;

- როგორ აშუქებს მედია ქალთა მიმართ ძალადობასა და იმ კრიმინალურ ქეისებს, რომლებშიც დამნაშავეები ქალები არიან;
- რამდენად ხშირად ვაწყდებით ტერმინოლოგიურ პრობლემებს, სექსისტურ და დისკრიმინაციულ გამონათქვამებს მედიაში;
- რამდენად კომპეტენტურად და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით მუშაობენ ჟურნალისტები გენდერულ საკითხებზე.

5. საკვლევი პერიოდი მოიცავს 2017 წლის მარტის თვიდან აპრილის თვის ჩათვლით პერიოდს და ამ დროის განმავლობაში ორ ტელევიზიაში, კერძოდ, რუსთავი 2-სა და იმედში გასულ სიუჟეტებს, კვლევის მეთოდი არის როოგრც რაოდენობრივი, ისეთი თვისებრივი.

**Tina Lukhutashvili, Eliso Pureliani**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Journalism and Mass Communication*
*Bachelor's programme, IV semester*

## Coverage of Gender Issues in Georgian Media

Scientific supervisor - Professor **Dali Osepashvili**

1. The Role of women has changed a lot in modern world and of course, in the Caucasus. A woman in media-programmes is often shown as a housewife, fashion critic/follower or violence victim. Things like a woman's participation in public work, a woman as a strong politician, a fighter against social problems, etc. is rarely in the centre of high interest for media.

2. Gender inequality has attracted public and, therefore, media attention in the last 3-4 years. Debates are held about women's rights de facto and de jure conditions in Georgia: one thing is what kind of laws we have and another – how the law is actually fulfilled.

3. Media paid attention to gender inequality problems after the frequency of femicides has increased. Femicides are much more frequently broadcasted and we have proved it with our research. Though, the problem is not only physical violence, but also employment and psychological pressure in families. The research has shown that media-products are rare about the problems like women's employment in the regions, irrelevant conditions for self-implementation, etc.

4. The aim of our research is to analyze the problems existing in Georgian media:
   - Equality in frequency, what means, whether journalists address female respondents for comments as often as they address males; how frequently journalists chose females to be their respondents;
   - How the media broadcasts violence towards women and criminal cases in which suspects are females;
   - How often we come across the terminological problems like words of sexism and discriminative phrases in the media;
   - Do journalists work on gender inequality problems with ethical standards?

5. The research period includes March and April, 2017. The material under investigation is the programmes of two broadcast companies: Rustavi 2 and Imedi. The research method is quantitative as well as qualitative.

**ნანული ეცადაშვილი, მარი ტოტიკაშვილი, ციური მეზვრიშვილი**
*საქართველო*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*
*ქართული ფილოლოგია*
*ბაკალავრიატი, VIII სემესტრი*

## ქართველი დედოფლის თემა ქართულ-ევროპულ ისტორიულსა და ლიტერატურულ ტექსტებში

ხელმძღვანელი - პროფესორი **თამარ გოგოლაძე**

1. ქართველი დედოფლის, ქეთევან წამებულის (1572-1624) პიროვნებამ და მისი ქრისტიანობისათვის თავდადების ფაქტმა თავიდანვე მიიპყრო როგორც ქართველ მემატიანეთა თუ მწერალთა ისე, უცხოელ მისიონერთა ყურადღება.

2. ჩვენი მოხსენებაც მიზნად ისახავს აღნიშნული ფაქტის, როგორც ქრისტიანობისათვის წამებული დედოფლის, პოპულარობის მხატვრულ ტექსტებში ასახვას.

3. ქართულ მწერლობაში პირველად დედისა, დედოფლის წამების ტრაგიკული მხატვრული ასახვა მოცემულია მისივე შვილის, აღორძინების ეპოქის პოეტის, მეფე თეიმურაზ I პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“, რომელშიც ავტორმა ფაქტის უნახავად (7 თვის შემდეგ) სულიერად გაითავისა მონაყოლის ყველაზე მძიმე მომენტები და ასე მისცა გასაქანი ფანტაზიას.

4. ასევე შაჰ-აბასის კარზე მყოფი პიეტრო დელა ვალეს, წამების თვითმხილველის, მონაყოლის საფუძველზე გერმანელმა დრამატურგმა ანდრეას გრიფიუსმა 1647 წელს დაწერა ტრაგედია „საქართველოს დედოფალი კატერინა“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იდგმებოდა გერმანული თეატრების სცენაზე, ხოლო აღნიშნული დრამა საქართველოში ცნობილი გახდა 1904 წელს „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

5. აღნიშნული საკითხების განხილვის საფუძველზე ვასკვნით, რომ სწორედ ქეთევან დედოფლის წამების ისტორიამ ქრისტიანობის დაცვის დიდი მაგალითით ერთგვარი პოპულარობა შესძინა ქართულ თემას მსოფლიო ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

**Nanuli Etsadashvili, Mari Totikashvili, Tsiuri Mezvrishvili**
*Georgia*
*Gori State Teaching University*
*Georgian Philology*
*Bachelor's programme, VIII semester*

## The Theme of the Georgian Queen in Georgian-European Historical and Literary Texts

Scientific Supervisor – Professor **Tamar Gogoladze**

1. The personality of the Georgian queen Ketevan the Martyr (Keteven Tsamebuli) (1572-1624) and her devotion to Christianity from the very beginning attracted attention of Georgian chroniclers and writers as well as foreign missionaries.
2. Our paper aims to show how the theme of the queen martyred for Christianity is depicted in fictional texts.

3. The queen's torture for the first time was described in the Georgian literature, namely in the poem "Passion of Queen Ketevan" by the poet of the Renaissance era and her son, Teimuraz I. The author depicted the most difficult moments of her life (after 7 months) without witnessing them and gave way to his fantasy.

4. In 1647, a German playwright Andreas Gryphius wrote a tragedy "Katharine, Queen of Georgia" that was based on the story retold by Pietro Della Vale, who was the eyewitness of the torture as he served to Shahh Abbas. It was on stage of German theatres for a long time. Georgian people learned about the drama only in 1904.

5. Based on the consideration of these issues, we conclude that the history of torture of the Queen Ketevan is a popular example of defending Christianity in the world literature and art.

**ლიკა ნეფარიძე, მარიამ ხუციშვილი**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*ფსიქოლოგია*
*ბაკალავრიატი, II სემესტრი*

## ტოლერანტობა შუახნის ასაკში

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **თამარ კერძაია**

1. ტოლერანტულობა, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება კომუნიკაციის პროცესში. კომუნიკაციური ტოლერანტულობა შეიძლება იყოს სიტუაციური, ტიპოლოგიური, პროფესიული დაზოგადი. ზოგადიკომუნიკაციურიტოლერანტობაგანპირობებულია ცხოვრებისეული გამოცდილებით, ხასიათის თვისებებით, ზნეობრივი პრინციპებით და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კომუნიკაციური ტოლერანტულობის სხვა ფორმებს.

2. კვლევის მიზანი იყო ახდენს თუ არა გავლენას კომუნიკაციურ ტოლერანტულობაზე ასაკი, კონკრეტულად რა სახით ვლინდება კომუნიკაციური ტოლერანტულობა შუახნის ადამიანებში.

3. კვლევა ჩავატარეთ გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტში. კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ ვ.ვ.ბოიკოს მიერ შემოთავაზებული ზოგადი კომუნიკაციური ტოლერანტულობის კითხვარი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ადამიანის ტოლერანტული და ინტოლერანტული განწყობები, რომლებსაც ის ავლენს ურთიერთობის პროცესში. 9 სკალიანი კითხვარი მოიცავს 45 დებულებას

4. გამოვკითხეთ გრ.რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები. ასაკობრივი დიაპაზონი 27-დან 72 წლამდე. სულ 30 ადამიანი (15 ქალი, 15 მამაკაცი).

5. კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ:
   - ინტოლერანტობა ყველაზე მეტად გამოვლინდა მე-3 სკალაში (კატეგორიულობა ან კონსერვატიზმი სხვა ადამიანების შეფასებაში), მე-2 სკალაში (ეტალონად საკუთარი თავის გამოყენება სხვა ადამიანების ქცევისა და აზროვნების შეფასებისას) და მე-9 სკალაზე (სხვათა ხასიათთან, ჩვევებთან, სურვილებთან შეწყობის უუნარობა). ხოლო ყველაზე მეტად ტორელანტულობა მე-8 სკალაში გამოვლინდა (შეუწყნარებლობა სხვა ადამიანების მიერ შექმნილი ფიზიკური და ფსიქიკური დისკომფორტის მიმართ);
   - ტოლერანტულობის საერთო საშუალო მაჩვენებელია 61,3. რაც გაცილებით მეტია, ვიდრე ვ.ვ.ბოიკოს კვლევების მონაცემების მიხედვით აქვთ საბავშვო ბაღების აღმზრდელებს, მედდებს და ექიმებს;
   - ცდისპირების 60% ინტოლერანტულია, თუმცამამაკაცებიუფროტოლერანტულები აღმოჩნდენ, ვიდრე ქალები.

**Lika Neparidze, Mariam Khutsishvili**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Psychology*
*Bachelor's programme, II semester*

## Tolerance in the Middle Age

Scientific supervisor – Associate Professor **Tamar Kerdzaia**

1. Tolerance originally discloses itself in the process of communication. Communicational tolerance can be situational, typological, professional and general. General communicational tolerance is conditioned by life experience, characteristic features of mood, ethical principles and significantly determines other forms of communicational tolerance.

2. The aim of the research was to ascertain whether age influences communicational tolerance or not, specifically, in what form communicational tolerance reveals itself in the middle-aged persons.

3. The research was conducted at Grigol Robakidze University. As a research methodology, we used questionnaire of general communication tolerance proposed by V.V. Boiko. It helps us to determine tolerant or intolerant attitudes of people, as it is revealed during the interaction. Nine-scale questionnaire encompasses 45 postulates.

4. We have interrogated professors and employers of the University. Age range is between 27 and 72 years. In total 30 individuals (15 women, 15 men).

5. The results of the research has shown that:
   - Intolerance has been presented in the third scale (categorical or conservative evaluations of others), in the second scale (using yourself as a role model during the assessment of action and thinking of others) and on the ninth scale (inability of acceptance and co-existence with mood, habits and desires of others). The most intense and severe manifestation of tolerance can be seen in the eight scale (Intolerance towards physical or psychological discomfort, which are caused by other human beings);
   - Average index of the tolerance is 61, 3. It is much more than teachers of kindergarten, nurses or doctors have according to the research of Boiko;
   - 60 percent of experimental subjects are intolerant; however, men turn out to be more tolerant rather than women.

**ცირა გურგენიძე, ლანა როყვა**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## ხალხის ხმა ბეჭდურ მედიაში

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **ხათუნა მაისაშვილი**

1. დღესდღეობით საქართველოში არაერთი ბეჭდური გამოცემაა, რომელიც ცდილობს, მკითხველს „ხალხის ხმა“ გააგონოს და ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ არა კონკრეტული ექსპერტის, არამედ რიგითი მოქალაქის მოსაზრებები შემოგვთავაზოს. თუმცა, ცალკე საკითხია, რეალურად ისმის ამ რუბრიკებში „მოქალაქეების ხმა,“ თუ ისინი მხოლოდ გამოცემის სათქმელს ახმოვანებენ.

2. ბეჭდურ გამოცემებზე ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით, სწორედ ამ კითხვაზე გავცემთ პასუხს. ნაშრომში საკვლევ გამოცემებად წარმოდგენილი იქნება ორი რეიტინგული ქართული გაზეთი, „რეზონანსი“ და „ასავალ-დასავალი.“ საკვლევი პერიოდის ათვლა დაიწყება 15 აპრილიდან და გაგრძელდება 30 აპრილის ჩათვლით. მიგვაჩნია, რომ თითოეული გამოცემის ცალკეული და შედარებითი ანალიზი უფრო საინტერესო დასკვნების საშუალებას მოგვცემს.

3. საკვლევ რუბრიკებად შეირჩა „ხალხის ხმა“ და „დღის კითხვა.“ რუბრიკა „ხალხის ხმა“ გაზეთში გარკვეული პერიოდულობითა და ცვალებადი ადგილმდებარეობით გვხვდება. მასში წარმოდგენილია 4-5 სრულიად უცნობი ადამიანი, რომელთა

იდენტიფიცირებაც შეუძლებელია, „დღის კითხვაში“ კი მალიან საინტერესო ტენდენციები იკვეთება. გაზეთის მოტივაცია ამ შეთხვევაშიც საზოგადოების წარმომადგენლების გამოკითხვაა, თუმცა, „ხალხის ხმისაგან“ განსხვავებით, ამ რუბრიკაში გვხვდებიან მხოლოდ საზოგადოების მეტ-ნაკლებად ცნობილი წევრები.

4. კვლევის ჰიპოთეზაა, რომ გაზეთის ეს რუბრიკები სათანადოდ ვერ წარმოაჩენენ მოქალაქეების სათქმელს, რადგან მათში იკვეთება როგორც სანდოობის, ცალკეული რესპონდენტის იდენტიფიცირების პრობლემა, ასევე, რესპონდენტების არაკომპეტენტურობა დასმული საკითხისადმი.

**Tsira Gurgenidze, Lana Rokva**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Journalism and Mass Communication*
*Bachelor's programme, VI semester*

## Vox Populi in Georgian Print Media

Scientific supervisor – Associate Professor **Khatuna Maisashvili**

1. Nowadays, in the Georgian press, numerous publications try to bring "the vox populi" to their readers. Following the unwritten media tradition, the voice of people is not the judgment of experts, but opinions of ordinary readers. But the question arises: whether citizens' genuine opinions sound in these publications.

2. Based on two Georgian editions, namely, the daily newspaper "Rezonansi" and weekly newspaper "Asaval-Dasavali", we set our goal to find out what these popular newspapers offer their readers in similar rubrics. The study time frame: from April 15, 2017 to April 30of the same year.

3. As headings for our study we chose "Khalkhis Khma" (Voice of people) and "Dgis Kitkhva" (Question of the day). They appear in newspapers with a certain frequency and changing places. The method of the research - content analysis.

4. The hypothesis, which is permissible, is as follows: these categories represent more formal media micro discourses than the genuine public opinion; they have lack of accuracy, the degree of identification of sources and the degree of competence and awareness of sources.

**გურამ დავითლიძე**
*საქართველო*
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქართული ფილოლოგია*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## მარტინ იდენი შემოქმედთა სადარაჯოზე

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **გაგა ნახუცრიშვილი**

1. მარტინ იდენი შეგვიძლია ჩავთვალოთ ჯეკ ლონდონის ავტობიოგრაფიულ პროტოტიპად, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილია, როგორც მოტივაციის განმაპირობებელი პერსონაჟი. სულიერი სიდუხჭირისა და საკუთარ თავში რწმენა დაკარგულ კაცობრიობას,უფროზუსტად,რომვქვათშემოქმედთ,ჯეკლონდონისეული მსოფმხედველობა, არათუ წარმატებისაკენ სწრაფვაში, არამედ წარმატების მიღწევაში დაეხმარება. მასში ასახული ის ლიტერატურული ღირებულებები, რომელელიც ტექსტს უდიდეს ნაწარმოებთა შორის ადგილს ანარჩუნებინებს, არის წინაპირობა იმისა, რომ მკითხველი დიდი ხნის წინ დაკარგულ საკუთარ თავს პოულობს და ცხოვრების ურთულესი გზების გაკვლევას თავდაუზოგავი შრომის შედეგად ახერხებს.

2. მარტინ იდენისეული ფილოსოფიოა ცდილობს თვალი აუხილოს ადამიანს და დაანახოს ის შეუმჩნეველი უფსრკული, რომელიც მიწიერ ცხოვრებაში ძლიერადაა ფესვგადგმული. უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ ჯეკ ლონდონის მიერ გადმოცემული ამბავი სულის ფორიაქს იწვევს, გაშორებს ადამიანებს სწორედ ავტორისეული მსოფმხედველობის ხარჯზე. ცხოვრებისეული ეტაპების გავლის შემდეგ, გვერდში მდგომ ადამიანებთან ურთიერთობაში ჩნდება ბზარები და ბარიერები, რომლის გადალახვა მხოლოდ ლიტერატურის ხარჯზეა შესაძლებელი. მკითხველს თავად აქვს არჩევანი ადამიანური სამყაროს, ანუ ლიტერატურის მხარეს დადგება თუ განკერძოვებით.

3. მარტინ იდენი არის შემოქმედი. ის ურთულესი მომენტიდან ახერხებს იმ მიზნებამდე მისვლას, რომელიც თითქმის ყველა კალმის დამჭერს აქვს გულში ჩამარხული. ეს არის წარმატება. წარმატების ფორმულა კი ჯეკ ლონდონმა ლიტერატურულის ნორმების დაცვით შესანიშნავად ამოხსნა.

**Guram Davitlidze**
*Georgia*
*Ilia State University*
*Georgian Phlogology*
*Bachelor's programme, VI semester*

## Martin Eden on Guard of Creators

Scientific supervisor - Associate Professor **Gaga Nakhutsrishvili**

1. We can consider Martin Eden as Jack London's autobiographical prototype. In the world literature he is known as a creator of motivation. Jack London's, as a creator's, worldview helps those who have spiritual poverty, and those who do not believe in themselves. The literary values reflected in the novel ensured its place among the greatest works. Due to these values,

a reader is able to find the way how to overcome hardship of life.

2. Martin Eden's philosophy is trying to open human's eyes and let them see that invisible abyss, which is strongly rooted in the earthly life. The most important fact is that the story novel narrated in the novel provokes spirit anxiety. After passing the life stages, there are cracks and barriers in the relationship between people which can be overcome only by literature. The reader has a choice: to stay on the side of literature or in separation.

3. Martin Eden is a creator. From the difficult moments he is able to reach life goals, which almost all pen holders buried in their hearts. This is success. Jack London perfectly managed to solve success formula following the literary norms.

**სალომე აბულაშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*სოციალური მუშაობა*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*
**მარიკა გაჩეჩილაძე**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია*
*ბაკალავრიატი, IV*
*სემესტრი*

## სოციალური ინკლუზიის როლი საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **კახა ქეცბაია**

1. განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველოს განათლების ხელმისაწვდომობა და თანაბარი შესაძლებლობები ყველა ბავშვისთვის (როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის.) მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, სოციალური ინკლუზიის მეშვეობით ყველა მოსწავლის საზოგადოებაში ინტეგრაცია და მათი იზოლაციისგან დაცვა.

2. ინკლუზიურ განათლებაში ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა, რომ განსხვავებულობა არის ნორმა. მოზარდის ინდივიდუალური შემეცნება იწყება მისი განსხვავებულობის აღიარებით, თუმცა ეს ღირებულება საქართველოში დღევანდელ სკოლებში ხშირად უგულებელყოფილია. (ზაქარეიშვილი, ფილაური, 2014)

3. ჯანსაღი საზოგადოების შენების ხელშეწყობა- ინკლუზიური განათლების ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს, მოსწავლეების მიერ სკოლის მიტოვების რისკის შემცირება. დღესდღეობით საქართველოში ამ რისკის ქვეშ უამრავი მოსწავლე დგას, რაც გამოწვეულია საგანმანათლებლო დაწესებულებებში შექმნილი არაადაპტირებული ფიზიკური გარემოთი და ამასთანავე, სსსმ მოსწავლისთვის საჭირო კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობით/არ არსებობით. საქართველოს სტატისტიკის

ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2016-17 წლის დასაწყისითვის სკოლა დატოვა 11512-მა მოსწავლემ.

4. აღნიშნული ნაშრომის მიზანია საქართველოში ინკლუზიური განათლების განხილვა-შეფასება, პრობლემების იდენტიფიკაცია, საჭიროებების გამოკვეთა და არსებული ბავშვთა დაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა, რაშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს სოციალურ მუშაკს. მნიშვნელოვანად მიგვაჩნია აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო დონეზე განხილვაც, რაც უფრო თვალსაჩინოს გახდის საქართველოში სოციალურ ინკლუზიაში არსებული პრობლემების წინ წამოწევასა და მათი გადაჭრის გზების შესაბამისობას კანონთან მიმართებაში.

5. აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა მეორად მონაცემთა ანალიზი და ლიტერატურის მიმოხილვა. ამასთანავე, რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი - მასობრივი გამოკითხვა.

**Salome Abulashvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Social Work*
*Bachelor's programme, IV semester*
**Marika Gachechiladze**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Journalism and Mass Communication*
*Bachelor's programme, IV semester*

## The Role of Social Inclusion in Georgian Educational System

Scientific supervisor – Associate Professor **Kakha Ketsbaia**

1. Getting education is every child's fundamental right. The state is obliged to provide accessibility of education and equal opportunities for every child (including the children with special needs). We consider that with social inclusion every child should be integrated in society and be safe from isolation.

2. One of the most important values in inclusive education is the fact that that diversity is a norm. The individual cognition of an adolescent starts with recognizing his/her specificity, but this policy is rejected in nowadays schools in Georgia (Zakareishvili, Pilauri, 2014).

3. Giving a hand for establishing healthy society – one of the major principles of an inclusive education is to decrease the risks of children leaving schools. Many children are facing this problem nowadays in Georgia. This is caused by non-adaptive physical accommodation at the educational institutions and the lack of qualified professionals for children with special needs. As The National Statistics Office of Georgia claims, at the beginning of the 2016-17 academic year over 11512 students left school.

4. The purpose of the research is to look through the inclusive education in Georgia, to assume it, identify the problems, underline the needs and come up with the recommendations for

improving the existing program of Children care Policy, in which the main role should be played by the social worker. In our point of view, it is very important to discuss this topic at the legislation level, so that it would make the social inclusion problems more prominent and the solutions would be corresponding to the Judiciary System.

5. In the research mentioned above, will be used qualitative methods, including secondary data analysis and literature review. We will also use quantitative method – mass inquiry.

**მარიამ პოპიაშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ფსიქოლოგია*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## მხატვრის ცნობადობა გავლენას ახდენს ნახატის შეფასებაზე

ხელმძღვანელი - **ირინე გედევანიშვილი**

1. ხელოვნება, ფართო გაგებით, ადამიანის შემოქმედებისა და წარმოსახვის ფიზიკური გამოხატვაა ნაწარმოებებში, რომელიც აერთიანებს სინამდვილისა თუ მოგონილის მხატვრული გამოხატვის სხვადასხვა ფორმებს. სიტყვა ხელოვნება აღიქმება როგორც ბუნების საპირისპირო ცნება. ამ აზრით ხელოვნებას მიეკუთვნება ყველაფერი, რაც არაბუნებრივი წარმოშობისაა, ანუ შექმნილია ადამიანის (ავტორის, ხელოვანის) მიერ.

2. თანამედროვე ინტერპრეტაციით, ხელოვნების განსაზღვრებები ასახავენ ესთეტიკურ კრიტერიუმებს, და ტერმინი ერთნაირად შეეხება ლიტერატურას, მუსიკას, ცეკვას, დრამატურგიას, მხატვრობას,სკულპტურას და არქიტექტურას. ხელოვნება ჩვენი ცხოვრების გამუყოფელი ნაწილია. ჩვენ მასთან ყოველდღიურად გვაქვს შეხება. ადამიანები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ნახატის შეფასებისას ჩვენზე დიდი გავლენა აქვს ავტორის სახელს. მხატვრის ცნობადობა, რომ გავლენს ახდენს ადამიანის შეფასებაზე ექსპერიმენტულად დადასტურებულია (John Mackbeski & Geoffrey rush 1998).

3. მე გადავწყვიტე გამემეორებინა მოცემული ექსპერიმენტი და შესაბამისად ჩამოვაყალიბე ჰიპოთეზა: ,,მხატვრის ცნობადობა გავლენას ახდენს ნახატის შეფასებაზე”. ექსპერიმენტშიმონაწილეობა მიიღოშემთხვევით შერჩევისპრინციპებზე დაყრდნობით არჩეულმა 200-მა ცდის პირმა (ასაკი 14-25). დაცული იყო გენდერული ბალანსი. ცდის პირებს ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში მიეწოდებოდათ ცნობილი მხატვრის და უცნობი მხატვრის ნახატი და მათ ისინი უნდა შეეფასებინათ ტურსტონის სკალაზე. ექსპერიმენტულ ჯგუფში ხდებოდა მხატვრების სახელებით მანიპულირება. ექსპერიმენტის მონაცემები დავამუშავე ხი კვადრატით, რომელმაც სტატისტიკურად დაადასტურა ზემოთ მოყვანილი ჰიპოტეზა.

**Mariam Popiashvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Psychology*
*Bachelor's programme, VI semester*

## Impact of an Artist's Name Awareness on the Evaluation of a Picture

Scientific supervisor – Irine Gedevanishvili

1. Art, in broad understanding, is human expression of creation and imagination in writing, which unites the different forms of artistic expression of reality or imagination. The word art is perceived as the opposite concept of nature. According to this idea, art includes everything that has not natural origins and is made by human (an author, an artist).

2. According to modern interpretation, definitions of art express aesthetical criteria and the term equally includes literature, music, dancing, dramatic composition, painting, sculpture and architecture. Art is an inseparable part of our lives. We are in touch with it every day. People reckon that the name of an author influences a person while evaluating the painting. The fact that the name recognition of an author effects the evaluating process is confirmed with the experiment (John Mackbeski & Geoffrey rush 1998).

3. I decided to repeat the given experiment and accordingly, formed the hypothesis: "name awareness of an author affects the evaluation of the painting". 200 people, by principle of random chose, took part in the experiment (age 14-25). The gender balance was kept. Participants of the experiment were given paintings of famous and unknown authors and they had to evaluate them by Thurstone scale. The experimental group was manipulated by the names of the authors. I worked over the results of the experiment with Chi-square which statistically confirmed the hypothesis given above.

**მარიამ მეისრიშვილი**
*საქართველო*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია*
*ბაკალავრიატი, II სემესტრი*

## პროფესიული ეთიკის პრობლემა თანამედროვე ქართულ მედიაში
(რუსთავი 2-ისა და Prime Time-ის მაგალითზე 2016-2017 წწ)

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **ხათუნა კაჭარავა**

1. ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში დემოკრატიული რეფორმების მიმდინარეობისას ჟურნალისტიკაში ეთიკური კრიტერიუმების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყურადღება უნდა მიექცეს ქართულ მედიაში დემოკრატიული ინსტიტუციის განვითარებას, აგრეთვე, ისეთ სფეროში მომუშავე ჟურნალისტთა დახმარებას, როგორიცაა ჟურნალისტური გამოძიება, ბავშვთა საკითხების გაშუქება და სხვ. მედია ეთიკის განვითარება აუცილებელია ქვეყნისათვის, რომელიც რეფორმებს ატარებს. მედია ეთიკის განვითარება აახლოებს მედიას საზოგადოებასთან, რადგან ობიექტური და სამართლიანი ჟურნალისტური პროდუქტი ამაღლებს ჟურნალისტის მიმართ ნდობის ხარისხს.

2. აუცილებელია განისაზღვროს პროფესიული ქცევის ნორმები, შემდეგ კი, ამ ნორმების დასამკვიდრებლად შეიქმნას მექანიზმი, რომელიც მომხმარებლისა და მასმედიის ურთიერთობის დაარეგულირებს. რა მიზნებს უნდა ემსახურებოდეს ეთიკური მედია? როგორია მედიის წარმომადგენლების პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე? თანამედროვე მედიის რუსთავი 2-ის და Prime Time-ის მაგალითებზე დაყრდნობით შევეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვებს, ერთმანეთს შევადაროთ ორი პოპულარული მედიასაშუალება.

**Mariam Meisrishvili**
*Georgia*
*Grigol Robakidze University*
*Journalism and Mass Communication*
*Bachelor's programme, II semester*

## The Problem of Professional Ethics in Modern Georgian Media
(based on Rustavi 2 and Prime Time, 2016-2017)

Scientific supervisor – Associate Professor **Khatuna Kacharava**

1. The presented work aims to emphasize the importance of journalism ethics in ongoing democratic reforms in the country, facilitate the development of democratic institutions in Georgian mass media, as well as to help the journalists working in the fields of investigative journalism, coverage of social media, etc. The development of media ethics is necessary for the country with undergoing reforms. We believe that the development of media ethics bridges the gap between media and society, as the product of objective and fair journalism raises the level of confidence towards journalist.

2. 2. We try to define the rules of professional conduct, and then create a mechanism for establishing the rules that will try to regulate the relationship between consumers and the media. The questions of professional ethics of the media are the major problems of the mass media. We try to answer such questions as: What goals should serve the ethical media? What is the responsibility of the representatives of media towards the society? We answer these questions based on the materials covered in the TV Channel Rustavi 2 and published in the newspaper Prime Time.


**დავით დოლაბერიძე**
*საქართველო*
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*არქეოლოგია*
*მაგისტრატურა, V სემესტრი*


## ბაილარის ქვის მასალის ტიპოლოგია და შედარებითი ანალიზი

ხელმძღვანელი – მოწვეული პედაგოგი **ზურაბ ცქვიტინიძე**

1. ქვემო ქართლის ვაკე, ძვ.წ. VII-VI ათასწლეულებში, ნეოლითურ ხანაში წარმოქმნილი შულავერ-შომუთეფეს კულტურის გავრცელების ერთ-ერთი რეგიონია. ჯერ კიდევ 1960-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად მტკვრის აუზში, ხრამის ქვემო წელზე ექსპედიციამ გამოავლინა ადრესამიწათმოქმედო ხანის ნამოსახლარებისგან შემდგარი ოთხი ჯგუფი: "არუხლოს ჯგუფი", "წითელი სოფლის ჯგუფი", "ყაჩაღანის ჯგუფი" და "შულავერის ჯგუფი" (ჯავახიშვილი, ჯაფარიძე 1975).

2. ზემოთ აღნიშნული შულავერის ჯგუფის ძეგლებიდან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით, 2016 წელს, დაზვერვების შედეგად, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ბაილირის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა არტეფაქტები. (სახელწოდება ,,ბაილარი" აზერბაიჯანული ოიკონიმია და ამ ენაზე ბატონს/ბატონებს ნიშნავს). დაიზვერა დაახლოებით 25.650 მ, (კოორდინატები 41°25.706'N/44° 48.796'E;).

3. დაზვერვების შედეგად აიკრიფა ობსიდიანის, ვულკანური და ვულკანოგენ-დანალექი ქანის, ქალცედონის, კაჟისა და კერამიკის ფრაგმენტი, ჯამში 510 ერთეული. მათში გამოვყავით დიდი და პატარა ზომის ქვის არტეფაქტები: ნუკლეუსები; ანატკეც-ანამტვრევები; ლამელები; რეტუშირებული ანატკეცები და ლამელები; ობსიდიანზე დამზადებული იარაღი; ვულკანოგენ-დანალექ და ვულკანურ ქანზე ნაკეთები კომბინირებული იარაღი (სასრეს-სატეხი); ხელსაფქვავების ზედა და ქვედა ქვები.

4. ზემოთ ხსენებული ქვის არტეფაქტების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მასალა ბევრი საერთო ნიშნით მსგავსებას პოულობს შულავერ-შომუთეფეს კულტურის ნამოსახლარების არტეფაქტებთან. ეს გარემოება, კი, გვაფიქრებინებს, რომ დაზვერილ ტერიტორიაზე უნდა არსებულიყო გორანამოსახლარი, რომელიც თანამედროვე სამეურნეო სავარგულის მოწყობის მიზნით იქნა მოშლილი. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სწორედ ბორცვის მოშლას უნდა გამოეწვია არტეფაქტების გავრცელება ასეთ დიდ ფართობზე. მოპოვებულ მასალაზე ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ რეგიონში (მარნეულის ველის მდ. ხრამის მარცხენა ნაპირი) მომავალმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა შესაძლოა მოგვცეს უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, შულავერ-შომუთეფეს კულტურის შესწავლის თვალსაზრისით.

**Davit Dolaberidze**
*Georgia,*
*Ilia State University*
*Archeology*
*Master's programme, V Semester*

## Typology and Comparative Analysis of the Stone Artifacts from Bailari

Supervisor – Invited lecturer **Zurab Tskvitinidze**

1. The Kvemo Kartli region is defined as one of the areas of spreading Shulaveri-Shomu culture (7$^{th}$-6$^{th}$ millennia B.C.E.). In the 1960s, archaeological surveys were undertaken in the river Mtkvari basin and four groups of Early Farming period settlements were discovered on the lower bank of the river Khrami: "Arukhlo", "Tsiteli Sopeli", "Khachaghani" and "Shulaveri" (Javakhishvili, Japaridze 1975).

2. In 2016, during the archaeological excavation on the left bank of the river Khrami, near village Bailari, located within 5 km from the above mentioned sites of Shulaveri group, some artifacts were revealed ("Bailari in Azerbaijan means "lord/lords"). Reconnaissance area covers approximately 25.650 m$^2$ (coordinates 41°25.706'N/44° 48.796'E).

3. During the archaeological survey chalcedony, flint, obsidian and other volcanic, ceramic fragments (total 510 items) were collected. We have separated large and small artifacts: nucleus, cores, flakes, chips, blades, retouched blades and flakes; tools made of obsidian. Combined tools made on volcanic rocks (chisel-grinder), as well as grinder and querns are made of igneous rocks.

4. The study of the above-mentioned stone artifacts has revealed many similarities between the material and the stone artifacts of Shulaveri-Shomu culture settlements. Most likely, the surveyed territory represented a mound-settlement which was destroyed during the recent agricultural activities. Future archaeological research of the area may give more data for the study of the Shulaveri-Shomu Culture.

**ალექსანდრე ქასრაშვილი, კახა ყიფიანი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*პოლიტიკის მეცნიერება*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## ფილოსოფია, როგორც ეპოქის აზროვნების ინდიკატორი

ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი **თამარ ქარაია**

1. ფილოსოფიური აზროვნება ნებისმიერი ეპოქის განუყოფელი ნაწილი გახლდათ და საინტერესოა, რამდენად ჰპოვა ასახვა ამ იდეებმა თანამედროვეობაში, რა გავლენა იქონია სხვადასხვა შეხედულების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ჩვენს საკვლევ თემასაც სწორედ ეს წარმოადგენს. გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ყველა ეპოქის

უმნიშვნელოვანეს ფილოსოფოსზე, რომლებმაც გარდამტეხი როლი შეასრულეს ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში. მოვახდენთ მათი ნააზრევის შედარებას, იდენტიფიცირებას თანამედროვე იდეებთან.

2. არსებული საკითხის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით მივმართავთ კვლევის თვისებრივ მეთოდს, დოკუმენტების ანალიზს და შევისწავლით სხვადასახვა ეპოქის ფილოსოფოსისა და მოაზროვნის ნაშრომებს, ისეთებისას, როგორებიცაა: პლატონი, არისტოტელე, მაკიაველის, ჰობსი, ლოკი, მონტესკიე და რუსო.

3. შემოგთავაზებთ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს ჩვენი საკვლევი თემიდან:

- არისტოტელეერთ–ერთიპირველია, ვინცავითარებსკანონისბატონობის პრინციპს. ის ამბობს, რომ არ არის სამართლიანი,როცა ერთი ყოველთვის მართავს, მეორე კი ქვეშემრდომია. აუცილებელია ეს მოხდეს რიგრიგობით. ეს იდეა დღესდღეობით გამოვლინებას ჰპოვებს ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში.

- მაკიაველი თავის ნაშრომში „მთავარი“ გვთავაზობს როგორი უნდა იყოს მმართველი და მეთოდურადაა განხილული ძალაუფლების აღებისა და შენარჩუნების ხერხები სხვადასხვა ვითარებაში. წიგნმა დიდი გავლენა მოახდინა მრავალი პოლიტიკური მოღვაწის ჩამოყალიბებაზე (ცნობილია, რომ მას ფანქრით ხელში გამუდმებით კითხულობდა იოსებ სტალინი, ათიოდე წლის წინ აღმოჩენილ იქნა და გამოიცა ნაპოლეონ ბონაპარტის კომენტარები მაკიაველის ტექსტზე).

- ინგლისელი მოაზროვნე ჯონ ლოკი თავის ნაშრომში ავითარებს ბუნებითი უფლებების იდეას, რომელშიც „სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების“ უფლებას მოიაზრებს. ლოკის იდეები საფუძვლად დაედო ლიბერალიზმის ჩამოყალიბებას.

**Aleksandre Kasrashvili, Kakha Kipiani**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Political Science*
*Bachelor's programme, IV semester*

## Philosophy as an Indicator of a Thought of Epoch

Scientific supervisor – Assistant Professor **Tamar Karaia**

1. Philosophical thinking was an integral part of any epoch. It is interesting to find out how these ideas were reflected in modernity and what impact they had on formation and development of different views. This is our study topic. We want to focus on the most important philosophers of all epochs who played the vital role in the development of philosophical thinking. We will compare and identify their points of view with modern ideas.

2. In order to thoroughly examine the present issue, we use the qualitative research method, analyze the documents and study the works of philosophers and thinkers of different epochs such as Platon, Aristotle, Machiavelli, Hobbes, Lock, Montesquieu and Russo.

3. We would like to offer some important facts from our research topic:

- Aristotle is one of the first who develops the principle of domination of the law. He says that it is not fair when one man always rules, and the other is under the control. It should necessarily happen in turn. This idea is reflected in any democratic state today.

- In his work, "The Main" Machiavelli suggests what kind of the ruler should be and how the methods of taking and preserving the power in different situations are discussed. It seems that the book had a great influence on many political figures (it is known that Joseph Stalin was constantly reading it with pencil in his hand. Napoleon Bonaparte comments on Machiavelli's text were discovered and published ten years ago).

- English thinker John Locke in his work develops the idea of natural rights in which the right to life, freedom and ownership is considered. Locke's idea was based on the development of liberalism.

**მარიკა მჭედლიძე**
*საქართველო*
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*დაწყებითი სკოლის პედაგოგიკა*
*ბაკალავრიატი, VIII სემესტრი*

## მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხერხები ბუნებისმეტყველების სწავლებისას

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **მარიკა კაპანაძე**

1. დღესდღეობით მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება ერთ-ერთი კრიტიკული საკითხია განმანათლებლებისათვის, რადგან თანამედროვე კვლევებზე დაყრდნობით მოსწავლის აკადემიური მოსწრება პირდაპირპროპორციულია მოსწავლის მოტივაციისა. მოსწავლეთა მოტივაციას სასწავლო პროცესში ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის სწავლების მეთოდები.

2. ნაშრომშიასახულიაკეთებითსწავლებისმეთოდისეფექტურობაბუნებისმეტყველების სწავლებისას. განხილულია პრაქტიკული კვლევა, რომლის საფუძველზეც მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება, როგორც მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია ბუნებისმეტყველების სწავლებისას.

3. პრობლემის მოგვარების მიზნით პრაქტიკული კვლევის ფარგლებში დავგეგმეთ ინტერვენციები, რომლებიც კეთებით სწავლებაზე იყო დაფუძვნებული. ამასთანავე, გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები, როგორიცაა ფოკუს ჯგუფი და ჩაღრმავებული ინტერვიუ.

4. ჩვენი კვლევის შედეგად ირკვევა, რომ კეთებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას ბუნებისმეტყველების სწავლებისას. ამ დასკვნამდე მიგვიყვანა კვლევის შედეგებმა, რომელიც დადასტურდა ინტერვენციების პროცესში სტრუქტურირებული დაკვირვების და ფოკუს-ჯგუფის გამოყენების შედეგად.

5. კვლევის შედეგად ასევე გამოირკვა რომ მოსწავლეთა მოტივაცია შედარებით მაღალია როდესაც მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს, აძლევს მოსწავლეებს საშუალებას თავად გააკეთონ დასკვნები და აღმოჩენები, იმასთან შედარებით როდესაც მასწავლებელი მხოლოდ კითხვა პასუხისა და დავალების შემოწმების რეჟიმში წარმართავს გაკვეთილს.

6. პრედაპოსტფოკუსჯგუფებისსაშუალებითნათლადდავინახეთრომმნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესის იმგვარად აგება, რომ მასწავლებლის და მოსწავლეების ინტერესები ემთხვეოდეს ერთმანეთს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაკვეთილი უინტერესოა მოსწავლეთათვის და შესაბამისად მათი სწავლის მოტივაციაც დაბალია.

**Marika Mtchedlidze**
*Georgia*
*Ilia State University*
*Primary School Pedagogy*
*Bachelor's programme, VIII semester*

## The Strategies for Raising Motivation while Teaching Natural Sciences

Supervisor – Associate Professor **Marika Kapanadze**

1. Nowadays, the raise of motivation is one of the critical issues for educators, because according to the current researches, pupils' academic achievements are directly proportional to their motivation. Pupils' motivation is determined by lots of factors, among them one of the most important is the teaching methods.

2. The work discusses the effectiveness of "teaching by doing" method in natural sciences. A practical study on the basis of which the problem has been identified as pupil's low motivation in the field of natural sciences is reviewed.

3. For the purpose of overcoming the problem we planned interventions that were based on "teaching by doing" method. We also used qualitative research methods like focus groups and in-depth interviews.

4. Regarding the results, we can say that "teaching by doing" method supports the increasing of students' motivation in natural sciences. This has been confirmed by the structural observation in the process of interventions and focus groups.

5. As a result of the research we made a conclusion that pupils' motivation is higher when a teacher is a facilitator and gives pupils the opportunities of making conclusions and discoveries when a teacher just conducts a lesson by asking-answering questions and checking their homework assignments.

6. Through pre and post-focus groups, we have clearly seen that it is important to build the teaching process so that the interests of a teacher and pupils coincide with each other, otherwise the lesson is uninteresting for pupils and therefore, their motivation is low.

**გიორგი თავხელიძე**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ფსიქოლოგია*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

# პროტესტანტული შრომითი ეთიკის ღირებულებათა ანალიზი

1. პროტესტანტული შრომითი ეთიკა აჯილდოებს მაღალი შრომითი ნებელობის მქონე ინდივიდებს. ამ მოსაზრებას ამყარებს აშკარა რელიგიური მოტივი, რომელიც საფუძვლად უდევს შრომითი ქცევის წახალისებას. ამაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ღმერთის კონცეფციის განმარტება საგრძნობლად განსხვავდება სკანდინავიურ-პროტესტანტული აღზრდის მქონე ინდივიდთა გონებაში.

2. შესაბამისად, ვარირებს ღვთის მოწყალების, დახმარებისა და თანადგომის აღქმა. ამ მოსაზრების თანახმად პროტესტანტულ შრომით ეთიკაში, ღმერთის, როგორც უზენაესი ძალაუფლების მქონე ფიგურის დახმარება გამოიხატება შრომით ხელშეწყობაში.

3. ადამიანს თავადვე უწევს საკუთარი კეთილდღეობის შექმნა. მაშინ, როცა არაპროტესტანტულ შრომით კულტურებში, ღმერთის დახმარება მეტად ასოცირდება იღბალთან და შემთხვევითობასთან, ამასთანავე, მას ხშირ შემთხვევაში არ გააჩნია პირდაპირი კავშირი შრომით პროცესთან, ან მის მიზეზ-შედეგობრივობასთან.

4. რაც შეეხება მიზეზებს, პროტესტანტული შრომითი ეთკის ძირითადი პრინციპები განპირობებულია რელიგიური კულტურითა და ტრადიციებით.

5. კულტურული ტრანსმისია უშუალოდ ხდება მშობლიდან-შვილზე, ვერტიკალურად. რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ შრომის მიმართ დადებითი ნებელობა, წეს-ჩვეულებები და ქცევები, რომლებიც ხელს უწყობს სამუშაო დროის გაზრდასა და თავისუფალი დროის შემცირებას, უკეთ აიხსნება ბიჰევიორისტულად, ვიდრე გენეტიურად. სხვასიტყვებითრომვთქვათ, ადამიანისამგვარიქცევაგანმტკიცებულია აღზრდის შედეგად, და არა - ბუნებრივად.

**Giorgi Tavkhelidze**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Psychology*
*Bachelor's programme, IV semester*

## Analysis of Protestant Work Ethic Values

1. Protestant work ethics rewards individuals with high willingness to work. The following claim is justified by an evident religious motif which is the fundament of rewarding behaviors of hard work. Based on this opinion, we can estimate that the concept of god is significantly different in minds of individuals, brought up in Scandinavian-Protestant cultures.

2. Relatively, the concept of god's help and support also varies. According to this claim, help of god – as the figure of supreme power, is expressed through support and back up in the actual work process.

3. Person has to create own well-being himself, while in non-protestant cultures, the help of god is associated with luck or probability. Therefore, it has no direct link to causality or the process of work.

4. Speaking of reasons, basic principles of Protestant work ethics is determined by religious culture and traditions.

5. Cultural transmission is taking place vertically, from parent to child. It is justified to presume that positive willingness to hard work, customs and behaviors which help to increase labor hours and decrease the duration of free time, is better explained through behaviorism, rather than genetics. In other words, human behavior is reinforced due to upbringing, and not due to natural causes.

**Klaudia Łodejska**
*Poland*
*Jan Kochanowski University*
*History*
*PhD studies, II semester*

## Celebrity Splash: Celebrities through Polish and Russian People's Eyes

Scientific supervisor – **dr hab. Professor Grzegorz Miernik**

1. The article aims at showing the process of popularizing the phenomenon of "celebrities" in Poland and Russia. It may seem that celebrities all over the world function in the same way because the mechanisms, thanks to which a celebrity becomes popular, are usually identical everywhere. However, the American model does not look the same comparing to the eastern part of Europe.

2. To explain the cultural phenomenon I decided to make connection between history, sociology and cultural points of view. From sociological point I tried to show the definition and how Daniel Boorstin explained "How is a celebrity?" and how we can define them thanks to typology of David Marshall.

3. In the next part of the article, you can read about celebrities in history – even according to saints like Saint Patrick. Finally, I decided to show celebrities form the US, Poland and Russia. How do people from these countries perceive celebrities? Where can we find differences? And is there something weird about creating celebrities when we do not focus on people but on objects and places? Or maybe we can find somewhere the cult after death of celebrities? In the article are given the answers to all of these questions and much more.


**კლაუდია ლოდეისკა**
*პოლონეთი*
*იან კოხანოვსკის სახელობის უნივერსიტეტი*
*ისტორია*
*დოქტორანტურა, II სემესტრი*


## პოლონელი და რუსი ხალხის თვალით დანახული ცნობილი სახეები („სელებრითი")

ხელმძღვანელი - **პროფესორი გრჟეგორჟ მიერნიკი**

1. წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ ,,ცნობილი სახეების" პოპულარიზაციის საკითხს რუსეთსა და პოლონეთში. როგორც ჩანს, პოპულარიზაციის მექანიზმი მთელ მსოფლიოში ერთნაირია. თუმცა, ამერიკული მოდელი მაიც განსხვავდება აღმოსავლეთ ევროპის მოდელისგან.

2. ამ კულტურული ფენომენის ასახსნის მიზნით, გადავწყვიტე, რომ ისტორიულ, სოციოლოგიურ და კულტურულ მიდგომებს შორის საერთო მეპოვნა. რა სოციოლოგიური საფუძველი აქვს დანიელ ბურსტინის მიერ ტერმინის ,,სელებრითი" განმარტებას? როგორ იკითხება ეს განმარტება დევიდ მარშალის მიხედვით?

3. ნაშრომის შემდეგ ნაწილიში განვიხილავთ ისტორიაში შესულ ცნობილ სახეებს. მოგითხრობთ წმინდა პატრიკის მიერ აღწერილი შემთხვევების შესახებ. ვისაუბრებ ამერიკელ, პოლონელ და რუს ცნობილ სახეებზე. როგორ აღიქვამს საზოგადოება ცნობილ სახეებს ამ ქვეყნებში? რაში მდგომარეობს განსხვავება? ხომ არ არის რაიმე უცნაური ცნობილი სახეების წარმოჩინებაში? იქმნება მათგან კულტი სიკვდილის შემდეგ? პასუხი ამ კითხვებზე მოცემულია ნაშრომში.

# პოლიტიკის მეცნიერების სექცია
Section of Political Science

**ანა გაბისონია**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*პოლიტიკის მეცნიერება*
*ბაკლავრიატი, IV სემესტრი*
**ლიანა ხაზალია**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციები*
*ბაკლავრიატი, IV სემესტრი*

# ომბუცმენი - როგორც ქვეყნის დემოკრატიულობის ინდიკატორი

ხელმძღვანელი - დოქტორი **ელზა ლომიძე**

ნაწილი 1.
საკითხის დასმა და აქტუალურობა

თანამედეროვე ქვეყნების უმრავლესობა აღიარებს, რომ იბრძვის დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად. ვთვლით, რომ ამის განსახორციებლად აუცილებელია, პირველრიგში, სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფა, რის საფუძველზეც ქვეყანაში ჩამოყალიბდება ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება. ამ თვალსაზრისით, დღესდღობით სახალხო დამცველის აპარატი, დიდ როლს თამაშობს მთელ რიგ ქვეყნებში. საქართველოს სახალხო დამცველი, არის კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობს საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. იგი სწავლობს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და წარუდგენს წინადადებებს საქართველოს პარლამენტს ან სხვა შესაბამის ორგანოს რეკომენდაციების სახით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს კი წარადგენს საზოგადოების წინაშე თავის ყოველწლიურ ანგარიშში.

ნაწილი 2.
ძირითადი ნაწილი

ჩვენი კვლევის მიზანია, ხაზი გავუსვათ სახალხო დამცველის, როგორც საჯარო ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის აქტიური შუამავლის როლს, დემოკრატიზაციის პროცესში. აქედან გამომდინარე, ჩვენი საკვლევი კითხვაა: რა შედეგებს გამოიტანს სახალხო დამცველის ინსტიტუტის პოპულარიზაცია და მისდამი ნდობის ხარისხის ამაღლება დემოკრატიზაციის პროცესისთვის? ოპერაციონალიზაციის მიხედვით, პროცედურა, რომელიც ახსნის სახალხო დამცველის ინსტიტუტის ეფექტურობას დემოკრატიზაციის პროცესში, არის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე დაკვირვება. მოცემული საკითხის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით, მივმართავთ კვლევის თვისებრივ მეთოდს, დოკუმენტების ანალიზი (სახალხო დამცველის 2003, 2008, 2013 ყოველწლიური ანგარიშების შედარება) აგრეთვე სიღრმისეული ინტერვიუს საფუძველზე გამოვკითხავთ თსუ-ს სტუდენტებს.

ნაწილი 3.
დასკვნა

საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს დემოკრატიზაციის პროცესი. ვთვლით, რომ ამ საქმეში სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერება დიდ როლს ითამაშებს. ამისათვის აუცილებელია მისი პოპულარიზაცია საზოგადოებაში. მიგვაჩნია, რომ თუ ომბუცმენი გაცილებით ლეგიტიმური გახდება, უფრო მეტად მოხდება მისი რეკომენდაციების გათვალისწინება.

**Ana Gabisonia**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Political Science*
*Bachelor's programme, IV semester*
**Liana Khazalia**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Journalism and Mass Communications*
*Bachelor's programme, IV semester*

## Ombudsman - as the Indicator of the Country's Democracy

Scientific supervisor - **PhD Elza Lomidze**

1. Most modern countries recognize that they fight for creating democratic state. We think that the most necessary thing for carrying out this aim is to ensure human rights and freedoms which would be the base of strong civil society. In this respect, nowadays, Public Defender's Institution plays a great role in many countries.

2. Our study aims to point out the public defender as an active mediator between the public administration and civil society in the process of democratization. Our main question for studying is the following: What result will be got with popularization of the Institution of Public Defender and with increasing trust quality towards it? According to operationalization, the procedure which explains the effectiveness of the Institution of Public Defender in the process of democratization means to observe the experiences of developed countries.

3. For the thorough study of this question, we use the qualitative method, analysis of documents (comparison of annual reports) as well as interviews with students of TSU. The process of democratization is very active in Georgia. We suppose that strengthening Public Defender's Institution will play an important role; that is why popularization of this institution is basic. We think that if Ombudsman becomes more legitimate, more of its recommendations will be taken into account.

**მარიამ გოგალაძე , მარიამ ხიჯაკაძე**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*პოლიტიკის მეცნიერება*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## მოქალაქეთა აბსენტიზმი საქართველოში = პრობლემის ანალიზი, მიზეზები და გადაჭრის გზები

ხელმძღვანელი - ასისტენტ-პროფესორი **თამარ ქარაია**

1. არჩევნები დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, რომლის საშუალებითაც მოსახლეობა ირჩევს ხელისუფლების წარმომადგენლებს. ეს უკანასკნელნი კი მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულები არიან. სავსებით შესაძლებელია, რომ არჩევნებში მონაწილეობა მივჩნიოთ იმ ერთ-ერთ აუცილებელ ქმედებად, რომელსაც შეიძლება მოქალაქემ მიმართოს პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად მონაწილეობისთვის. არჩევნებში მონაწილეობა, უპირველეს ყოვლისა, დემოკრატიის პირდაპირი ფორმა და საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის საშუალებაა. მეორეც, ამ გზით ხდება სახალხო სუვერენიტეტის რეალიზება და ხელისუფლებას ხალხის მხრიდან ენიჭება უდიდესი ლეგიტიმაციის ხარისხი. მიუხედავად ამ ყველაფრისა, არიან მოქალაქეები, რომლებიც ავლენენ აბსენტიზმს და უარს ამბობენ ისარგებლონ მათთვის მინიჭებული უფლებით. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია შეინიშნება მსოფლიოს არა ერთ სახელმწიფოში, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიზაციის პროცესი არც თუ ისე დიდი ხნის დაწყებულია. ასეთ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც. ამის დასტურია 2012-2016 წლების საპარლამენტო არჩევნები.

2. მოცემული საკითხის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით, მივმართავთ კვლევის თვისებრივ მეთოდს. გავაანალიზებთ ჩვენს ხელთ არსებულ სტატისტიკასა და ექსპერტთა თუ მთავრობის წარმომადგენლების უკვე არსებულ მოსაზრებებს. ასევე სიღრმისეულიინტერვიუსსაშუალებითგამოვიკითხავთივ.ჯავახიშვილისსახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ლექტორებს, რომლებიც საკმაოდ კომპეტენტურნი არიან საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, ამიტომაც მათი დახმარებით შევძლებთ გავიაზროთ პრობლემის არსი და გავაანალიზოთ მისი გადაჭრის შესაძლო გზები. მანამდე კი შემოგთავაზებთ ჩვენს მოსაზრებებს:

   - პირველ რიგში, მივიჩნევთ, რომ მოქალაქეთა აბსენტიზმი გამოწვეულია ქვეყანაში მოსახლეობის დაბალი პოლიტიკური და სამოქალაქო კულტურის არსებობით.

   - მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობს ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ ინიცირებული და განხორციელებული სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები, მოქალაქეთა გათვიცნობიერებულობა ამ საკითხთან დაკავშირებით მაინც დაბალია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, უკეთესი იქნება თუ გაიზრდება მსგავსი პროექტების რაოდენობა მთელი საქართველოს მასშტაბით.

3. გვჯერა, რომ საჭიროა ყველა მოქალაქე აცნობიერებდეს არჩევნებში მონაწილეობის აუცილებლობას, გამომდინარე იქიდან, რომ არჩევნების საბოლოო შედეგი პოლიტიკური პარტიებისათვის, პოლიტიკოსებისათვის და თავად საზოგადოებისათვისაც არის ერთგვარი გზავნილი იმის შესახებ, თუ რა პოზიციების მხარდაჭერილი საზოგადოების მიერ და სწორედ ამიტომაც ხმის მიცემა არის ის შანსი, რომელიც ეძლევა თითოეულ მოქალაქეს, რათა გამოხატოს თავისი სათქმელი.

**Mariam Gogaladze, Mariam Khijakadze**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Political Science*
*Bachelor's programme, IV semester*

## Absinthism of Citizens in Georgia – Analysis of the Problem, Reasons and the Ways of Solution

Scientific supervisor – Assistant Professor **Tamar Karaia**

1. Elections are one of the most important mechanism of democratic governance. By the elections people choose representatives in authority who are accountable to people. Participating in elections is the most essential action. It means that an individual is involved in political processes and is an active member of society. It is a common fact that participate in elections is a way to democracy and the expression of public idea. Moreover, by the elections authority gets legitimization and public sovereignty is implemented. Besides, there are citizens who refuse to use their rights and are indifferent. Unfortunately, the tendency of absintism is a global problem and especially in those countries were the process of democratization did not begin so long ago. Georgia is among these countries what can be proved by 2012-2016 parliamentary elections.

2. In order to study the existing issue, we used qualitative analysis; we will discuss the existing statistics, opinions of experts and authority. Also the lectures of Ivane Javakhishvili Tbilisi State University will be interviewed. Lectures will be chosen from the Faculty of Social and Political sciences. They are very competent. That is why with their help, we will be able to realize the problem and find out the ways of solution. Before we study their opinions, we are offering our suggestions:

   - From our point of view, absintism is caused by the existing low civil and political culture.

   - There are many projects which are carried out by the government, non-governmental organizations, but society is not well aware of this issue. That is why the number of projects must be increased all over Georgia.

3. Citizens must be aware of the importance of elections. The result of elections shows who is supported by the society. The result has a great importance for politicians, political parties, members of society. Vote is a chance which is given to citizens to express their opinions.

**ანანო ზირაქაძე, თეკლე კენტელაძე**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*პოლიტიკის მეცნიერება*
*ბაკალავრიატი, IV*
*სემესტრი*

## ქართულ-აფხაზური კონფლიქტი:
## კონფლიქტის ძირითადი ასპექტები და მოგვარების გზები

ხელმძღვანელი - **ეკა დარბაიძე**

ნაწილი 1.
საკითხის აქტუალურობა

კავკასიის რეგიონი ყოველთვის წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნიკური და კულტურული ჯგუფების დაპირისპირების ველს. კონფლიქტები კავკასიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მსოფლიო გამოწვევაა. არსებული საკითხის განხილვისას აუცილებელია ვახსენოთ საქართველო-აფხაზეთისკონფლიქტი.აფხაზეთისომი1992-1993წლებშიმიმდინარეობდა საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა ერთ ნაწილს შორის. დღეს აფხაზეთის რეგიონი, რომელიც საქართველოსგან დე ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე.

ნაწილი 2.
ძირითადინაწილი

არსებული საკითხის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით მივმართავთ კვლევის თვისებრივ მეთოდს, დოკუმენტების ანალიზს (შეთანხმებებს, მოლაპარაკებებს საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობას შორის, მთავრობის წარმომადგენლების განცხადებებს). ასევე სიღრმისეული ინტერვიუს საფუძველზე გამოვიკითხავთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების სტუდენტებს. კვლევის შედეგები დაგვეხმარება, განვსაზღვროთ, როგორ შეიძლება სიტუაციის ორივე მხარისათვის სასიკეთოდ შემობრუნება. მანამდე კი შემოგვთავაზებთ ჩვენს მოსაზრებებს აღნიშნული კონფლიქტის მოგვარების საკითხში:

- უპირველეს ყოვლისა, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია საქართველომ აირჩიოს დიპლომატიური კურსი რუსეთთან მიმართებით. საჭიროა, ვაწარმოოთ მოლაპარაკებები ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით.
- საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ უნდა მოხდეს სწორი ინფორმაციის მიწოდება. ასევე დადებითი შედეგის მომტანი იქნება, თუ ორივე მხარის წარმომადგენელი საჯარო პირები სწორ ინტერპრეტაციას გაუკეთებენ არსებულ სიტუაციას და სწორად შეაფასებენ მას.

ნაწილი 3.
დასკვნა

ღრმად გვწამს, რომ თუ ჩვენი მხრიდან რუსეთისა და აფხაზეთის მთავრობის მიმართ სწორი ნაბიჯები იქნება გადადგმული, საპასუხო რეაქციაც იქნება შესაბამისი - ეს ყველაფერი კი, საბოლოო ჯამში, მოგვიტანს სიტუაციის სტაბილიზაციას.

**Anano Zirakadze, Tekle Kenteladze**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Political Science*
*Bachelor's programme, IV semester*

## Georgian-Abkhazian Conflict: Fundamental Aspects and Ways of Settlement

Scientific supervisor – **Eka Darbaidze**

The Caucasus region has always been the confront place of different ethnical and cultural groups. Conflicts in the region of Caucasus is one of the most important world challenge. While we are talking about this issue we have to mention the Georgian-Abkhazian conflict. The war in Abkhazia was going during1992-1993, between the Georgian governmental army and separative groups of ethnic Abkhazians. Today, the region of Abkhazia which is using de facto independence from Georgia, is facing the hardest social and economic problems. Despite the self-announced independence, the region of Abkhazia is fully depended on the Russian federation.

For deeply researching the issue, we used qualitative analysis, analysis of documents (contracts, agreements, negotiations between Georgian and Abkhazian governments, Georgian strategy referring to Russia and Abkhazia, advertisements of Georgian ambassadors). Also we used depth interview with the students of political sciences, studying at Tbilisi State University. The results of researching will help us to define the ways how to make the situation for those sides profitable. Before that, we are going to suggest our opinions of resolving the conflict:

- To begin with, we think that it is crucial for Georgia to choose the diplomatic curse towards Russia. It is necessary to start negotiations with considering the interests of the both sides. Because of Georgia is small, while Russia is bigger and stronger in all directions, escalating the conflict is not suitable and profitable for them.
- The educational centers and the other ones should have be informed correctly about the Georgian-Abkhazian conflict. Also, it will be positive if the representatives of the both sides give the situation the right interpretation and estimate it correctly.

We deeply believe that, if from our side the right actions are realized towards the Abkhazian and the Russian government, we will receive the same attitude back. In the end, this actions will bring the situation stabilization.

**მამუკა ოქროპირიძე**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბიზნესის ადმინისტრირება*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

# ტერორიზმის თანამედროვე გამოწვევები

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **მალხაზ ჩიქობავა**

1. დღეს ტერორიზმისა და მისი გავრცელების ყველაზე ცხელ კერას ცენტრალური აზიის რეგიონი წარმოადგენს. სირიის კონფლიქტს ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. სამოქალაქო ომს სირიაში თან ახლავს არა ერთი ტერორისტული აქტი. დღეის მონაცემებით დაღუპულია 165 000 ზე მეტი ჯარისკაცი და ეს მაჩვენებელი კიდევ აგრძელებს ზრდას. მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი ჯერ ზუსტად დადგენილი არ არის.

2. დღეს უკვე შეიმჩნევა ტერორისტული აქტების ევროპაში „გადმონაცვლების" ტენდენცია. ამის მაგალითები უკვე არსებობს. 2015 წლის 7 იანვარს და ამავე წლის 14 ნოემბერს პარიზი 2–ჯერ გახდა ტერორისტების მთავარი სამიზნე, რამაც მთელი ევროპა დააფიქრა, რომ საჭიროა უკვე დღეიდან ვეძებოთ ტერორიზმთან ბრძოლის უფრო ეფექტური მეთოდები.

3. ტერორიზმი სამართლიანად ითვლება 21–ე საუკუნის ერთ–ერთ მთავარ გამოწვევად. ყველაზე მნიშვნელოვანია წამყვანი ქვეყნების ლიდერებმა მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილებები თუ როგორ ებრძოლონ ტერორიზმს თანამედროვე რეალობაში.

4. ცენტრალურ აზიაში მომხდარმა კონფლიქტმა გამოიწვია მოსახლეობის მიგრაცია ევროპაში. ევროპის მხოლოდ ერთეულმა (მაგალითად; გერმანიამ) სახელმწფოებმა გამოთქვეს სურვილი ამ ადამიანების თავიანთ ქვეყანაში მიღებისა. ქვეყანათა აბსოლიტურმა უმრავლესბამ უარი თქვა თავიანთ ქვეყანაში მიეღო ცენტრალური აზიიდან მომავალი ხალხი, რადგან ეს შეიცავს საფრთხეს ქვეყანაში ტერორისტებისა და ექსტრემისტების შემოდინებისა. ეს რასაკვირველია ეწინააღმდეგება ადამიანურ და ჰუმანურ პრინციპებს, რომ ადამიანი გაჭირვებში არ მივატოვოთ. ზემოდხსენებული დილემა დღეს ფართო განხილვის საგანია და რაც მთავარია მისი სწორად შეფასება და შემდეგ სწორი გადაწყვეტილების მიღება სახელმწიფოთა ლიდერების მხრიდან.

**Mamuka Okropiridze**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Business Administration*
*Bachelor's programme, VI semester*

# Modern Challenges of Terrorism

Scientific supervisor – Associate Professor **Malkhaz Chikobava**

1. Today the central Asian region is the hottest hub of terrorism and its spread. The Syrian conflict killed thousands of innocent people. Civil war in Syria is accompanied by not one terrorist act. According to the data, more than 165,000 soldiers have died and this indicator continues to grow. The victims of the peaceful population are not yet established.

2. Today, it has been observed a trend of terrorist acts in Europe "to be replaced". Examples are already there. On January 7, 2015 and November 14 of the same year, Paris was twice the main target of terrorists what made whole Europe think that it is necessary to look for more effective methods of combating terrorism.

3. Terrorism is considered to be one of the major challenges of the 21st century. Leading countries are to make rational decisions to combat terrorism in modern reality.

4. The conflict in Central Asia caused the population's migration. Only the European Union (e.g. Germany) have expressed their willingness to take these people into their country. The absolute majority of the country has refused to get people from Central Asia in their country because it may cause terrorists' and extremists' inflow in the country. Of course, this is contrary to human principles not to leave people in need. The above mentioned dilemma is a subject of broad consideration today and most importantly, it is correctly evaluated and then the right decision is made by the leaders of the state

**ნანა ნაჭყებია**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*პოლიტიკის მეცნიერება*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*
**სალომე გოშაძე**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## მაჰათმა განდი და კონფლიქტების მოგვარების არაძალადობრივი გზა

ხელმძღვანელი - **პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე**

1. მეოცე საუკუნე ცნობილია არა მხოლოდ ყველაზე სისხლისმღვრელი ომებით კაცობრიობის ისტორიაში, არამედ კონფლიქტების მოსაგვარებლად არაძალადობრივი გზების ძიებითაც. თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტების დასარეგულირებლად იზრდება დიპლომატიური მოლაპარაკების როლი, საერთაშორისო საზოგადოების და პოლიტიკური ორგანიზაციების ფუნქციები. არაძალადობრივი ბრძოლა ძალადობის გარეშე წარმოებული ომია, რომელსაც სტრატეგია და ტაქტიკა ესაჭიროება. სწორედ არაძალადობრივი მეთოდის გამოყენების და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის თვალსაჩინო მაგალითია მაჰათმა განდის მიერ ინდოეთში ათწლეულების განმავლობაში წარმოებული ბრძოლა. მეოცე საუკუნის თავისუფლების სიმბოლოდ მიჩნეულმა მაჰათმა განდიმ უსამართლობას დაუპირისპირა მოქმედება ძალადობის გარეშე და ინდოეთს დამოუკიდებლობა უომრად მოაპოვებინა.

2. აღნიშნული თემის **მიზანია,** ინდოეთის მაგალითზე წარმოვაჩინოთ არაძალადობრივი ბრძოლის მეთოდების როლი კონფლიქტების დარეგულირებაში. გადავწყვიტეთ, საკითხის შესასწავლად გამოგვეყენებინა თვისებრივი **კვლევის მეთოდი,** კერძოდ, კონტენტანალიზისა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე განვსაზღვრავთ თემის აქტუალობას შემდეგი კრიტერიუმებით:

- რა თავისებურებებით ხასიათდებოდა ბრიტანეთ-ინდოეთის კონფლიქტი;
- მაჰათმა განდი - არაძალადობრივი ბრძოლის - სატიაგრაჰას - ფუძემდებელი;
- თანამედროვე მსოფლიოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაჭრის მნიშვნელობა.

3. აღნიშნული თემის შესწავლა გვაძლევს საშუალებას ვისაუბროთ, კონფლიქტების დარეგულირებაშიარაძალადობრივიმეთოდებისდამკვიდრებისშესახებ. დღევანდელ დროშიც მრავალი მოღვაწე ითვალისწინებს მაჰათმა განდის მსოფლმხედველობას.

4. ადამიანები უძველესი დროიდან ოცნებოდნენ, შეექმნათ ისეთი სახელმწიფო, რომელშიც იცხოვრებდნენ თანამშრომლობისა და არაძალადობის პრინციპით. დღეს, როდესაც კაცობრიობას ემუქრება სხვადასხვა სახის კატასტროფები, სახელმწიფო მოღვაწეებს აღარ აქვთ უფლება, გააგრძელონ პრობლემების ძალისმიერი გადაწყვეტა, რადგანმსოფლიოისტორიამდაგვარწმუნა, რომომიარარისპრობლემებისმოგვარების

გზა. ჩვენ 21-ე საუკუნეში დავდექით ალტერნატივის წინაშე: ან უნდა ავირჩოთ ომი, ძალადობა, ან საზოგადოების განვითარების ახალი პოლიტიკური თეორია - არა ძალადობა.

**Nana Nachkebia**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Political Science*
*Bachelor's programme, IV semester*
**Salome Goshadze**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Journalism and Mass Communication*
*Bachelor's programme, IV semester*

## Mahatma Gandhi and the Nonviolent Ways to Regulate Conflicts

Scientific supervisor – **Professor Malkhaz Matsaberidze**

1. The twentieth century is known not for only the bloodiest warfares in the history of humankind, but also for searching the nonviolent ways of resolving conflicts. In the twentieth century, the approach of the society to conflicts changed what has greatly influenced the political processes. The role of diplomatic negotiations, the functions of the international community and political organizations are increasing in order to regulate conflicts in the modern world. In fact, they try to establish nonviolent principles. On the other hand, nonviolent struggle with certain parameters is a war without violence which requires planning, strategy and tactics. A clear example of the use of nonviolent methods and the peaceful resolution of the political conflicts is the Mahatma Gandhi's decade-long struggle in India which eventually forced the British Empire to refuse India's occupation.

2. Mahatma Gandhi, regarded as the symbol of freedom of the twentieth century, opposed injustice with nonviolent actions thus regaining the independence of India without war.

3. The objective of the aforementioned topic is to demonstrate the role of nonviolent fight methods on India's example of conflict resolution. We decided to use the qualitative research method to analyze the issue, namely based on the content analysis and comparative analysis defining the urgency of the topic according to the following criteria:

   - What are the peculiarities of the British-India conflict?
   - Mahatma Gandhi - the founder of Satyagraha, the nonviolent struggle;
   - The importance of resolving conflicts peacefully for the security and stability of the modern world.

4. The study of this topic allows us to talk about establishing nonviolent methods in conflict resolution. Even nowadays, many political and public figures consider Mahatma Gandhi's worldview and views. People from ancient times dreamt about forming the state where love, collaboration and nonviolence would be the main principles. Today, when the humanity is threatened by ecological, economic and other disasters, politicians, state figures no longer have the right to continue solving regional and ethnic problems in a forceful, violent way, because the history of civilization has convinced us that war is not the way to solve problems. We have

faced alternative in the 21st century: we have to choose either war, violence, or a new political theory of the society development - nonviolence.

**ზურაბ მეწაღარიშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*პოლიტიკის მეცნიერება*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

**სომხეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკების შედარებითი ანალიზი**

ხელმძღვანელი - **პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე**

1. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, ყოფილმა მოკავშირე რესპუბლიკებმა გარდაქმნის სამიეტაპიგანვლეს,ესენია:მოკავშირერესპუბლიკიდან-სუვერენულსახელმწიფომდე, ტოტალიტარიზმიდან - მეტ-ნაკლებად დემოკრატიული რეჟიმებამდე და ბოლოს გეგმიური, ცენტრალიზირებული ეკონომიკიდან - საბაზრო ეკონომიკამდე, თუმცა, რასაკვირველია, თითოეულმა მათგანმა მეტ-ნაკლებად განსხვავებული ეკონომიკური განვითარების გზა აირჩია, ნაწილმა მსოფლიო ბანკისა და სხვა საფინანსო ორგანიზაციების მიერ რეკომენდირებული ე.წ. „შოკური თერაპიის" გზა მოიწონა, რაც სწრაფ პრივატიზაციასა და ეკონომიკის დარგების ძირეულ რეფორმას გულისხმობდა, ნაწილმა კი (განსაკუთრებით შუა აზიურმა ქვეყნებმა და ბელორუსიამ) მნიშვნელოვნად დატოვა სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში. ყოფილმა მოკავშირე რესპუბლიკებმა გამომდინარე არსებული შრომითი თუ ბუნებრივი რესურსებისა, განვითარების სამრეწველო, სანედლეულო ან სერვისული მოდელი აირჩიეს, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის სამხრეთ კავკასიური ქვეყნები, იძულებული გახდა მიგრაციული მოდელის ტიპის ეკონომიკებად ქცეულიყვნენ, ეს განსაკუთრებით საქართველოსა და სომხეთისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა აზერბაიჯანშიც, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სანედლეულო სექტორი, მაინც დიდია შრომითი ემიგრაცია თურქეთსა და რუსეთში.

2. გამომდინარე იქედან, რომ სომეთი და აზერბაიჯანი ჩვენს რეგიონში მდებარეობენ, მნიშვნელოვანია მათი ეკონომიკების გავლენა ქართულ ეკონომიკაზე, გარდა ამისა საქართველო ამ ორი ქვეყნისთვის ერთგვარ სატრანზიტო სივრცეს წარმოადგენს, რაზეც თავის მხრივ ზემოაღნიშნული ეკონომიკები არიან დამოკიდებულნი, ამდენად იკვეთება კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება, რაც ხაზს უსვამს აღნიშნული საკითხის აქტუალურობას.

3. კვლევის მიზანია მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების მიერ მოწოდებულ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით ერთმანეთს შევადარო სომხეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკური მახასიათებლები, ასევე გავაანალიზო ისტორიული მოვლენები, პარლამენტების მიერ მიღებული აქტები და დავადგინო ეკონომიკის განვითარების რა ლოგიკური დინამიკა შეიმჩნევა დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე, რათა დადგინდეს (1) თუ რა მოდელია ეკონომიკური გადასვლის შემდეგ თითოეულ ქვეყანაში,(2) რა როლს ასრულებს სახელმწიფო და კერძო სექტორი ეკონომიკაში და (3) ზოგადად როგორია ეკონომიკური პოლიტიკა. ასევე ყურადღება დაეთმობა მთიანი ყარაბახის საკითხს, ევრაზიულ კავშირს, სავაჭრო პარტნიორებს, საგარეო ვალს, მთლიან შიდა პროდუქტს, საგარეო და საშინაო ინვესტიციებს, ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს და დემოგრაფიულ მონაცემებს, რადგან აღნიშნული ფაქტორები დიდ გავლენას ახდენენ ეკონომიკაზე.

4. კვლევა ეფუძნება თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს, გამოყენებულია სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტების/მეჯლისის მიერ მიღებული აქტები, მთავრობის დადგენილებები, სტატისტიკის სამსახურების მონაცემები და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული მონაცემები.


**Zurab Menagarishvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Political Science*
*Bachelor's programme, VI semester*


## Armenian and Azerbaijani Economies - Comparative Analysis

Scientific supervisor – Professor **Malkhaz Matsaberidze**

1. After the collapse of the Soviet Union, the former union republics passed three phases of transformation, such as transformation from union republics to the sovereign states, from totalitarianism to more or less democratic regimes, and finally, from planned, centralized economy to market economy. Although, each of them indeed chose more or less different ways to develop their own economy, some of them chose "the shock therapy" recommended by the World Bank and other international financial organizations based on rapid privatization and fundamental reforms of economy. Others, particularly central Asian countries and Belarus, kept state role in the economy. Former union republics according to their labor and resource potential adopted industrial, natural-resource-based or service economic models, but some of them, including south Caucasian countries, had to become the emigrant-based economies. This model is especially characteristic for Georgia and Armenia. Azerbaijan has a NR-based economy, but there are still a lot of people who are labor emigrant in neighbor countries – Turkey and Russia.

2. Hence Armenia and Azerbaijan are located in our region, the impact of their economies on Georgian economy is significant. Besides, for their part, those economies depend on Georgian transit routes, and this complex economic interdependence emphasizes the urgency of the stated problem.

3. Based on the official data provided by world financial institutions and governmental agencies, the research aims to compare the economic conditions and situations in Armenia and Azerbaijan, as well as, analyzing historical events, acts adopted by parliaments, and the logical dynamics of the development of economies from the restoration of independence up today. The work determines: (1) which economic model is formed after transition in each country, (2) how big is the state or private sector' role in economy and (3) what the economic policy is in general. It is also focused on the issue of Nagorno-Karabakh, Eurasian union, trade partners, foreign debt, gross domestic product, foreign and domestic investments, natural resources and demographic data of the countries because these factors influence the economy.

4. The survey is based on the comparative analysis of qualitative and quantitative data published by the Parliaments of Armenia and Azerbaijan, statistics services and international financial organizations and institutes.

**თეიმურაზ ზეჟანიძე, მარიამ გულიაშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*პოლიტიკის მეცნიერება*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## ევროპა ქართულ პოლიტიკაში - სახელისუფლებო დისკურსის ანალიზი 2003-2012 წლებში

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **ზვიად აბაშიძე**

1. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 26 წელია გასული, მაგრამ ქვეყანა დღემდე საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით რთული გამოწვევების წინაშე დგას. დემოკრატიზაციის პროცესი, როგორც ფენომენი, საქართველოს საზოგადოებისთვის უაღრესად აქტუალურია, არა მხოლოდ აკადემიური, თუ მეცნიერული კუთხით, არამედ სასიცოცხლო მნშვნელობისაა ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისითაც.

2. პოსტ-საბჭოთა საქართველოში, ისევე როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებში, განსაკუთრებით ,,ფერადი რევოლუციის“ შემდეგ პოლიტიკური სისტემის სტრუქტურული ტრანსფორმაცია დაიწყო, დემოკრატიზაციას თან ახლდა ევროპეიზაცია. მთავარი პრინციპი რასაც სახელისუფლებო ელიტები ემყარებოდა იყო ეროპის დისკურსზე ექსკლუზიური უფლების მოპოვება, ქვეყნის ევროპული განვითარება, პოსტ-რევოლუციურ პერიოდში სახელისუფლებო პარტიასთან იგივდებოდა, შესაბამისად ჰეგემონური ხდება ევროპის ნორმატიულობის იდეა, თუმცა განსხვავებულია ინტერპრეტაციათა სისტემა, რა იგულისხმება კონკრეტულად ევროპაში? ევროპული პოლიტიკური და სოციალური სისტემა, რომელიც დემოკრატიული და სოციალური კეთილდღეობის იდეას ეფუძნება თუ ევროპა, რომელიც სინგაპურის ნეოლიბერალურ ეკონომიკას და მინიმალურ სახელმწიფოს გულისხმობს.

3. კვლევის მიზანია შევისწავლოთ ევროპის, როგორც პოლიტიკური დისკურსის ტრანსფორმაცია საქართველოში 2003 წლიდან 2012 წლამდე და გამოვკვეთოთ რა იგულისხმებოდა ,,ევროპულ სახელმწიფოში“ კონკრეტულ პოლიტიკურ პერიოდში, როგორ მოხდა მისი ტრანსფორმაცია და როგორ უკავშირდებოდა ერთმანეთს ხელისუფლების გაცხადებული მიზანი მის მოქმედების გზებთან. კვლევა მეორადი მონაცემების ანალიზსა და შინაარსობრივ კონტენტ-ანალიზს მეთოდოლოგიას ეყრდნობა.

**Teimuraz Bezhanidze, Mariam Guliashvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Political Science*
*Bachelor's programme, VI semester*

## Europe in Georgian Politics – Analysis of the Political Discourse in 2003-2012

Scientific supervisor – Associate Professor **Zviad Abashidze**

1. It has been 26 years since Georgia restored the independence, but the country still encounters major challenges in internal affairs and foreign policy. The most crucial issue is the process of democratization which is important both from academic prospective and from civic and state development prospective.

2. In the Post-Soviet Georgia, like in Central and Eastern European countries, structural transformation of political systems started after the "color revolution". The democratization was accompanied by the process of Europeanization. The state elites tried to monopolize the discourse of Europeanization and took exclusive control over this narrative. The Europeanization process was attached to the post revolutionist government; the idea itself became totally hegemonic, but interpretations still stayed broad and diverse. The main problem lies in the question – what is meant in the term "Europe"? What are the social and political preconditions of the European system?

3. The research aims at studying transformation of the political discourse about Europe from 2003 till 2016, identifying the meaning of "European state", how it was challenged and what kind of interrelation exists between the final aims and the ways of its realization. The research is based on the analysis of the secondary data and the methodology of content analysis.

**ლელა ჯავახიშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*სოციოლოგია*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## ნატო = საქართველო, ახალი პერსპექტივები

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **კახა ქეცბაია**

1. თანამედროვე ეპოქაში აქტიურად განიხილება ისეთი თემა როგორიცაა, უმსხვილესი საერთაშორისო ორგანიზაციების როლი პატარა ქვეყნების ცხოვრებაში. დროის სვლასთან ერთად, თავის მნიშვნელობას არ კარგავს საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი, რაც მნიშვნელოვან მიზეზს გვაძლევს, თვალი ვადევნოთ აღნიშნული ორგანიზაციის თითოეულ აქტივობას და კომპლექსურად შევისწავლოთ ჩვენკენ მომართული მკაფიო მესიჯები. ამ მხრივ, ბოლო დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, ნატოს ვარშავის სამიტის კომუნიკე, რომელშიც სამი პუნქტი ცალსახად საქართველოს ეხება.

2. კომუნიკეს 111-ე მუხლში საუბარია საქართველოს კონტრიბუციაზე ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში და ავღანეთის მხარდაჭერის მისიაში. რაც შეეხება 112-ე პუნქტს, იგი ხაზს უსვამს, მოკავშირე ქვეყნებიდან 30-ზე მეტი ექსპერტის მხარდაჭერას საქართველოსთან თანამშრომლობაზე. აქვე აღნიშნულია, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერებასა და ნატო-საქართველოს ყოვლისმომცველი პაკეტის განხორციელებაში მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესზე.

3. 113-ე პუნქტის მიხედვით, ნატო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში, კიდევ ერთხელ ადასტურებს და პოზიტიურად აფასებს, საქართველოს არააგრესიულ საპასუხო პოლიტიკას, რუსეთთან მიმართებით. აქვე გაჟღერებულია, მოწოდება რუსეთის მიმართაც, რომ გაუქმდეს საქართველოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების დამოუკიდებელ სახლმწიფოდ აღიარება და გაყვანილ იქნას შეიარაღებული ძალები ტერიტორიიდან.

4. ამ პუნქტებიდან გამომდინარე ჩანს, კომუნიკეს მნიშვნელობა, რის გამოც, საჭიროდ მივიჩნევ, კონფერენციის ფარგლებში სიღრმისეულად ვისაუბრო ზემოთ განხილულ საკითხებზე - ამ სამ და დამატებით 24-ე, 110-ე პუნქტებზე, რომლებიც არანაკლებ ყურადსაღებია. თემის საკვლევად გამოვიყენე თვისებრივ სოცოციალური კვლევის მეთოდი, კერძოდ - დოკუმენტების ტრადიციული ანალიზი, რის საფუძველზეც შევეცდები განვიხილო ზემოთ აღნიშნული პუნქტები, გამოვიტანო დასკვნები და ვისაუბრო შემდგომ პერსპექტივებზე.

**Lela Javakhishvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Sociology*
*Bachelor's programme, VI semester*

## NATO - Georgia, New Prospects

Scientific supervisor – Associate Professor **Kakha Ketsbaia**

1. In modern society it is actively discussed how important role international organizations have in the life of small counties. "NATO" is still topical what makes us watch attentively every activity of this organization. Nowadays, one of the most important documents is "Warsaw Summit Communique" where in fact 3 paragraphs refer to Georgia.

2. The paragraph 111 is about the progress of Georgia since 2008. In this paragraph NATO appreciates those significant and continuous contributions that Georgian people made to their shared security.

3. The paragraph 112 emphasizes the fact that more than 30 experts from allied and partner countries are supporting cooperation with Georgia. There is also mentioned one very important fact: "We have agreed additional practical ways to intensify efforts, including support to Georgia's crisis management capabilities ….. in strategic communications". In the paragraph 113, "NATO" welcomes Georgia's commitment not to use force and call on Russia to reciprocate.

4. All of these paragraphs show dependence of "NATO", because besides these 3 paragraphs, there is another paragraph related to Georgia. By means of the qualitative research, I have made traditional analysis of documents on the basis of which I will try to discuss the mentioned paragraphs, make conclusions and talk about prospects.

**ნინო ზარანდია**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*პოლიტიკის მეცნიერება*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*
**ლელა ბეჟუაშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*საერთაშორისო ურთიერთობები*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## ოფშორული სამყარო და პოლიტიკური კორუფცია: პანამის დოკუმენტები

ხელმძღვანელი - პროფესორი **ალექსანდრე კუხიანიძე**

1. „პანამის დოკუმენტები" („პანამაგეითი") კონფიდენციალური ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების გაჟონვას უკავშრდება, რომელიც იურიდიული კომპანია Mossack Fonseca-ს გარშემო შეიქმნა. დოკუმენტები გერმანულმა გაზეთმა Süddeutsche Zeitung-მა მიიღო ანონიმური წყაროსგან 2015 წელს. ერთი წლის განმავლობაში საერთაშორისო ჟურნალისტთა სპეციალური ჯგუფი აშშ-ს არაკომერციული ორგანიზაციის CPI-ის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ იკვლევდა მიღებულ დოკუმენტებს. გამოძიების შედეგები მხოლოდ 2016 წლის 3 აპრილს გასაჯაროვდა. დოკუმენტების გამოძიების შედეგები 1977-2015 წლების პერიოდს მოიცავენ და გამოქვეყნებული შედეგების ძირითად თემატიკას პოლიტიკოსთა გადამალული ქონების მხილება და ამ ფაქტებთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი იყო.

2. მთავარ საკვლევ კითხვას წარმოადგენს ის, თუ რა კავშირი აქვთ ოფშორულ იურისდიქციებს პოლიტიკურ კორუფციასთან პანამის დოკუმენტების საქმის მიხედვით. შესაბამისად, დამოუკიდებელი ცვლადი არის ოფშორული იურისდიქციები, ხოლო დამოკიდებული-პოლიტიკური კორუფცია. კვლევის მიზანია პანამის დოკუმენტების გამოძების საფუძველზე იმის დადგენა, თუ რამდენად ლეგალურ საქმიანობას ეწევიან ოფშორული ორგანიზაციები, რა მექანიზმებით ხორციელდება მათი საქმიანობა, რა საერთაშორისო რეპუტაციით სარგებლობენ კომპანიის კლიენტები და ამასთან, რა კონკრეული კავშირები არსებობს ოფშორულ სამყაროსა და პოლიტიკურ ფიგურებს შორის.

3. კვლევაში გამოყენებული იქნება როგორც რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შევეცდებით პასუხი გავცეთ მთავარ საკვლევ კითხვას. ასევე გამოვიყენებთ მეორადი მონაცემების, კერძოდ, ექსპერტთა და ანალიტიკოსთა მოსაზრებების ანალიზს.

**Nino Zarandia**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Political Science*
*Bachelor's programme, VI semester*
**Lela Bezhuashvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*International Relations*
*Bachelor's programme, VI semester*

## Offshore World and Political Corruption: Panama Papers

Scientific supervisor – Professor **Aleksandre Kukhianidze**

1. The "Panama Papers" ("Panamagate") are leaked documents which contained confidential information of offshore entities. The documents belonged to the Panamanian law firm Mossack Fonseca. German newspaper "Süddeutsche Zeitung" received them in 2015. A special team of international journalists under the direct supervision of the US nonprofit organization CPI studied leaked documents for a year. After one year of analysis, the results of investigation were published on April 3, 2016. Basically, the results of investigation included revelation of politicians' hidden property and conflicts of interests related to this fact, during the period of 1977-2015.

2. The main research question concerns the connection between offshore jurisdictions and political corruption. Therefore, an independent variable is offshore jurisdictions and political corruption - dependent variable. According to the Panama Papers' case, the research aims to determine legality of offshore organizations' activities, mechanisms of their implementation, international reputation of their clients and also, connections between offshore companies and political figures.

3. The methodology framework of this paper is based on quantitative research methods. In particular, the researcher examines the phenomenon through observation in numerical representations and statistical analysis. Besides, the research contains the analysis of the experts' opinions.

**ლილე მიქაძე**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*პოლიტიკის მეცნიერება*
*ბაკალავრიატი, II სემესტრი*

## სოციალური მოძრაობები სამხრეთ კავკასიაში

ხელმძღვანელი - პროფესორი **მალხაზ მაცაბერიძე**

1. აქტუალობა: ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე უმნიშვნელოვანესი აქტორი გახლავთ სამოქალაქო საზოგადოება. სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა, მისი აქტივიზმი და მისი მდგომარეობა განსაზღვრავს ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხს. სამოქალაქო საზოგადოების აქტივიზმის გამოვლინება გახლავთ სოციალური მოძრაობების ფორმირება. ერთ-ერთი მეოცე საუკუნის მსოფლიოს პოლიტიკის ისტორიაში სოციალურ მოძრაობებს გადამწყვეტი ადგილი ეჭირათ. ისინი ხდებოდნენ, ხშირ შემთხვევაში, ხელისუფლების შეცვლის მიზეზნიც. განსხვავებულია მათი ფორმა, ზომა, მიზნები, აგრეთვე ბუნება, სოციალური მოძრაობა შეიძლება იყოს რევოლუციური, ალტერნატიული, რეფორმატული. საინტერესოა, რა ხდება ამ მხრივ ჩვენს რეგიონში.

2. მიზანი: კვლევა მიზნად ისახავს, შეისწავლოს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რა როლს თამაშობს სოციალური მოძრაობები, რა დოზითაა ისინი წარმოდგენილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რა ტიპის სოციალური მოძრაობები არსებობს, რა განსხვავებაა მათი პროტესტის თემებსა და ფორმებს შორის. როგორია მათ მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება

3. მეთოდოლოგია: კვლევის მიზნიდან გამომდინარე მონაცემებად გამოყენებულ იქნა მეორეული წყაროები, სტატიები, რომლებიც აღწერენ სხვადსხვა სოციალურ მოძრაობებს: მაშტოცის პარკისთვის, მოსკოვის კინოთეატრის ღია დარბაზისთვის სომხეთში, ტეგუტის ტყისთვის, საპენსიო სისტემისთვის, აგრეთვე აზერბაიჯანში მოძრაობა NIDA, OLI. მოპოვებული მონაცემები დამუშავდა შედარებითი ანალიზისა და დისკურსის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

**Lile Mikadze**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Political Science*
*Bachelor's programme, II semester*

## Social Movements in the South Caucasus Region

Scientific supervisor – Professor **Malkhaz Matsaberidze**

1. Topicality: Social movements have very important role in developing democracy in the state. They have been main actors of modern world history. Social movements were able to change political elites in many countries. They are different with their forms, aims, character; sometimes they are revolutionary, alternative or reformative. It would be interesting to find out what is happening in our region, south Caucasia, what kind of social movements we have.

2. The aim of the research is to study social movements in South Caucasian countries: Georgia, Armenia and Azerbaijan. It is interesting to find out how social movement make impact on political lives of these countries.

3. Methodology: considering the aim of the research I have chosen case studies of Mashtots Park social movement, movement for pension policy, also NIDA and OLI. For analyzing the data I used the comparative and critical discourse analysis methods.

**ხატია ტერტერაშვილი, წათია ლევიძე**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*პოლიტიკის მეცნიერება*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ურბანულ პოლიტიკაში

ხელმძღვანელი - პროფესორი **მალხაზ მაცაბერიძე**

1. მცირე ისტორიული რაკურსი: თითქმის 26 წელია, საქართველო სრულიად ახალ ისტორიულად უპრეცედენტო პირობებში არსებობს. სოციალურ -პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ძვრებს, მრავალი სფეროს ხელახალი გააზრება და სტრუქტურირება მოჰყვა. ამგვარ სფეროთა რიგს მიეკუთვნება სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება და მათი გააქტიურება ურბანულ პოლიტიკაში ჩართვის კუთხით.

2. რას გულისხმობს ურბანული პოლიტიკა: ურბანული პოლიტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფოში ქალაქების განვითარებისა და ფორმირებისათვის. იგი ძირითადად მიმართულია ეკონომიკისა და ბაზრის რეგულირებისაკენ, თუმცა, გარდა ამისა ურბანული პოლიტიკა მიზანმიმართულად ანაწილებს საზოგადოებაში არსებულ რესურსებს და ხდის მას ყველსსათვის ხელმისაწვდომს. არსებული სფერო მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, ჯანდაცვა, ეკოლოგია და სხვა. ამ საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალიდან ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ურბანული პოლიტიკის

განვითარებაზე გარემოს დაცვის კუთხით და ვიკვლევთ იმ ასპექტებს თუ რა როლი აქვს სამოქალაქო საზოგადოებას ურბანული პოლიტიკის დაგეგმვაში.

3. „მითხარი რამე და მე დავივიწყებ, მაჩვენე რამე და შესაძლოა დამამახსოვრდეს, ჩამრთე და დამამახსოვრდება“ – კონფუცი. მონაწილეობა დაგეგმვაში, როგორც ურბანული განვითარების კონკრეტული სტრატეგია.

4. ბუნებრივია, როდესაც საუბარია ქალაქის მართვის პოლიტიკაზე და მასში ჩართულობაზე, ეს არ ეხება მხოლოდ ექსპერტებს, სპეციალისტებს ან სამთავრობო ორგანოებს. ურბანული განვითარება გულისხმობს მუდმივ უკუკავშირს მოქალაქეებისგან. ნაშრომში დეტალურად განვიხილავთ ბოლო წლების სამოქალაქო ატივობის სახეებს გარემოს დაცვის კუთხით, მასშტაბებს და გავლენას პოლიტიკის ფორმირებაში.

5. პარტიზანული მებაღეობა საქართველოში, როგორც ურბანულ პოლიტიკაში ჩართულობის ფორმა.

**Khatia Terterashvili, Natia Levidze**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Political Science*
*Bachelor's programme, VI semester*

## Involvement of Civil Society in Urban Policy

Scientific supervisor – Professor **Malkhaz Matsaberidze**

1. Historical discourse: It has been almost 26 years that Georgia is being in all new conditions which has no historical precedent. Social-Political or economic movements have been followed by restructuring lots of different fields. One of these fields is the formation of civil society and its strong involvement in urban policy.

2. What does urban policy mean? Urban policy is one of the most important factors for developing and formatting cities of the country. It is mostly aimed to regulate economy and market but, except for that, urban policy contributes to the recourses of the society and makes them available for everyone. The existing field includes the matters such as environment protection, transport, health care, ecology, etc. From the issues above mentioned, we will mainly focus on the development of urban policy in terms of environment protection and examine the influence that civil society has on planning of urban policy.

3. “Tell me something and I'll forget it, show me something and maybe I'll remember it, involve me and I will remember it,” – Confucius. Taking part in planning, as a particular strategy of urban policy.

4. It is clear that when we talk about the policy of city management and its involvement, it does not concert only experts, specialists or Government branches. Urban development includes constant feedback from citizens. This paper discusses all civic activities of the last years con-

cerning environment protection and their influence on policy formation.

5. To sum up: “Partisan Gardening” In Georgia as a sort of involvement in urban policy.

**თამარ ჩითინაშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*პოლიტიკის მეცნიერება*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

## გადატვირთული თბილისი და ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები - საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა

ხელმძღვანელი - პროფესორი **მალხაზ მაცაბერიძე**

1. ბოლო წლებში ტრანსპორტის სიმჭიდროვის გაზრდის შედეგად თბილისი მწვავე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ამ პრობლემებით დაინტერესება ასე თუ ისე იგრძნობა, ხშირად პრევენციული მოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ჩარევის დონეს არ სცილდება. რა თქმა უნდა, არსებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და დღევანდელ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა ვითარების გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა (ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა და დადებითი შედეგებიც გამოიღო), მაგრამ პრობლების მხოლოდ ტექნიკურ დონეზე ხედვა არ არის საკმარისი და უმეტესად მოკლევადიან გამოსავალს გულისხმობს. გზის საფარის, შუქნიშნების და გამყოფი ბარიერების მოწყობა ხშირად უხარისხოდ და ნაჩქარევად ხდება, ისიც ძირითადად ცემტრალურ გზებზე ხორციელდება, მაგრამ ეს მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია.

2. ამ საკითხის განხილვისას პირველ რიგში უნდა განისაზღვროს რაში გამოიხატება ურბანულ სივრცეში ტრანსპორტის სიმჭიდროვით გამოწვეული პრობლემები:
   - თავისუფლად გადაადგილების შეფერხება;
   - გამონაბოლქვით ჰაერის დაბინძურება;
   - ხმაური ქალაქში;
   - ვიზუალური დაბინძურება;
   - ავტო სადგომების პრობლემა;
   - ავტო ავარიების გაზრდილი რისკი;
   - ქვეითთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა;

3. გადავწყვიტე, სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე შემესწავლა თბილისის ურბანულისატრანსპორტოპოლიტიკა.ზემოთჩამოთვლილპრობლემათათვისებრივი კონტენტ-ანალიზისა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვიკვლევ, მათ აქტუალურობას შემდეგი კრიტერიუმებით:
   - რა როლი აქვთ სამთავრობო სტრუქტურებს ქალაქის ურბანული სატრანსპორტო პოლიტიკის განვითარების პროცესში;
   - რა როლი აქვს საზოგადოებას ქალაქის ურბანული სატრანსპორტო განვითარების

პროცესში;
- რამდენად იზიარებენ ისინი პასუხისმგებლობას და იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- რა ინიციატივებით გამოდიან ცვლილებების მოსახდენად;
- რამდენადაა უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი სივრცე და ქვეითთა უფლებების დაცვა;
- როგორია ურბანული სატრანსპორტო პოლიტიკა შშმ პირთა მიმართ

4. არსებული საკითხის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით მივმართავ კვლევის თვისებრივ მეთოდს, კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუს საფუძველზე გამოვიკითხავ სტუდენტებს, რომლებსაც ხშირად უწევთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებს, პარკირებაში დამხმარეებს. ვფიქრობ, რომ აღნიშნული პირები კომპეტენტურნი არიან საკვლევ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამის შედეგზე გამიყვანენ. კვლევის შედეგები დაგვეხმარება, განვსაზღვროთ, რა დონეზეა და რა გამოწვევების წინაშე დგას თბილისის ურბანული სატრანსპორტო პოლიტიკა დღეს. დასკვნით ეტაპზე შემოგთავაზებთ გადაჭრის გზებსა და რეკომენდაციებს. ჩემი აზრით, ქალაქის სატრანსპორტო განვითარებისთვის აუცილებელია პოლიტიკური ნების მზაობა, აქტიური, ინიციატივების მქონე საზოგადოება და ორმხრივი ურთერთობების არსებობა ამ ორ სუბიექტს შორის. ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნების არ არსებობის პირობებში კი, წარმოდგენილი ურბანული პრობლემებისა და მასთან ერთად სხვა მრავალი საკითხის გადაჭრა მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების განათლებით, სამოქალაქო აქტივიზმით, ჯანსაღი პოლიტიკური ძალის არსებობით და დემოკრატიული, რაციონალური არჩევნებით შეიძლება.

**Tamar Chitinashvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Political Science*
*Bachelor's programme, IV semester*

## Overloaded Tbilisi and Transport Related Problems – Georgia's One of the Important Challenges

Scientific supervisor – Professor **Malkhaz Matsaberidze**

1. In the last years while transport is overloaded in Tbilisi, the country and especially the city is facing acute problems. Despite the fact, that government is paying attention to the problems, the prevention never goes further than the infrastructural interference. I agree with the fact that it is very important for the infrastructure to be modern but the government should think about long-standing aims and goals.

2. While discussing the topic, we have to say what urban politic problems the city is facing:
   - The problem of free relocating and transporting;
   - Air pollution;
   - Noise in the city;
   - Visual pollution;
   - Car-parking problems;

- ➢ Grown risk of car-accidents;
- ➢ Relocating problems of pedestrians.

3. I have decided to conduct the qualitative analysis. I will make a research on the mentioned standards:

   - What kind of role does the government play in the urban politics;
   - What kind of role does the society play;
   - How are they analyzing the responsibility and taking part in the decision making process;
   - What are their initiatives;
   - Is the transport space safe for pedestrians or not?

4. I will conduct the interview research and ask questions to pedestrians, car-parking helpers and drivers. I think that this will help me to analyze Tbilisi urban politic system in the social direction. I will also talk about my recommendations. In my opinion, the government should firstly think about affective urban politics, but the society also should be more active and responsible.

**ნათელა ჯულაყიძე, ნათია ლილუაშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*პოლიტიკის მეცნიერება*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## თანამონაწილეობის ხარისხი დედაქალაქის მასშტაბით 2016–2017 წლებში

**ხელმძღვანელი – პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე**

1. ტრადიციის ეტაპზე მყოფი სახელმწიფოებისთვის, როგორ წესი დიდი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიის ისეთი ფუნდამენტური მახასიათებლის ჩამოყალიბებას, როგორიცაა საზოგადოების ინტერესებთან შესაბამისი ქმედებები გადაწყვეტილების მიმღები პირების მხრიდან ანუ მარტივად რომ ვთქვათ თანამონაწილეობის პრინციპის დაცვას, რაც ყველაზე კარგად ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ხდება, ვინაიდან ესაა უმოკლესი გზა, რომლითაც მოსახლეობას შეუძლია საკუთარი ხმა ხელისუფლებას მიაწვდინოს, ამიტომაც საინტერესოდ ჩავთვალეთ შეგვესწავლა რამდენად რეალიზებადია ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, კონკრეტულად დედაქალაქის მასშტაბით დემოკარტიის ეს უმნიშვნელოვანესი პრინციპი.

2. თბილისში თანამონაწილეობა შესაძლებელია რამდენიმე გზით: ერთი მხრივ საზოგადოების მონაწილეობა საკრებულოს სხდომებზე (ამის უფლებას საქართველოს კანონმდებლობა გვაძლევს), სადაც მოქალაქე საკუთარ პოზიციას აფიქსირებს, სვამს კითხვებს და აყენებს მისთვის მნიშვნელოვან საკითხებს დღის წესრიგში. მეორეს მხრივ მას შეუძლია ყოველკვირეულად თავისი უბნის მაჟორიტარ დეპუტატს ე.წ. შეხვედრის საათებზე განცხადებით ან ზეპირსიტყვიერად მიმართოს.

3. კვლევის ჩარჩო: ვიყენებთ თვისებრივ და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს- ჩავატარეთ ორი კვლევა: ოქმებისა და მიმართვიანობის გასაანალიზებლად

გამოვიყენეთ კონტენტანალიზი, ხოლო საზოგადოებრივი აზრის გამოსაკვლევად ჩავატარეთ თვითადმინისტრირებული ანკეტირება შემთხვევითი შერჩევით. უფრო კონკრეტულად დეტალურად შევისწავლეთ ამჟამნიდელი მოწვევის საკრებულოს სხდომების ანგარიშები 2014 წლიდან დღემდე. განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ იმ სხდომებზე რომელშიც შეინიშნებოდა საზოგადოების ჩართულობა, გამოვყოფთ კერძოდ რა საკითხთან მიმართებაშია საზოგადოება აქტიური. ასევე, ჩვენ ჩავატარეთ კვლევა მაჟორიტარ დეპუტატებთან მიმართვიანობის შესახებაც, სადაც ვდილობთ დავადგინოთ რა ტიპის განცხადებების სიმრავლე შეინიშნება უმეტესწილად და რამდენად ადეკვატურია მათი მოთხოვნა დეპუტატის კომპეტენციასთან მიმართებაში. გარდა ამისა ჩავატრეთ რაოდენობრივი კვლევაც და გამოვიკითხეთ მოსახლეობა დედაქალაქის მასშტაბით, თუ რამდენად აქვთ ინფორმაცია თანამონაწილეობის პრინციპთან დაკავშირებით, რამდენად სარგებლობენ ისინი ამ უფლებით და რა საკითხებია მათთვის პრიორიტეტული, რომელთა განხილვის პროცესშიც საჭიროდ მიაჩნიათ საზოგადოების ჩართვა. აქედან გამომდინარე, შევეცდებით დავადგინოთ რამდენად შეესაბამება საზოგადოების მიერ დასახელებული პრიორიტეტული საკითხების ჩამონათვალი იმ საკითხებს, რომელთა განხილვებშიც უშუალოდ მონაწილეობდნენ გარეშე პირები(საკრებულოს არაწევრები) ანუ შეინიშნებოდა საზოგადოების გარკვეული ნაწილის აქტიურობა.

4. ჰიპოთეზა: ვივარაუდეთ, რომ საერთო მასშტაბით ინდივიდუალურ დონეზე თანამონაწილეობის მაჩვენებელი დაბალია, მოსახლეობა არაა გარკვეული სრულყოფილად საკუთარ უფლება-მოვალეობებში, ხოლო ადგილობრივ ორგანოებში ჩართულობის გარკვეულ ხარისხს ძირითადად ვიწრო ინტერეს-ჯგუფების ხარჯზე ვიღებთ და ფართო საზოგადოებრივი ფენა ამ კუთხით პასიურია.

**Natela Julakidze, Natia Liluashvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Political Science*
*Bachelor's programme, VI semester*

## The Degree of Involvement in the Capital in 2016-2017

Scientific supervisor – Professor **Malkhaz Matsaberidze**

1. For states that follow traditions, formation of a fundamental principle of democracy, such as the actions of decision-makers corresponding to public interest, or simply to say, following the involvement principle which is most well-done at the local self-government level is rather important. This is the shortest path whereby the population can give their voice to the government. Thus, it was interesting to see how realistic it is in our country, especially the principle of democracy across the capital.

2. In Tbilisi, participation is possible in several ways: on the one hand, public participation at local assembly sessions (the Georgian legislation gives us this right) where a citizen fixes his/her position, asks questions and puts his/her important issues on the agenda. On the other hand, a citizen can apply to the majoritarian MP of his/her district.

3. Research Framework: We use qualitative and quantitative methods of research - we conducted two researches: We used contents to analyze protocols and appeals and conducted

self-prescribed questioning with random selection. More specifically, we studied the reports of the current convocation council meetings from 2014 up to now. Special attention is paid to those sessions in which public involvement was observed, in particular towards which issue society is active. We have also conducted a survey of meetings with majoritarian MPs, where we identify how many types of applications are observed and, in particular, how adequate their demand is to the MPs competence. In addition, we conducted a quantitative study and surveyed the population in the capital, how much information they have about the principle of participation, how much they enjoy this right and what are the priorities they consider to involve the public in the process of consideration. Therefore, we will try to find out whether the list of priority issues identified by the society corresponds to the issues directly involved in the absence of persons (non-members of the council), or some activity of the society.

4. Hypothesis: we suggest that the level of involvement in the individual level is low, the whole population is not well aware in their own rights and obligations, and the degree of involvement in local level is mainly at the expense of narrow interest groups and the broader public layer is passive in this regard.

**ინგა ფუტკარაძე, ხატია იმერლიშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*პოლიტიკის მეცნიერება*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## ურბანული პოლიტიკა და მისი მთავარი აქტორი = პროტესტი

ხელმძღვანელი - პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

1. მონაწილეობითი ურბანული პოლიტიკის მნიშვნელოვან აქტორებს ურბანული მოძრაობები წარმოადგენენ. იგი გულისხმობს სოციალური მოძრაობის ერთ-ერთი ფორმას, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები ცდილობენ ურბანული გარემოს კონტროლს. სოციალური მოძრაობა ესაა სოლიდარობითა და საერთო მიზნებით გაერთიანებული ადამიანების კოლექტიური გამოწვევა ელიტების, ავტორიტეტების, სხვა სოციალური ჯგუფების ან სოციალური ნორმების მიმართ, ელიტებთან და ოპონენტებთან მდგრადი ინტეგრაციის ფორმით (McAdam, Tarrow, & Tilly, 2001).

2. ჩავატარებთ თვისებრივ კვლევას, რაც გულისხმობს დოკუმენტების ტრადიციულ კონტენტ-ანალიზს. კონტექსტურად გავაანალიზებთ წერილობით წყაროებს და შევეცდებით ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე ვაჩვენოთ, თუ რამდენად დიდ როლს ასრულებენ სახელმწიფო პოლიტიკის დღის წესრიგში სოციალური მოძრაობები, როგორც ურბანული პოლიტიკის გადამწყვეტი აქტორები.

3. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს შევისწავლოთ აქტიური ურბანული მოძრაობები და განვიხილოთ მათი სამოქალაქო აქტივიზმი ურბანულ კონფრონტაციულ ჭრილში. გარდა ამისა აქცენტს გავაკეთებთ თბილისში ურბანული პროტესტის გამოხატვის ფორმებსა და ვიზუალიზაციაზე და იმაზე თუ რა მიღწევები და გამოწვევები აქვთ აღნიშნულ მოძრაობებს ურბანულ პოლიტიკაში.

4. ვივარაუდეთ, რომ სოციალურ მოძრაობებს კავკასიაში არსებული ურბანული პოლიტიკის პრობლემების გადასაწყვეტად და სამოქალაქო მონაწილეობის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია ენიჭებათ.

5. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოს მსგავსი მოძრაობები გვხვდება სტამბულსა (გეზის პარკი) და ერევანშიც (მაშტოცის სკვერი). ყველა მათგანს საერთო მიზანი ამოძრავებთ - არსებული საქალაქო გარემოს შენარჩუნება, რაშიც იგულისხმება, როგორც მწვანე საფარის დაცვა, ასევე კულტურული მემკვიდრეობის სტატისუს მქონე ძეგლების დაცვა და ისინი ძირითადად აპოლიტიკურ მექანიზმებს წარმოადგენენ.

**Inga Putkaradze, Khatia Imerlishvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Political Science*
*Bachelor's programme, VI semester*

## Urban Policy and Its Main Actor - Protest

Scientific supervisor – Professor **Malkhaz Matsaberidze**

1. The main actors of urban policy are urban motions. It means one of the forms of the social movement which gives people a chance to control urban environment. Social movement is a collective challenge of people, united under solidarity and common goals, to elites, authorities, other social groups or social norms in the form of steady integration.

2. We will hold a discussion, qualitative analysis, which implies traditional content-analysis of documents and written sources. On the basis of these data, we will try to show the crucial role of social movements, as the main actors of urban policy, in governmental politics.

3. The main purpose our research is to study active urban motions and discuss their civil activism within the aspect of urban confrontation. Besides, we will focus on the forms and visualization of urban protest expressions existing in Tbilisi and on the achievements and challenges of social movements in urban policy.

4. We suppose that social movements play an important role and have a significant function in strengthening civil participation and solving the problems of urban policy existing in the Caucasus.

5. There is one fact which is interesting as well: we meet the similar movements in Istanbul and Yerevan. All of them have the same purpose - to keep the civil environment what implies protection of green cover as well as cultural monuments. They are mainly apolitical mechanism.

საერთაშორისო ურთიერთობების სექცია

Section of International Relations

**ირინა მამულაშვილი**
*საქართველო*
*საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი*
*საერთაშორისო ურთიერთობები*
*ბაკალავრიატი, II სემესტრი*

## ნაციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში

ხელმძღვანელი - **ჯეფ მორსკი**

1. ნაციონალიზმისპოლიტიკურიხასიათისირგვლივმრავალიურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს. ერთის მხრივ, ნაციონალიზმი შეიძლება მოგვევლინოს როგორც პროგრესული და თავისუფლებისთვის მებრძოლი ძალა, რომელიც გვთავაზობს ეროვნული ერთობის პერსპექტივასა და დამოუკიდებლობას. მეორე მხრივ, ის შეიძლება იყოს ირაციონალური და რეაქციული კრედო, რომელიც უფლებას აძლევს პოლიტიკურ ლიდერებს ერის სახელით აწარმოონ სამხედრო ექსპანსიის პოლიტიკა და ომი.

2. სხვადასხვა დროს, ნაციონალიზმი იყო პროგრესული და რეაქციული, დემოკრატიული და ავტორიტარული, ლიბერალური და ტირანული, მემარცხენე და მემარჯვენე ფრთა. მიუხედავად სახესხვაობებისა, ყველანაირ ნაციონალიზმს აქვს ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანი - ყოველი მათგანი აცნობიერებს ერის ცენტრალურ პოლიტიკურ მნიშვნელობას.პრობლემას მაშინ ვაწყდებით, როცა „ერის“ განსაზღვრების საკითხი დგება.

3. პირველ რიგში, პოლიტიკური თუ კულტურული ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ „ერის“ მნიშვნელობის განსაზღვრისას? ნაციონალიზმის ხასიათი ასევე დამოკიდებულია იმ გარემოებებზე და პოლიტიკურ ვითარებებზე, რამაც უბიძგა კონკრეტულ ნაციონალიზმს აღმოცენებულიყო. მაშინ, როცა ნაციონალიზმი უცხოელი დომინანტებისა და კოლონიალური მმართველობის წინააღმდეგ მიმართული რეაქციაა, ის შვიდობისმყოფელი ძალაა და დემოკრატიასა და სამართლიანობას ესწრაფვის. როცა ნაციონალიზმი სოციალური დისლოკაციისა ან დემოგრაფიული ცვლილების შედეგია, მას ხშირად ჩაკეტილი და ექსკლუზიური ხასიათი აქვს და რასიზმს და ქსენოფობიას უწყოს ხელს. ნაციონალიზმი ყალიბდება მის მხარდამჭერთა პოლიტიკური იდეალებით.

4. გამოსავალი-მეტი ხიდი,საზოგადოება, სადაც ადამიანები უცნობებთან თანამშრომლობენ,, სადაც ერთიანობა მიიღწევა არა განსხვავებების ხარჯზე, არამედ განსხვავებების ერთმანეთთან დაკავშირებით.

**Irina Mamulashvili**
*Georgia*
*Georgian Institute of Public Affairs*
*International Relations*
*Bachelor's programme, II semester*

## Nationalism in the Modern World

Scientific supervisor - Jeff Morski

1. There are too many theories of nationalism. Is nationalism good or bad?! On the one hand, nationalism could be understood as a progressive and liberal force, which offers national unity and independence. On the other hand, it could be irrational and reactionary credo, which allows political leaders to make a decision on military expansion policy and a war on behalf of the nation.

2. In different times, nationalism was progressive and reactionary, democratic and authoritarian, liberal and tyrannical, left-wing and right-wing. Despite this variety, each kind of nationalism has one common feature – it realizes basic political sense. We always face a problem when we have to know the exact meaning of "nation".

3. At first, we should take into account any political or cultural factor when we try to determine "nation". Nationalism climate is based on certain circumstances and policy which pushed actually nationalism to originate. When nationalism is against colonial form of government, it is a liberal force yearning to fairness.

4. There is the only way out – society should collaborate with people unfamiliar to them.

**ვლადიმერ ქინძოძე**
*საქართველო*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*საერთაშორისო ურთიერთობები*
*მაგისტრატურა, II სემესტრი*

## რეალიზმის ახალი ტალღა საერთაშორსო ურთიერთობებში

ხელმძვანელი - პროფესორი **გიორგი ჩხიკვიშვილი**

1. კრიზისები ახალი ფენომენი არ არის თუმცა თუ ვინმეს ეგონა რომ პროგრესი შეუქცევადი პროცესია და ევროკავშირით ან ლიბარალური დემოკრატიების შექმნით მსოფლიო განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, ახლა თუ არა ძალიან მალე მოუწევს ახალრეალობასგაუსწოროსთვალი.ამისსაუკეთესომაგალითიააშშ-სახლადარჩეული პრეზიდენტის რადიკალური განცხადებები და მისი მიდგომა ემიგრანტებთან მიმართებაში. ტრამპის საპრეზიდენტო კამპანიის ყველაზე მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი იყო მისი აგრესიული რიტორიკა არალეგალური იმიგრანტების მისამართით. მან განაცხადა, რომ საჭიროა არალეგალური იმიგრანტების დეპორტაცია ამრიკიდან. ამჟამად ამერიკაში დაახლოებით 11 მილიონი არალეგალური იმიგრანტი იმყოფება.

2. კაცობრიობა ვერასოდეს მივა განვითარების იმ ეტაპზე, რომელზეც ომი როგორც მოვლენა აღარ იარსებებს და რაც მთავრია სამხედრო ძალა დაკარგავს მის მნიშვნელობას. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს:

   1) ადამიანის ბუნება კონფლიქტურია.

   2) კონკურენცია და ბრძოლა რესურსების გადანაწილებისათვის ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც ის რომ ადამიანი ჰაერით სუნთქავს.

   3) ერთი მხარე, რაც არ უნდა მონდომებული იყოს რომ მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყაროს მეორესთან, ვერ იქნება დარწმუნებული მეორე მხარის იგივე სურვილში. ამდენად, ის იძულებულია ჰქონდეს თავდაცვის საშუალებები, რომელზეც უკვე ვთქვით, რომ მხოლოდ არსებობაც კი განაპირობებს მოლოდინების სტრუქტურას.

3. ზემოთ განხილული მოვლენები კიდევ ერთხელ ცხადყოფს და ხსნის რეალიზმის ახალი ტალღის აღზევებას საერთაშორისო ურთიერთობებში. ლიბერალიზმი კიდევ ერთხელ მარცხდება რეალიზმის წინააღმდეგ. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და მალე ისეთი აშკარა გახდება, რომ თავად ლიბერალიზმის მომხრეებს მოუწევთ ამის აღიარება.

**Vladimer Kindzodze**
*Georgia*
*Georgian Technical University*
*International Relations*
*Master's programme, II semester*

## The New Wave of Realism in International Relations

Scientific supervisor – Professor **Giorgi Chkhikvishvili**

1. Crisis is not a new phenomenon but if someone thinks that progress is inconvertible and the world passed on to the new stage by establishing of EU or Liberal democracy, he/she will have to face new reality very soon. The best example of it is the current President of the USA and his radical statements, also his attitude to emigrants. The main determinant sign of Trump's presidential campaign was his aggressive rhetoric to illegal emigrants. According to his statements, it is important that the emigrants would be returned to their countries. Nowadays, in America, there are approximately 11 million emigrants.

2. The humankind will never reach the stage of development where war will not exist as a phenomenon and what is most important, military forces will lose their significance. There are some reasons for this:
   1) The nature of human being is conflictive.
   2) Rivalry and struggle for redistributing resources is as a natural process as the fact that a human can breathe.
   3) No matter how one side is willing to establish peaceful relations with another side, he/she cannot be absolutely sure in the same desire of another side. Thus, he/she is obliged to have the tools of self-defense.

3. The questions we talked about make it clear and explain the arising wave of realism in international relations. Liberalism once again defeats against realism. This process has already started and supporters of liberalism will have to admit it.

**ალისა სულამანიძე, მეგი ქავთარაძე**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*საერთაშორისო ურთიერთობები*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## ენერგეტიკული რესურსები, როგორც საგარეო პოლიტიკური ბერკეტი

ხელმძღვანელი - მოწვეული ლექტორი **კონსტანტინე შუბითიძე**

1. საერთაშორისო პოლიტიკაში დღითიდღე აქტუალური ხდება ისეთი საკითხი, როგორიც ენერგეტიკული უსაფრთხოებაა. სახელმწიფოები ენერგორესურსებს საგარეო პოლიტიკურ ბერკეტად იყენებენ. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა რუსეთი. მის ენერგოპოლიტიკას უდიდესი გავლენა აქვს საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ფორმირებისას. პოსტსაბჭოთა ქვეყნები 1991 წლიდან განსაკუთრებით განიცდიან რუსული ,,სუპერ ძალის'' გავლენას, რომელიც საფრთხეს უქმნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

2. ნაშრომის მიზანია: აჩვენოს, რომ ენერგეტიკული რესურსები თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში გამოიყენება, როგორც პოლიტიკური ბერკეტი, რომელსაც ხშირად სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო აქტორის როლის შესუსტებამდე მივყავართ. აღნიშნული თემის ირგვლივ ბევრი იწერება, მაგრამ მწირია სამეცნიერო გამოკვლევები უშუალოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მხრიდან რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შესახებ, ამიტომ კვლევის მიზანს არსებული ლიტერატურული ნაკლოვანების შევსეებაც წარმოადგენს.

3. ნაშრომის საკვლევი კითხვაა: რამდენად მოახერხეს პოსტრაბჭოთა ქვეყნებმამ (საქართველო, სომხეთი, ლიტვა) თანმიმდევრული ენერგოპოლიტიკის გატარება ,,გაზპრომზე'' ენერგეტიკული დამოკიდებულების შეცირების მიზნით. რუსეთისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების საგარეო ენერგეტიკული პოლიტიკა ახსნილია ნეოლიბერალიზმის საერთაშორისო დამოკიდებულების თეორიით.

4. კვლევის შედეგად, დადგინდა, რომ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ ვერ შეძლო დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება. საქართველომ და ლიტვამ ამას მიაღწიეს, რაც განპირობებული იყო ენერგო რესურსებით საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის გაძლიერებითა და გაზის ახალი ბაზრების ათვისებით. სომხეთში რუსულ გაზზე დამოკიდებულება უცვლელი დარჩა, რაც რუსეთს კვლავ დიდ პოლიტიკურ ბერკეტს აძლევს.

**Alice Sulamanidze, Megi Kavtaradze**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*International Relations*
*Bachelor's programme, VI semester*

## Energy Resources as Foreign Policy Leverage

Scientific supervisor - Invited lecturer **Konstantine Shubitidze**

1. Energy Security is becoming a more and more popular issue in the world politics. Countries use energy resources as foreign policy leverage very often. Russian energetic policy has enormous influence on international level when it comes to political and economic dependency. Russian great power has made a huge impact on the Post-Soviet countries since 1991 and is dangerous for energy security.

2. The main objective of the research paper is to show that energy resources, on international level, are used as political leverage that cause disorganization of countries' sovereignty. The second goal of the paper is to make fuller literature about the issue. There are too many researches about the topic, but scientific researches on the energy dependency of the Post-Soviet countries on Russia are rather scanty.

3. The research question is: How did the Post-Soviet countries manage to make consistent energy policy in order to reduce energy dependency on ''Gazprom''. The paper claims that the most convenient theory to explain the topic is the theory of Neoliberalism called International Dependency.

4. The research consequences: Every Post-Soviet country did not manage to become free from Russian Energy control. Lithuania and Georgia managed that by strengthening the trade of energy resources and affording to new markets of natural gaz. Energy dependency on ''Gazprom'' stays the same and even stronger in Armenia. That is the huge instrument for Russia to be a powerful actor in today's International System.

**ანნა ცქიტიშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*საერთაშორისო ურთიერთობები*
*ბაკალავრიატი, IV სემესტრი*
**შალვა თურქაძე**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*საერთაშორისო ურთიერთობები*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

# ევროკავშირის ეკონომიკური სანქციების გავლენა რუსეთის ეკონომიკაზე

ხელმძღვანელი - მოწვეული ლექტორი **კონსტანტინე შუბითიძე**

1. საკვლევი პრობლემა: 2014 წელს რუსეთმა დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები, რაც გამოიხატა ყირიმის ანექსიითა და აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტული ძალების მხარდაჭერით. აღნიშნულმა პროცესებმა დასავლურ ქვეყნებსა და რუსეთს შორის ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვია. 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ, ამ ქმედების საპასუხოდ, დასავლურმა ქვეყნებმა რუსეთს დაუწესეს სანქციები, რომლებიც 4 ეტაპად განხორციელდა. დღემდე დაუდგენელია, თუ რამ გამოიწვია რუსეთის ეკონომიკის ცვლილება 2014-2016 წლებში. ეს იყო ევროკავშირის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციების დამსახურება, თუ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის ვარდნა. კვლევის ფარგლებში ვეცდებით, გავამდიდროთ არსებული მეცნიერული ცოდნა და გავარკვიოთ, თუ რა გახდა აღნიშნული პრობლემის ძირითადი მაპროვოცირებელი მიზეზი. ვთვლით, რომ ნაშრომი საინტერესო იქნება საერთაშორისო ურთიერთობებით, ეკონომიკითა და პოლიტიკით დაინტერესებული ადამიანებისთვის.

2. კვლევის მიზანი: ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, თუ რა ცვლილება განიცადა რუსეთის ეკონომიკამ. ამის დასადგენად გამოვიყენებთ შემდეგ ინდიკატორებს:

   1)მშპ 2) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 3) ვალუტის კურსი 4) აქციების ფასები

მოცემული ინდიკატორების ცვლილებებს დავაკვირდებით 2010-2013 და 2014-2016 წლებში.

3. საკვლევი კითხვა: რა გავლენა იქონია ყირიმის ანექსიის შემდეგ ევროკავშირის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა რუსეთის ეკონომიკაზე?

   დამოუკიდებელი ცვლადი: ეკონომიკური სანქციები
   დამოკიდებული ცვალდი: რუსეთის ეკონომიკა

4. კვლევის აქტუალურობა: ყირიმის ანექსიის საკითხი ახლაც დგას საერთაშორსო პოლიტიკის დღის წესრიგში. ევროკავშირის მიერ დაწესებული სანაქციების

უმეტესობა ჯერ კიდევ მოქმედებაშია. ამავდროულად, რუსეთის ეკონომიკა კვლავ არასტაბილურია და მნიშვნელოვან რყევებს განიცდის.

5. კვლევის მეთოდოლოგია: ჩვენი კვლევის სტრატეგია არის თვისებრივი, კერძოდ, გამოვიყენებთ ქეისის შესწავლას. კვლევის მეთოდი არის მეორადი წყაროების ანალიზი. ინფორმაციის შეგროვებისას მოვიძიებთ მეორად წყაროებს: ინტერნეტში არსებულ სტატიებს, ნაშრომებს, სტატისტიკურ მონაცემებსა და გავაკეთებთ მათ ანალიზს, რაზე დაყრდნობითაც გავაკეთებთ დასკვნებს.

**Anna Tskitisvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*International Relations*
*Bachelor, IV semester*
**Shalva Turkadze**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*International Relations*
*Bachelor's programme, VI semester*

## Impact of the EU Economic Sanctions on Russian Economy

Scientific supervisor - Invited lecturer **Konstantine Shubitidze**

1. Research problem: In 2014, Russia violated international law with Crimea annexation and supporting separatist movements in eastern Ukraine. These actions raised tensions between western countries and Russia. In 2014, after annexation of Crimea, economic sanctions were introduced against Russia by western countries. There were 4 stages. It's still unclear what caused the change of Russian economy during 2014-2016, whether it was caused by the EU sanctions or falling of the oil prices. During the research process we will try to enrich the existing scientific knowledge and determine what caused the problem. We think that the work will be very useful for the people who are interested in international relations, economics and politics.

2. Research aim: Our aim is to find out the economic changes in Russia which will be determined by the following indicators.
   1. GDP 2. Foreign investments 3. Currency 4. Prices of stocks

   We will observe these indicators during 2010-2013 and 2014-2016

3. Research question: What was the impact of the EU economic sanctions on Russian economy after annexation of Crimea?
   Independent variable: economic sanctions
   Dependent variable: Russian economy

4. Topicality of the research: Annexation of Crimea still remains in the global agenda. Most of the EU economic sanctions are in action. Furthermore, Russian economy is yet unstable and inconsistent.

5. Research methodology: Our research is qualitative, in particular, we will use case study. The analysis of secondary sources is a research method. We will pull together information from various Internet articles, statistical data and works of scientists. We will analyze them and make deductions according to them.

**გვანცა შაორშაძე, მარიამ ცხადაძე**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*საერთაშორისო ურთიერთობები*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## ბრაზილიის როლი სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოთა ინტეგარციის პროცესში

ხელმძღვანელი - მოწვეული ლექტორი **კონსტანტინე შუბითიძე**

1. ლათინური ამერიკის რეგიონისათვის ინტეგრაციის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს რეგიონი მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. მათი მოგვარება რეგიონის სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გარეშე ვერ მოხერხდება.

2. ბრაზილია ლათინურ ამერიკის სახელმწიფოებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა. მას ხშირად რეგიონის მთავარ ძალად მოიხსენიებენ თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური შესამლებლობების გამო. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ბრაზილიის როლი რეგიონული ინტეგრაციის პროცესში.

3. ბრაზილიის მონაწილეობა რეგიონული ორგანიზაციების შექმნასა და მუშაობის პროცესში, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები იძლევა საშუალებას მსჯელობისა მის როლზე ლათინოამერიკული ინტეგრაციის პროცესში.

4. ბრაზილია იყო ინიციატორი და მონაწილე იმ რეგიონული ორგანიზაციების შექმნისა (MERCOSUR, UNASUR), რომელთაც ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაძლიერებისათვის უნდა შეეწყო ხელი.

5. ბრაზილიის ეკონომიკური ინტერესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის დამოკიდებულებაზე ლათინური ამერიკის რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან. შესაბამისად, ეს ინტერესები ზემოქმედებს მის ინტეგრაციის პროცესში ჩართულობაზე და თავად ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობაზე, რეგიონში ამ სახელმწიფოს მნიშვნელობის გამო.

6. ბრაზილიის პოლიტიკური ინტერესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის დამოკიდებულებაზე ლათინური ამერიკის რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან. შესაბამისად, ეს ინეტრესები ზემოქმედებს მის ინტეგრაციის პროცესში ჩართულობაზე და თავად ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობაზე, რეგიონში ამ სახელმწიფოს მნიშვნელობისგამო. ისერთვებოდალათინურიამერიკისსახელმწიფოებშიმიმდინარე პოლიტიკური კრიზისების მოგვარების პროცესში, გამოხატავდა რა საკუთარ ინეტერესებს და გარკვეულ შემთხვევებში თანამშრომლობდა სხვა მთავრობებთან.

7. ბრაზილია რეგიონში მნიშვნელოვანი მოთამაშეა და დღემდე თანამშრომლობისათვის განხორციელებულ ღონისძიებებში აქტიურად ერთვება, თუმცა ხშირად მისი მონაწილეობა საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინეტრესებით იზღუდება.

**Gvantsa Shaorshadze, Mariam Tskhadadze**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*International Relations*
*Bachelor's programme, VI semester*

## The Role of Brazil in the Regional Integration Process of Latin American States

Scientific supervisor - Invited lecturer **Konstantine Shubitidze**

1. The issue of integration in the Latin American region is particularly important because this region faces many problems and challenges. Their solution cannot be achieved without cooperation between the countries of Latin America.

2. Brazil is one of the key players in Latin America. It is often referred to as the main force of the region due to its political and economic capabilities. Therefore, it is important to identify the role of Brazil in the process of regional integration.

3. Brazil's participation in the creation and operation of regional organizations, its economic and political interests allow us to discuss its role in the process of Latin American integration.

4. Brazil was the initiator and participant of the creation of regional organizations (MERCOSUR, UNASUR), which should promote strengthening cooperation between Latin American states.

5. Brazil's economic interests have a significant impact on its relations with other states of the Latin American region. Consequently, these interests influence its involvement in the integration process and the integration process itself due to the importance of that state in the region.

6. Brazil's political interests have a significant impact on its relations with other states of the Latin American region. Consequently, these interests influence its involvement in the integration process and the integration process itself, due to the importance of that state in the region. It joined the process of solving the current political crisis in several Latin American States, expressing its own interests and cooperating with other governments in certain cases.

7. Brazil is an important player in the region and has been actively involved in the events for cooperation, but its participation in the integration process is limited by its own economic and political interests.

**გიორგი ყარალაშვილი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*საერთაშორისო ურთიერთობები*
*ბაკალავრიატი, II სემესტრი*

## ჰუმანიტარული ინტერვენციის მნიშვნელობა

ხელმძღვანელი – **მოწვეული პროფესორი კონსტანტინე შუბითიძე**

1. ჰუმანიტარული ინტერვენცია წარმოადგენს ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის თავიდან აცილებას ან შეჩერებას იმ სახელმწიფოში, სადაც მმართველი ძალა არის ქმედუუნარო ან არ სურს საკუთარი ხალხის დაცვა და თავად დევნის მას.

2. 1994 წლის გენოციდი რუანდაში გახდა ნათელი მაგალითი იმ შედეგებისა რაც მოყვება ჰუმანიტარული ინტერვენციის განუხორციელებლობას და საერთაშორისო საზოგადოების ჩაურევლობას ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევისას. აღნიშნული ფაქტი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ გენოციდის შემდეგ დაიწყო დღეს უკვე ფუნდამეტური მნიშვნელობის საერთაშორისო სამართლის აქტებზე მუშაობა და ჰუმანიტარული ინტერვენციის კონცეფციის ახლებური გაანალიზება. ნაშრომში განხილული იქნება თუ რა შედეგი გამოიღო ჩაურევლობამ და რა გავლენა იქონია ამ ფაქტმა გენოციდის მასშტაბების ზრდაზე. განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეაქციას გენოციდის წინმსწრებ და მის თანმხლებ მოვლენებზე.

3. ნაშრომის მთავარი მიზანია აჩვენოს ჰუმანიტარული ინტერვენციის მნიშვნელობა და ამავდროულად პასუხი გასცეს მთავარ საკვლევ კითხვას - რამ განაპირობა გენოციდის დაწყება და რა ფაქტორების გამო არ შედგა ჰუმანიტარული ინტერვენცია რუანდაში?

**Giorgi Karalashvili**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*International Relations*
*Bachelor's programme, II semester*

## Importance of Humanitarian Intervention

Supervisor – **Visiting Professor Konstantine Shubitidze**

1. Humanitarian intervention is a means of preventing or stopping a gross violation of human rights in a state where there state is either incapable or unwilling to protect its own people, or is actively persecuting them.

2. 1994 Rwanda genocide was a clear example of the outcomes caused by the non-interference of international society in the process of violation of human rights. In order to give a good explanation, it is important to analyze the lack of humanitarian intervention in those processes and UN's role before and during the genocide. The genocide became the most important influence for making review of international law and meaning of intervention.

3. The main aim of the paper is to explain the importance of humanitarian intervention. Hereby, the paper's goal is to make the question clear: What was the main reason which caused the genocide and why humanitarian intervention did not take place in Rwanda?

**ირაკლი ეცადაშვილი, ლევან კაპიტანოვი**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*საერთაშორისო ურთიერთობები*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## პანარაბიზმი და მისი წარუმატებლობის მიზეზები

ხელმძღვანელი – მოწვეული პროფესორი **კონსტანტინე შუბითიძე**

1. თანამედროვე ეპოქაში საგრძნობლად შემცირდა მსოფლიო პოლიტიკური რუკის ცვლილებები, რაც, პირველ რიგში, დაკავშირებულია საერთაშორისო სამართლის ისეთი პრინციპების დანერგვასთან, როგორიცაა საზღვრების ურღვევობა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა. ამასთან, საერთაშორისო სისტემაში ახალი სახელმწიფოს გაჩენა კიდევ უფრო მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. მთავარი ძალად, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების ახალი აქტორების შექმნას განაპირობებს, ნაციონალიზმი იქცა. მიუხედავად იმისა, რომ, უახლეს პერიოდში წარმოქმნილ სახელმწიფოთა უმრავლესობა სეცესიური და ანტიკოლონიური ნაციონალიზმის შედეგი იყო, აქტუალობა არ დაუკარგავთ არც პანმოძრაობებს. იდეოლოგია, რომელიც კულტურული ნიშნის მიხედვით დაკავშირებულ მსხვილ ჯგუფთა გაერთიანებას ისახავს მიზნად, მრავალი სახელმწიფოსთვის აღმოჩნდა მიმზიდველი. მიუხედავად ამისა, პანმოძრაობების წარმატებული მაგალითები თანამედროვეობაში თითქმის არ გვხვდება.

2. განსაკუთრებული იყო არაბული პანმოძრაობის იდეა, რომელიც ყველა არაბის ერთ სახელმწიფოშიგაერთიანებასისახავდამიზნად. მიუხედავადიმისა, რომპანარაბიზმის იდეა სხვა მსგავს იდეებთან შედარებით რეალური ჩანდა, ის არ შედგა. წარუმატებელი აღმოჩნდა პანარაბიზმის იდეით ეგვიპტისა და სირიის გაერთიანებაც 1958 წელს. კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ გარემოებათა შესწავლა, რომლებმაც შეუძლებელი გახადეს პანარაბიზმის იდეის განხორციელება. კვლევისას იქნება ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობა, როგორიცაა: რა შემთხვევაში შეიძლება სახელმწიფოებმა დათმონ საკუთარი სუვერენიტეტი? რა სახით არსებობს პანარაბიზმის იდეა დღეს? რა მიმართებაშია პანარაბიზმის იდეა პანისლამიზმთან?

**Irakli Etsadashvili, Levan Kapitonov**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*International Relations*
*Bachelor, VI semester*

## Pan-Arabism and the Reasons of its Unsuccessfulness

Supervisor – Visiting Professor **Konstantine Shubitidze**

1. In modern times, the number of chops and changes on a political map is significantly decreased. First of all, this is associated with the implementation of international law principles, such as territorial integrity and inviolability of borders. Furthermore, the appearance of new states in the international system became a more important event. Nationalism became the main power which stimulates the creation of new actors in international relations. Despite the fact that the majority of states which were created in recent history are the result of secessionist and anticolonial nationalism, pan-movements have not lost their relevance. The ideology which aims to unite large groups due to their cultural features turned up to be engaging for a lot of states, but despite that, there is a lack of successful pan-movements in modern history.

2. The idea of Arabic pan-movement, which aimed to unite all Arabs in one country, was special. Compared to all other pan-movements, pan-Arabism seemed more realistic, but still, it did not take place. A union of Egypt and Syria in 1958, which was inspired by pan-Arabic ideas, was also unsuccessful. The purpose of the study is to examine circumstances which made the implementation of pan-Arabic idea impossible. The paper will attempt to answer the questions, such as: under which circumstances may states give up their sovereignty? And in what form does the pan-Arabic idea live nowadays?

**მარი ბაბაკიშვილი, ბექა კუჭუხიძე**
*საქართველო ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*საერთაშორისო ურთიერთობები*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## მასობრივი თვალთვალი და ტერორიზმი

ხელმძღვანელი – მოწვეული პროფესორი **კონსტანტინე შუბითიძე**

1. ისტორიული მიმოხილვა - მსოფლიოს აღქმა ტერორიზმის შესახებ მთლიანად შეიცვალა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ როცა ამერიკის შეერთებულ შტატებს პერლ ჰარბორის შემდეგ პირველად დაესხნენ თავს. შეიცვალა ტერორიზმის გაგება. 11სექტემბრის ტრაგედიას სამხედრო აგრესიის კვლიფიკაციამიეცა.ტერორიზმის წინააღმდეგ კი გლობალური ომი გამოცხადდა. ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელმა მთავრობამ ეს დარტყმა მიიჩნია იმის განგაშად რომ საჭირო იყო ტექნოლოგიების გამოყენება ტერორიზმთან ბრძოლაში. შედეგად შეიქმნა ტერორიზმის სათვალთვალო პროგრამა. მსგავსი სათვალთვალო პროგრამებით განვითარებული სახელმწიფოების უმრავლესობა დღესაც სარგებლობს. 2013 წელს ედუარდ სნოუდენის მიერ გამოქვეყნებული მასალებით დაზვერვის პროგრამები

კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვა და საკითხის ირგვლივ დებატები დღესაც გრძელდება.

2. საკვლევი კითხვა - რატომ არ მუშაობს მასობრივი თვალთვალის პროგრამები ტერორიზმის წინააღმდეგ და ირღვევა თუ არა ადამიანების უფლებები მისი გამოყენების შედეგად?

3. მიზანი - ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შევეცდებით დავადგინოთ ის მიზეზები რომლებიც ხელს უშლის მასობრივი თვალთვალის პროგრამების გამართულ მუშაობას. ასევე მიმოვიხილავთ იმას, თუ როგორ აღიქვამს საერთაშორისო სამართალი მასობრივი დაზვერვის გამოყენებას.

4. პერიოდი - 2001-2016 წლები.

5. საკითხის აქტუალურობა - ტერორიზმი თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს და საერთაშორისო უსაფრთოხების ყველაზე დიდ საზრუნავადაც დღემდე რჩება.გლობალიზაციის პირობებში ტერორიზმმა კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა მოიპოვა და ტერორისტული აქტების სიხშირეც იმატებს. მთელი მსოფლიო ცდილობს მშვიდობის მიღწევის გზაზე არსებული გამოწვევები შეაჩეროს და მთავარი პრობლემა ტერორიზმი დაამარცხოს.

**Mari Babakishvili, Beka Kutchukhidze**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*International Relations*
*Bachelor's programme, VI semester*

## Mass Surveillance and Terrorism

Supervisor – Visiting Professor **Konstantine Shubitidze**

1. Historical review – the world's perception of terrorism has changed drastically after September 11, 2001, when the US was attacked following the events of Pearl Harbor. The word Terrorism obtained a new meaning. The tragedy of 9/11 was classified as military aggression. Moreover, the US declared "War on Terrorism". The US Government at the time decided that this attack needed to be countered by using technology (as well as other means) while fighting against terrorism. Thus a surveillance program of terrorism was created. Many developed states still use similar surveillance programs. Materials published by Edward Snowden in 2013 caused major criticism of the surveillance program and the debate about this issue still continues.

2. Research question – why does the surveillance program fail to be effective against terrorism and does using this program violate human rights?

3. Purpose – By using historical background, we will try to determine the factors, which prevent mass surveillance programs from working efficiently.

4. Period – 2001 – 2016 years.

5. Relevance – Terrorism is one of the most crucial problems of the world and remains to be the main focus of international security. Due to the spread of globalization, terrorism gained even more opportunities and the number of terrorist acts rises day by day. The world is trying to prevent and overcome these threats and the main achievement of this path would be defeating terrorism.

**მარი ლეკიშვილი, ირაკლი ჭაჭკორია**
*საქართველო*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*საერთაშორისო ურთიერთობები*
*ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

## გაზპრომის გავლენა რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობებზე

ხელმძღვანელი - ასისტენტ-პროფესორი **გიორგი კვინიკაძე**

1. ლიბერალური ღირებულებების გავრცელებასთან ერთად, XXI საუკუნეში ეკონომიკური ურთიერთობები ერთ-ერთ წამყვან როლს იკავებს. დღევანდელ კომპლექსურ საერთაშორისო სისტემაში მნიშვნელოვან აქტორებად სახელმწიფოების გარდა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებსაც მოიაზრებენ. ისინი ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ კურსსაც განაპირობებენ. ამის თვალსაჩინო მაგალითი რუსული ტრანსნაციონალური კომპანია „გაზპრომია". იგი ბუნებრივი აირის ყველაზე დიდი მარაგის მფლობელი კომპანიაა მსოფლიოში და, შესაბამისად, რუსეთისათვის მძლავრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ იარაღს წარმოადგენს. „გაზპრომი" მსოფლიოს გაზის 16%-ს, ხოლო რუსეთის ბუნებრივი აირის მარაგის 60%-ს ფლობს. სწორედ ამიტომ, ცივი ომის დასრულების შემდეგ, ენერგო-გიგანტი იქცა საგარეო პოლიტიკის კომპოზიციის ნაწილად რუსეთისა და ევროპისთვის. ხშირ შემთხვევაში, ენერგეტიკის სფეროსა და მასში ჩართულ სუბიექტებს ევროპელები კონტინენტური სტაბილურობის გასაღებად მიიჩნევენ.

2. გამომდინარე იქედან, რომ დღეს ევროკავშირი დაინტერესებულია ალტერნატიული ენერგომიმწოდებლებისა და ენერგორესურსების მოძიებით, საინტერესოა, თუ როგორ წარიმართება ევროკავშირისა და რუსეთის ენერგეტიკული ურთიერთობები იმის ფონზე, რომ ევროკავშირი რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების გამო ხშირ შემთხვევაში რბილ პოლიტიკას აწარმოებდა რუსეთთან მიმართებაში. შესაბამისად, ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ ენერგეტიკული ურთიერთობების დინამიკის გავლენა რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობებზე, ხოლო საკვლევი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: რამდენად მძლავრი ბერკეტია „გაზპრომი" რუსეთის ხელში ევროკავშირთან პოლიტიკური ურთიერთობების წარმართვისას? იმის გათვალისწინებით, რომ ენერგეტიკა ევროკავშირისათვის წევრ ქვეყნებთან გაზიარებულ კომპეტენციის სფეროს წარმოადგენს, კვლევის პროცესი საკმაოდ კომპლექსურ ხასიათს იძენს, რაც თავისთავად მოითხოვს ანალიზს როგორც გლობალურ, ისე სახელმწიფოებრივ დონეზე.

3. ვიმედოვნებთ, რომ საკითხი საინტერესო იქნება რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობებითა და, აგრეთვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობით დაინტერესებული პირთათვის.

**Mari Lekishvili, Irakli Pachkoria**
*Georgia*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*International Relations*
*Bachelor's programme, VI semester*

## Gazprom's Influence on Russia-EU Relations

Supervisor – Assistant Professor **Giorgi Kvinikadze**

